პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შუაცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად საბერძნეთში დაინიშნა ამხ. ბლაგოვი.
- ცვლილებანი გერმანიის მთავრობაში.
- მოსკოვში დაიწყო კონტრ-რევოლუციური ჯგუფის „კაბუკი"-ს პროცესი.
- ქარიშხალი შავ ზღვაზე—აფხაზეთის სანაპიროებზე დაიღუპა ორი იალქნიანი გემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 2 თებერვალი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 26 (2372)

ა. წ. 5 თებერვალს, დილის 10 საათ., საკავშირო კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკ. კომისიის შენობაში (რუსთველის პრ., № 24)

მოწვეულია

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამ.-კავ. საოლქო საკონტროლო კომისიის მე-4 პლენუმი

ამ.-კავ. საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ნაზარეტიანი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კუზიანს სამარე გაასწორებს

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მკითხველი იპოვნიდა ცნობას ბერლინიდან საბჭოთა ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა შესახებ, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი როლი ეკუთვნის მენშევიკური ემიგრაციის აგენტს, სტამბოლის კათოლიკეთა მონასტრის ყოფილ ბერს, დახელოვნებულ შანტაჟისტს—სადათიერაშვილს. ქართული ემიგრაციისა და განსაკუთრებით მისი მენშევიკური შემადგენლობის კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობა იმდენად მდიდარია პოლიტიკურ და მორალურ გახრწნილების ფაქტებით, რომ ჩერვონცების ფალსიფიკაცია მათთან შედარებით უმანკო ხელობად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს ფაქტი ამ მხრით იმდენად საინტერესო არ არის ჩვენთვის. აქ საგულისხმოა სხვა რამ, საბჭოთა ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა საქმე ყურადღების ღირსია, იმ მხრივ, რომ ამ ფაქტში ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით გამოსჭვივის იმპერიალისტურ ანტი-საბჭოთა შეთქმულების მორიგი ხრიკები, რომელშიაც ქართველი მენშევიკები ყოველთვის დაგეშილ ფინიების საცოდავ როლს თამაშობენ.

ამ შემთხვევაშიც, როცა ყალბი ჩერვონცების ფაბრიკაციით საბჭოთა კავშირის მოსისხლე მტრები დეტერდინგები და გოფმანები მიზნად ისახავდნენ ჩვენი ვალიუტის კურსის შერყევას და ამავე დროს საზღვარ-გარეთ მომუშავე ანტი-საბჭოთა ორგანიზაციების მატერიალურად გამაგრებას, ქართულ ემიგრაციამაც განიზრახა ხელის მოთბობა. მან იკისრა დეტერდინგ-გოფმანების გეგმების განხორციელების „საპატიო" როლი. ჩვენთვის თავიდანვე აშკარა იყო, რომ ყალბი ჩერვონცების ფალსიფიკაცია მენშევიკურ ემიგრაციის აქტიური მონაწილეობით სწარმოებდა. მიუხედავად ამისა, გამოაშკარავდა თუ არა საქმე, მენშევიკურ კაროჟნებმა ურცხვად ყველაფერი გადაფიცეს და, ჩვეულებისამებრ, ყოველნაირად შეეცადნენ გერმანიის პოლიციის ხელში მოხვედრილ ფალსიფიკატორებისაგან გამიჯვნას. მაგრამ მეტად ხელოვნური იყო ეს ცივი უარი, ის არც ტრავის დაუჯერებია. და აი, ბერლინიდან გადმოცემული გუშინდელი დეპეშა ცხადჰყოფს, რომ მენშევიკების თავის მართლება ჩვეულებრივი მენშევიკური თეთრი ძაფით ნაკერი ყალთაბანდობა იყო. ერთ-ერთმა მთავარ ბრალდებულმა ყალბი ჩერვონცების ფალსიფიკაციის საქმეზე—ზემოხსენებულ სადათიერაშვილმა თვითონ აღიარა, რომ ის „მხოლოდ იარაღი იყო პარიზში მყოფი, ეგრედწოდებული საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა".

იმპერიალისტებისა და მათი ნაფიცი ლაქიების მენშევიკების შანტაჟისტურ ცდებს, რომ შეერყიათ საბჭოთა მანეთის კურსი, საბჭოთა კავშირის მასები და მათ შორის საქართველოს მუშები და გლეხები უპასუხებენ შინაურ სესხის გაძლიერებით. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი, ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხი, რომელიც წარმატებით ჩატარდა მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

ემიგრაცია, წელში გატეხილი, დაჩანაკებული და გაძვალ-ტყავებული ემიგრაცია არ ისვენებს. ის მზად არის ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ანტი-საბჭოთა საქმე კეთდება, თავისი წვლილი შეიტანოს. მისთვის უშედეგოთ ჩაიარა საბჭოთა საქართველოს სხვა წელმა. პირიქით, რაც დრო მიდის, ძირს ეშვება ემიგრაციის ზედაფენები და, განსაკუთრებით, მისი მენშევიკური „ბელადები" პოლიტიკურ და ზნეობრივ გახრწნილების გზით. ეს დაცემა უკვე კარგა ხანია მივიდა საბოლოო წერტილამდე: პირწავარდნილი ჯაშუშობა იმპერიალისტურ შტაბების სასარგებლოდ, საბჭოთა ჩერვონცების ფალსიფიკაცია, ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება. კუზიანს სამარე გაასწორებს!

კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში

1927 წლის გაზაფხულიდან გერმანიაში განუწყვეტლივ იზრდება საგაფიცვო მოძრაობა. სიმტკიცე, რომელსაც მასები იჩენენ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში და უმუშევართა აქტიობა მოწმობს მუშათა მასების გამემარცხენებას. 14 კვირა გაგრძელდა გემთმშენებლობის მუშათა ბრძოლა, სანამ ეს ბრძოლა არ ჩაახრჩო კოალიციურმა მთავრობამ და რეფორმისტულმა პროფკავშირების აპარატმა, რომელთაც ამ მიზნისათვის საარბიტრაჟო სისტემა გამოიყენეს. რურის ბრძოლაში 100.000-ზე მეტმა მუშამ მხარი დაუჭირა ბრძოლის კომიტეტების (საგაფიცვო კომიტეტების) ლოზუნგებს და რეფორმისტულ სტრატეგიას—ღალატის სტრატეგიას დაუპირისპირა თავისი საკუთარი სტრატეგია და ტაქტიკა. საქსონიის და ტიურინგიის ფეიქართა ეხლანდელი მოძრაობა, რეფორმისტების საბოტაჟის მიუხედავად, მოაწყო რევოლიუციონურ პროფკავშირთა უმცირესობამ. მოძრაობის ზრდას მოწმობენ დემონსტრაციები ბერლინსა, საქსონიასა და გერმანიის სხვა ადგილებში.

კლასობრივი ბრძოლის ეს გამწვავება გერმანიაში ამტკიცებს, რომ სწორია მესამე პერიოდის ის ანალიზი, რომელიც ჩამოყალიბებულია კომინტერნის მე-6 კონგრესის გადაწყვეტილებებში. მესამე პერიოდის თავისებურებამ მკვეთრად იჩინა თავი გერმანიაში. წინააღმდეგობას საწარმოო უნარიანობასა და გასაღების შესაძლებლობას შორის, დიდ დავალიანებას სხვა ქვეყნებისადმი, სარეპარაციო ტვირთსა და გერმანიის საფინანსო კაპიტალის ბრძოლას დამოუკიდებელი იმპერიალისტური როლისათვის ამ ქვეყანაში შედეგად მოსდევს მუშათა მასების ეკონომიური და პოლიტიკური შევიწროვების გაძლიერება, რაც იწვევს პროლეტარიატის კონტრშეტევას. ნაწილობრივად მერყევ სტაბილიზაციას მოსდევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. მუშები სცდილობენ მიაღწიონ შრომის პირობების გაუმჯობესებას, აწყობენ მებრძოლ ორგანიზაციებს და ნაწილობრივ გადადიან კონტრშეტევაზე. კონიუნქტურის ეხლანდელი გაუარესება, უმუშევართა რიცხვის გადიდება 3 ნახევარ მილიონამდე, მუშების რეალური ხელფასის დაცემა და გადასახადების გადიდება ულმობელად აქარწყლებს რეფორმისტების უაზრო ლაყბობას ეგრედწოდებული „უკონიუნქტურო მეურნეობის" შესახებ, რომელიც ვითომ შესაძლებელს ხდის რეალური ხელფასის განუწყვეტელ მომატებას.

ლოკაუტების და კოალიციური პოლიტიკის საშუალებით სატრესტო კაპიტალმა მიაღწია იმას, რომ პროფკავშირთა აპარატი ეხლა უფრო მეტად, ვიდრე დღემდე, ემსახურება ფინანსიური კაპიტალის ინტერესებს. ეს სჩანს იქიდან, რომ რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკამ, ისევე, როგორც ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცეკამ არ დაარღვიეს სატარიფო ხელშეკრულებანი. მემადნეთა პროფკავშირის ცეკა დღემდე უარს აცხადებს დაარღვიოს სატარიფო ხელშეკრულება, თუმცა შეეძლო დაერღვია იგი რამდენიმე თვის წინად.

ბურჟუაზია სცდილობს უმუშევრები გამოიყენოს წარმოებებში შრომის პირობების გაუარესებისათვის. მთავრობა ბურჟუაზიას ამ საქმეში იმით უწყობს ხელს, რომ ამცირებს დახმარებას უმუშევართათვის. უმუშევართა დაზღვევის სახელმწიფო დეპარტამენტმა სოციალ-დემოკრატი მინისტრების და პროფკავშირთა ბელადების დახმარებით შეამცირა ის ვადა, რომლის განმავლობაშიაც სეზონურ მუშებს უფლება აქვთ მიიღონ დახმარება (ეს ვადა წინად უდრიდა 26 კვირას, ეხლა კი მხოლოდ 6 კვირას უდრის.). დახმარების ვადის შემცირების გამო მუშები ასი ათასობით რჩებიან მუდმივად უმუშევრად და მოკლებულნი არიან აუცილებელ დახმარებას. ამის გამო კომპარტიის ძირითად ამოცანას პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიციის რიგებში შეადგენს მომუშავეთა და უმუშევართა ბრძოლის კოორდინაცია, რათა საერთო ძალღონით მიაღწიონ 45 საათის სამუშაო კვირას და შვიდი საათის სამუშაო დღის. ამასთან ერთად კომპარტიის აზრით, მუშებმა წარმოებებში აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი უმუშევართა ბრძოლას დახმარების გადიდებისათვის და იმისათვის, რომ ყველა უმუშევარს დახმარება მიეცეს უმუშევრობის მთელი დროის განმავლობაში.

ექსპლოატაციის გაძლიერებასთან ერთად, რასაც იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდება და სამედიატორო გადაწყვეტილებანი, ბურჟუაზიული სახელმწიფო გადასახადების გადიდებით ამცირებს მუშის საარსებო დონეს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც დაახლოვებით 600 მილიონ მარკას უდრის, კოალიციურ მთავრობას და მის სოციალ-დემოკრატ მინისტრს ჰილფერდინგს სურთ დაჰფარონ გადასახადების გადიდებით მასიური მოხმარების საგნებზე. ამავე დროს განზრახულია საბინაო ქირის გადიდება 5—8 პროცენტით. ძლიერდება აგრეთვე მშრომელთა მასების შევიწროვება სახელმწიფო აპარატის მიერ, იმ დროს, როცა გრენერი და მისი მეგობრები აგებენ ჯავშნიან მატარებლებს და საჰაერო ფლოტს „მიმოსვლის საჭიროებისათვის", აძლიერებენ რეიხსვერის შეიარაღებას, სოციალ-დემოკრატი მინისტრები თავიანთ მხრივ აძლიერებენ პოლიციას, პოლიციის გამოყენება შტრეიკბრეხერების დასაცავად, „რესპუბლიკანური დროშის" ორგანიზაციის თანამშრომლობა პოლიციასთან საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დემონსტრაციების აკრძალვა ბერლინსა და ჰამბურგში, წითელი ფრონტელების კავშირის დაშლის მომზადება სოციალ დემოკრატი მინისტრების მიერ, ჩვენი პარტიულ ორგანოს აკრძალვა ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების ბრძოლის დროს,—ყოველივე ეს ნათლად ამტკიცებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას გერმანიაში. მასიურ მუშათა ორგანიზაციებში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას აშკარავებს პროფკავშირიდან გამორიცხვის პოლიტიკა, რომელსაც რეფორმისტების ბელადები ახორციელებენ. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშებს, რომელთაც შეასრულეს თავიანთი კლასობრივი მოვალეობა საგაფიცვო ბრძოლაში, ასობით რიცხავენ ტრანსპორტელთა პროფკავშირიდან. რეფორმისტული ბიუროკრატია ბერლინში პოლიციის საშუალებით სცდილობდა შეეშალა ხელი იმისათვის, რომ პროფკავშირის წევრთა უმრავლესობას არ გაელაშქრა რეფორმისტების პოლიტიკის წინააღმდეგ.

მახლობელ თვეებში უთავდება ვადა კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რომლებიც 5 მილიონ მუშას ეხებიან. რეფორმისტული ბიუროკრატია და კოალიციური მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებენ, რომ ცარიელი დაპირებებით და სახელმწიფო ხელისუფლების დახმარების საშუალებით არ დაუშვან მუშათა მასიური მოძრაობა. ისინი განსაკუთრებით შეეცდებიან ჩაშალონ მემადნეთა ბრძოლა 7 საათის სამუშაო დღისათვის, სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის, ჩაშალონ ქიმიური მრეწველობის მუშათა მოძრაობა. კომპარტია და პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიცია, რომელთაც აქვთ უკანასკნელი ბრძოლების გამოცდილება, თავიდანვე უნდა შეეცადონ დამოუკიდებლად აწარმოონ ბრძოლა. მათ ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ წარმოებებში მოაწყონ მებრძოლი კომიტეტები. რამდენადაც კომპარტია შესძლებს მუშათა მასების ჩაბმას ეკონომიურ მოთხოვნებისათვის ბრძოლაში, იმდენად იგი მოახერხებს საერთო პოლიტიკური ბრძოლის გაძლიერებას სატრესტო კაპიტალთან და კოალიციურ მთავრობასთან. ბრძოლა ეკონომიური, პოლიტიკური და ყოველდღიურ მოთხოვნებისათვის უნდა გადაიქცეს მასიურ მოძრაობად, რომელიც მიმართული იქნება კაპიტალისტური სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ და რომელსაც მიზნად ექნება კოალიციური მთავრობის დამხობა და რევოლიუციონური მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნა.

„პრავდა", 1 თებერვალი.

საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება პოლონეთთან

ინგლისში მოითხოვენ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებას

„დეილი ტელეგრაფის" ცნობით ბაჩე საკაოს „სურვილი აღეძრა" გაიქცეს ქაბულიდან

ლიტვინოვ-პატეკის მოლაპარაკება

მოსკოვი, 1 თებერვალი. საკავშირო დეპეშათა სააგენტომ ავტორიტეტული წრეებიდან მიიღო შემდეგი ცნობები პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ:

„როგორც უკვე იყო გამოცხადებული 21 იანვარს, ამხ. ლიტვინოვმა პოლონეთის ელჩს პატეკს წერილობით გააცნო ოქმზე ხელის მოწერის ის პროცედურა და ფორმა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა.

26 იანვარს პატეკმა ინახულა ამხ. ლიტვინოვი, რომელმაც სთხოვა პატეკს, დააჩქაროს პოლონეთის მთავრობის პასუხი წარდგენილი პროცედურის შესახებ. ამხ. ლიტვინოვმა ამასთან აღნიშნა, რომ პასუხის დაგვიანება საგრძნობლად დაუკარგავს მნიშვნელობას საბჭოთა სამშვიდობო წინადადებასო.

28 იანვარს პატეკმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში განაცხადა, რომ ესტონეთმა, ლატვიამ და რუმინეთმა აცნობეს პოლონეთის მთავრობას, რომ ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ოქმში, ე. ი. ხელი მოაწერონ მას საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან ერთად. პატეკმა განაცხადა აგრეთვე, რომ ფინეთის მონაწილეობა ოქმში ჯერჯერობით არ ხერხდება. მაგრამ ეს გარემოება ვერ შესცვლის პოლონეთის, რუმინეთის, ესტონეთის და ლატვიის გადაწყვეტილებას ოქმზე ხელის მოწერის შესახებ. ხელის მოწერა შეიძლება მოხდეს მოსკოვში. ფინეთს უფლება აქვს შემდეგში შეუერთდეს ოქმსო.

31 იანვარს პატეკმა ლიტვინოვს აცნობა, რომ თუ მხარეები დათანხმდნენ ერთდროულად ხელი მოაწერონ ოქმს, მაგრამ ამავე დრო ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო რაიმე მიზეზით უარს იტყვის ოქმში მონაწილეობაზე, ეს ვერ გახდება იმის მიზეზად, რომ პოლონეთმა უარი სთქვას ოქმზე. პოლონეთი არ მოითხოვს ოქმზე ხელის მოწერას აუცილებლად ლიტვასთან ერთად, თუ ეს უკანასკნელი ამჯობინებს შეუერთდეს ოქმს. პოლონეთის მთავრობა ღებულობს საკავშირო მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ ოქმი ძალაში შევიდეს იმ სახელმწიფოებს შორის, რომელნიც ამ ოქმის რატიფიკაციას მოახდენენ მის საერთო რატიფიკაციამდე ყველა მონაწილის მიერ.

ამ ცნობასთან დაკავშირებით, ამხ. ლიტვინოვმა პატეკს განუცხადა შემდეგი:

ა) როცა საკავშირო მთავრობამ გადადგა პირველი საინიციატივო ნაბიჯები ოქმთან დაკავშირებით, მას სურდა ოქმის გავრცელება რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოზე. ამ მიზნით მან ოქმში შეიტანა განსაკუთრებული მუხლი, იმის შესახებ, რომ ოქმი განუსაზღვრელი დროით ღია რჩება ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც მოისურვებს შეუერთდეს მას. საკავშირო მთავრობას განსაკუთრებით სასურველად მიაჩნდა ბალტიის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობა ოქმში; ეს მან განსაკუთრებით აღნიშნა იმ ნოტაში, რომელიც პოლონეთის მთავრობას გაეგზავნა 29 დეკემბრის თარიღით. იმავე ნოტიდან აშკარად სჩანდა შემდეგი: ბალტიის ყველა სახელმწიფო, რომ ისეთსავე მდგომარეობაში ყოფილიყო კელოგის პაქტის მიმართ, როგორშიაც საბჭოთა კავშირი და პოლონეთია, ისინი ოქმზე ხელის მოსაწერად მიწვეულნი იქნებოდნენ მაშინ, როცა მიმართვა გაეგზავნა პოლონეთსა და ლიტვას. საკავშირო მთავრობა ფიქრობდა, რომ რადგან ფინეთს, ესტონეთს და ლატვიას შემოღებული წესის მიხედვით, არ ჩამოუყალიბებიათ თვით პარიზის ხელშეკრულებასთან შეერთება, როგორც ეს ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა, აგრეთვე ლიტვამ, ამიტომ მოსალოდნელი არ არის რომ ეს სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ოქმს პაქტის ძალაში შესვლის შესახებ. რაც შეეხება რუმინეთს, მისი მონაწილეობა ოქმში თავიდანვე დასაშვებად იყო მიჩნეული, რასაც აშკარად ადასტურებს საკავშირო მთავრობის მეორე ნოტა 11 იანვრის თარიღით.

ბ) ამჟამად გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ესტონეთი და ლატვია, ოქმის დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით, განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამის ოფიციალურ დადასტურებას ვპოულობთ ლატვიის მთავრობის საპასუხო ნოტაში, რომელიც მან გაუგზავნა ლიტვას და რომელშიაც იგი აცხადებს, რომ გადასწყვიტა შეუერთდეს პარიზის ხელშეკრულებას.

აქედან სჩანს, რომ თვით შეერთება ჯერ არ მომხდარა. ფინეთის მთავრობამ კი უფრო გარკვევით განაცხადა, რომ სეიმის დაუკითხავად მას არ შეუძლია განსაზღვროს თავისი ფორმალური დამოკიდებულება პარიზის პაქტისადმი.

გ) საკავშირო მთავრობის თვალსაზრისით, პრინციპიალურად სულ ერთია: ოქმში მონაწილეობის მიღება მოხდება სხვა სახელმწიფოებთან ერთად ხელისმოწერის გზით, თუ ინდივიდუალური შეერთების გზით, მით უმეტეს, რომ ოქმიდან გამომდინარე ვალდებულებანი ერთნაირად ეხებიან როგორც მასზე ხელის მომწერლებს, ისე შეერთებულებს, ხოლო ოქმის შესვლას ძალაში განსაზღვრავს რატიფიკაციის მომენტი და არა ხელის მოწერა. როცა საკავშირო მთავრობა ცალკე სახელმწიფოებს მონაწილეობის ამა თუ იმ ფორმას სთავაზობს, იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ იმ სურვილით, რომ ჩქარა განხორციელდეს მისი წინადადება და ამით მალე მოიპოვოს ძალა პარიზის ხელშეკრულებამ, რაც შეადგენს ჩვენი სამშვიდობო ნაბიჯის მიზანს.

დ) ამ თვალსაზრისით, საკავშირო მთავრობა ფიქრობდა და ფიქრობს, რომ ერთად ხელის მოწერის შესახებ, ერთდროულად მიმართვას იმ სახელმწიფოებისადმი, რომლებიც ერთნაირ მდგომარეობაში არ იმყოფებიან კელოგის პაქტის მიმართ, შეუძლია შეჰქმნას ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებანი და დიდი ხნით შეაფერხოს მისი წინადადება ან სრულებით ფასი დაუკარგოს მას, მეტადრე მაშინ, თუ ეს მოითხოვს ისევე ხანგრძლივსა ან თუნდაც ნაკლებ ხანგრძლივს მოლაპარაკებას, რასაც უკვე ადგილი აქვს მარტო პოლონეთთან.

ე) დღემდე პოლონეთის მთავრობამ ვერავითარი დამარწმუნებელი საბუთები ვერ მოიყვანა იმის სასარგებლოდ, რომ ოქმს ხელი ერთად უნდა მოაწეროს ყველა ნავარაუდევმა სახელმწიფომ. ამ საბუთების დასახელება, არც შეიძლება, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც გამოირკვა, რომ ფინეთი განზე დარჩა, ლიტვა კი მხოლოდ იმაზე დასთანხმდა, რომ შეუერთდეს ოქმს. ამგვარად, იმ სახელმწიფოების არჩევანს, რომლებიც ოქმს ერთად მოაწერენ ხელს, შეიძლება სრულიად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს.

ვ) ამიტომ საკავშირო მთავრობა ხელახლა აძლევს წინადადებას პოლონეთის მთავრობას, რომ ორივე მხარე დაუყოვნებლივ შეუდგეს ოქმზე ხელის მოწერას. ეს მით უფრო ადვილი განსახორციელებელია, რომ პოლონეთის მთავრობას დღემდე არავითარი შენიშვნა არ გაუკეთებია ოქმის დედა აზრის შესახებ. საკავშირო მთავრობას ეჭვი არა აქვს, რომ ორივე სახელმწიფოსათვის სასურველი დანარჩენი მონაწილენი არ დააყოვნებენ და შეუერთდებიან ოქმს.

ზ) მაგრამ თუ პოლონეთის მთავრობა მოითხოვს, რომ ოქმს ერთად და ერთდროულად მოაწერონ ხელი საბჭოთა კავშირმა, პოლონეთმა, ესტონეთმა, ლატვიამ და რუმინეთმა, თუ იგი დარწმუნებულია, რომ ესტონეთისა და ლატვიის განსაკუთრებული ფორმალური მდგომარეობა პარიზის ხელშეკრულების მიმართ ხელს არ შეუშლის მათ და ხელის მოწერის დაყოვნების მიზეზად არ გადაიქცევა, მაშინ საკავშირო მთავრობის მხრით დაბრკოლებას ადგილი არ ექნება. პასუხისმგებლობა შეფერხებისათვის, რომელიც შეიძლება წარმოშვას ასეთმა პროცედურამ, ცხადია, პოლონეთის მთავრობამ უნდა იკისროს.

თ) რადგან ოქმის მონაწილეებმა არავითარი ახალი ვალდებულებანი არ უნდა იკისრონ, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებსაც შეიცავს თვით პარიზის ხელშეკრულება, რადგან ჩრდ. ამერ. შეერთებულმა შტატების რესპუბლიკამ პაქტის რატიფიკაცია მოახდინა უშენიშვნებოთ და სხვა მონაწილეებიც, უეჭველია, მის რატიფიკაციას უშენიშვნოთ მოახდენენ, რადგან ოქმის ტექსტს დიდხანს არკვევდა პოლონეთის მთავრობა და, უეჭველია, ოქმს ის სახელმწიფოებიც იცნობენ, რომლებმაც მასზე ხელის მოწერის სურვილი გამოაცხადეს,—ამიტომ საკავშირო მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია შემდგომი მოლაპარაკება მისი წინადადების განსახილველად და ჰფიქრობს, რომ ოქმზე ხელის მოწერა შეიძლება ერთი კვირის შემდეგ, სახელდობრ, 7 თებერვალს; ამ დროისათვის მას მხედველობაში აქვს წინადადება მისცეს პოლონეთს, ესტონეთს, ლატვიას და რუმინეთს, რომ მათ თავიანთ დელეგატებს ოქმზე ხელის მოწერა მიანდონ.

პატეკმა განაცხადა, რომ მას ამჟამად არა სურს სადავოდ გახადოს ლიტვინოვის წინადადების ცალკე მუხლები. მას საჭიროდ მიაჩნია, ოქმის შინარსის შესახებ დაემყაროს იმ შენიშვნას, რომელიც პოლონეთის მთავრობამ გააკეთა თავის პირველ საპასუხო ნოტაში ესტონეთისა და ლატვიის შესახებ და აღნიშნოს, რომ პოლონეთის მთავრობის აზრით, ორივე სახელმწიფო ამა თუ იმ ფორმით შეუერთდნენ პარიზის ხელშეკრულებას.

პატეკმა განაცხადა, რომ ამხ. ლიტვინოვის განცხადების შინაარს აცნობებს თავის მთავრობას (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

ამანულა-ხანი დაუბრუნდა ხელისუფლებას

მოსკოვი, 1 თებერვალი. ავღანისტანის საგანგებო რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში გულიამ ნაბი-ხანმა 31 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეს ამხ. კარახანს გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია:

„ავღანისტანის ფადიშაჰს სურდა რაც შეიძლება მალე შეეწყვიტა სისხლის ღვრა თავის ქვეყანაში და ამიტომ 14 იანვარს ნებაყოფლობით გადადგა ტახტიდან თავისი უფროსი ძმის პრინც ინაიატულ-ხანის სასარგებლოდ და ქაბულიდან გაემგზავრა ქალაქ ყანდაგარში.

მაგრამ ამანულას გადადგომის ფაქტმა ვერ დაამშვიდა ძარცვა-გლეჯის სულისკვეთებით გამსჭვალულნი მეამბოხენი, რომლებიც ბანდიტ ხაბიბულას—ბაჩე საკაოს მეთაურობით შეიჭრნენ დედა-ქალაქში და ახალი მთავრობის შექმნის სახით შეუდგნენ თავიანთ ყაჩაღური მიზნების განხორციელებას. ამავე დროს ცნობამ ამანულას გადადგომისა და ქაბულში გამეფებული ანარქიის შესახებ ალაშფოთა მთელი ავღანისტანი; ავღანისტანის ყველა კუთხიდან ამანულასთან ყანდაგარში გაგზავნეს დელეგაციები, რომლებმაც ერთგულება განუცხადეს მას და სთხოვეს, რომ ფადიშაჰმა ხალხის ინტერესების გულისათვის და ავღანისტანის დასაცავად მოსალოდნელი ანარქიისაგან იკისროს სახელმწიფოს უზენაესი ხელმძღვანელობა და გაანთავისუფლოს დედა-ქალაქი იქ მოკალათებული ყაჩაღებისაგან. ამანულა-ხანმა ანგარიში გაუწია ავღანისტანის ხალხის დიდი უმრავლესობის ასე მკაფიოდ გამოხატულ სურვილს, გააუქმა თავისი გადადგომა და სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მთავრობას, რომელიც ნამდვილად იქნება ავღანისტანის ხალხის ინტერესების გამომხატველი.

უზენაესი ხელისუფლება ავღანისტანში ამიერიდან ეკუთვნის ფადიშაჰ ამანულა-ხანს და მისი მთავრობის რეზიდენცია არის ქალაქი ყანდაგარი" (ადს).

კუგისტანელები მარცხდებიან

ქაბული, 31 იანვარი. ჯელალაბადის ტომების შეტევა ქაბულზე, რომლებსაც ალი ახმედ-ხანი მეთაურობს, შეფერხდა იმის გამო, რომ დიდი თოვლი მოვიდა ჯელალაბადის და ქაბულს შორის მდებარე მთების უღელტეხილზე. ჯელალაბადის ავანგარდი მიუახლოვდა სოფ. ბუდხაკს, რომელიც 18 კილომეტრის მანძილზეა დაშორებული ქაბულიდან. კუგისტანელები ბუდხაკთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ, რამაც არეულობა გამოიწვია მათ შორის. მობილიზაცია, რომელიც ბაჩე-საკაომ გამოაცხადა ქაბულში, სუსტად მიმდინარეობს. ღამ-ღამობით ქაბულიდან კუგისტანის მიმართულებით ნაწილობრივ გააქვთ განძეულობა და იარაღი.

ჯელალაბადელების წარმატებით წინსვლა თანაგრძნობას იწვევს ქაბულის ირგვლივ მცხოვრებ ტომებში (ადს).

ქაბული, 31 იანვარი. უკანასკნელი ცნობებით, სოფელ ბუდხაკი დაიჭირეს ალი ახმედ-ხანის ჯარის ნაწილებმა. კუგისტანელებმა დიდის ზარალით დაიხიეს უკან (ადს).

ინგლისის მარცხი

ლონდონი, 31 იანვარი. ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ: ლაპარაკის შეწყვეტა ქაბულიდან ინგლისის მისიის ევაკუაციის შესახებ აიხსნება იმით,—რომ ინგლისმა ვერ დაარწმუნა სხვა სახელმწიფოები—გამოეწვიათ თავიანთი მისიები ქაბულიდან (ადს).

ალი ახმედ-ხანი არ არის ამანულას მოწინააღმდეგე

ქაბული, 31 იანვარი. ალი ახმედხანმა, რომელიც ჯელალაბადის ტომებს მეთაურობს და შეტევას აწარმოებს დედა-ქალაქ ქაბულზე, ხმების მიხედვით, განაცხადა, რომ იგი არ არის ძველი დინასტიის, კერძოდ ფადიშაჰ ამანულას მოწინააღმდეგე (ადს).

„საიმედო" თავშესაფარს ეძებს

ლონდონი, 31 იანვარი. როგორც „დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება, ხმა დადის თურმე, რომ ბაჩე-საკაოს განზრახული აქვს გაიქცეს ქაბულიდან და თავშესაფარი ძიოს „ინდოეთის უფრო უშიშარ საზღვრებშიო". გაზეთი დასძენს, რომ ბაჩე-საკაო შეიძლება ინგლისის აეროპლანით გადაიყვანონო. (ადს).

ეჭვით უყურებენ ლონდონიდან გავრცელებულ ხმებს

ბერლინი, 31 იანვარი. უკანასკნელ დღეებში ლონდონის წყაროებიდან სისტემატიურად ვრცელდება ხმები, რომ ქაბულში ადგილი აქვს ძარცვა-გლეჯას. ამასაც აღნიშნავენ, რომ დაზარალებულთა შორის გერმანიის მოქალაქენიც არიანო. იმავე წყაროებიდან ვრცელდება ხმები, რომ მოსალოდნელია უცხოელ დიპლომატიურ წარმომადგენელთა წასვლა ქაბულიდან.

როგორც „კელნიშე ცეიტუნგ"-ი სწერს, გერმანიის ხელმძღვანელ წრეებში ეჭვით უყურებენ ამ ცნობებს. როგორც გაზეთი აღნიშნავს, გერმანიის წრეებში ფიქრობენ, რომ ამ ცნობებს იმ მიზნით ავრცელებენ, რათა დაფარონ ინგლისის ქაბულელი ელჩის უკან გამოწვევა, რაც აუცილებელი ხდება იმის გამო, რომ იგი ამანულას წინააღმდეგ მოქმედებდა. (ადს).

თურქეთის პრესა ავღანისტანის ამბების შესახებ

სტამბოლი, 31 იანვარი. მთელი თურქეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისელების მონაწილეობას ავღანისტანის ამბებში. „მილიეთ"-ი სწერს:

„ყველამ იცის, რომ მეამბოხეთა ბელადმა სუბსიდია მიიღო უცხო სახელმწიფოსაგან. ამ გამცემლობის გამომჟღავნებამ განხეთქილება გამოიწვია მეამბოხეთა შორის".

„ვაკით"-ი სწერს:

„ბაჩე-საკაო სცდილობს განაახლოს ავღანისტანში ინგლისის პროტექტორობა, მაგრამ ბაჩე-საკაოს მოღალატურ პოლიტიკას ამანულა ბოლოს მოუღებს". (ადს).

„ჟურნალ"-ი ავღანისტანის მდგომარეობის შესახებ

პარიზი, 31 იანვარი. იმასთან დაკავშირებით, რომ ავღანისტანის ელჩმა ბრიანი ინახულა, „ჟურნალ"-ი აღნიშნავს, რომ ავღანისტანიდან უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად, ქაბულიდან დიპლომატიური კორპუსის წასვლა შეიძლება საჭირო აღარ იყოსო. დიპლომატიური კორპუსის წასვლა მოხდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (ადს).

„გალმა გადავების" პოლიტიკა

ლონდონი, 31 იანვარი. „მორნინგ პოსტ"-ი იმოწმებს „უაღრესად ავტორიტეტულ წყაროებს" და გადაჭრით უარჰყოფს „დეილი მეილ"-ის ცნობას ინგლისის ქაბულელი ელჩის გემფრის როლის შესახებ ავღანისტანის ამბებში, კერძოდ მის მიერ ბაჩე-საკაოსათვის ხელის შეწყობას.

გაზეთი აცხადებს, რომ გემფრი „სასტიკად იცავდა ინგლისის პოლიტიკას და არ ერეოდა" ავღანისტანის საქმეშიო".

„მორნინგ პოსტ"-ი სცდილობს გემფრის გამართლებას და სწერს, რომ „ნამდვილი საფრთხე ავღანისტანის დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირის მხრივ მოელისო". (ადს).

„დეილი ექსპრეს"-ი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების შესახებ

ლონდონი, 31 იანვარი. „დეილი ექსპრეს"-ი მოწინავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განახლებისათვის. გაზეთი აცხადებს:

„უახლოესმა მთავრობამ უნდა განაახლონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ამიტომ ბრძნულმა კონსერვატიზმმა არ უნდა უცადოს იმ მომენტს, როდესაც აუცილებლობის წინაშე დადგება" (ადს).

ლატვია-საბჭ. სავაჭრო ურთიერთობა

რიგა, 31 იანვარი. სეიმის საბიუჯეტო კომისია იხილავდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბალოდისმა გააკეთა მოხსენება საგარეო ურთიერთობის შესახებ. მან განაცხადა:

„რაც შეეხება იმ ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენ საბჭოთა კავშირთან დავდეთ, მიუხედავათ ლატვიის გულწრფელი სურვილისა, ეს ხელშეკრულება მთლიანად არ არის შესრულებული. ტრანზიტის რეალიზაცია სავსებით არის განხორციელებული. შეკვეთილია 40 მილიონი ლატის საქონელი, მაგრამ გატანილია მხოლოდ 20 მილიონი ლატის. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს, რომ შეკვეთილი საქონელი მთლად იქნას გატანილი. დაბრკოლება გამოიწვია კრედიტების საკითხმა, აგრეთვე იმან, რომ ლატვიელი მრეწველნი მომზადებულნი არ იყვნენ ხელშეკრულების შესრულებისათვის. ყველა დაკვეთა თავის დროზე არ იყო ჩაბარებული. მდგომარეობას ის ართულებს, რომ საბჭოთა კავშირი მოითხოვს კრედიტის პირობების შემსუბუქებას. საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რის გაღება შეუძლია ამ მხრივ ლატვიას". (ადს).

მუშათა ბრძოლა გერმანიაში

გაფიცვა გრძელდება

ბერლინი, 31 იანვარი. ბერლინ-ხენიგსდორფის სატკეცი ქარხნების გაფიცულმა მუშებმა გაფიცვის კომიტეტი აირჩიეს. მუშების კრებას დაესწრო მელითონეთა რეფორმისტული კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც დაშალა კრება. გაფიცვის კომიტეტმა კრება ხელახლა გახსნა. მუშებმა დაადგინეს— განაგრძონ გაფიცვა გაფიცვის კომიტეტის ხელმძღვანელობით. (ადს).

მემარცხენე ფრთის გამარჯვება

ბერლინი, 31 იანვარი. უკანასკნელი არჩევნების შედეგად რკინის-გზელთა მთლიანობის კავშირის ადგილკომი დიუსბურგში, მშენებელთა კავშირის ადგილკომი მიულჰეიმში, მეჩექმეთა ცენტრალური კავშირის ადგილკომი რეისენფელდში და მანქანების მშენებელთა ადგილკომი ჰამბურგში, რომლებშიაც წინად რეფორმისტები იყვნენ გაბატონებული, მემარცხენე ფრთას შეუერთდენ. (ადს).

გაფიცულთა დევნა გერმანიაში

ბერლინი, 31 იანვარი. როგორც „როტე ფანე"- იუწყება, გრეიცში პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცულ ფეიქრებს. ბევრი დაიჭრა. 9 მუშა დააპატიმრეს (ადს).

ცვლილებანი გერმანიის მთავრობაში

ბერლინი, 31 იანვარი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„რეიხსკანცლერმა ჰერმან მიულერმა პრეზიდენტ ჰინდენბურგს გაუკეთა მოხსენება გერმანიის მთავრობაში ცვლილების მოხდენის შესახებ".

შენიშვნა: ცვლილება გერმანიის მთავრობაში დაკავშირებულია ეხლანდელი მთავრობის კოალიციის ჩამოყალიბებასთან. ამჟამად კოალიცია ოფიციალურად „არ არსებობს" და მინისტრები, რომელნიც ბურჟუაზიულ პარტიებს ეკუთვნიან, მთავრობის შემადგენლობაში შედიან „პერსონალურად" და არა როგორც თავიანთი პარტიების წარმომადგენელნი. პარტიული წარმომადგენლობის საფუძველზე მთავრობაში შედიან მხოლოდ სოციალ-დემოკრატები.

„სოციალ-დემოკრატს"-ი საბჭოთა წინადადების შესახებ

რიგა, 31 იანვარი. „სოციალ-დემოკრატს"-ი მოწინავე წერილში ეხება იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოეპყრას ლატვია საბჭოთა წინადადებას კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ. **წერილის ავტორი მენდერსი მხარს უჭერს იმას, რომ ლატვია შეუერთდეს ოქმს, მაგრამ ზედმეტად მიაჩნია მონაწილეობა პოლონეთის კომბინაციაში.** პოლონეთი სცდილობს ლიტვინოვის წინადადება გამოიყენოს იმისთვის, რომ თავისი ხელმძღვანელობით შეჰქმნას ანტისაბჭოთა ბლოკი, რომელშიაც უნდა შევიდნენ პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია და რუმინეთი (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ბაჩე საკაო ქაბულში რჩება

ლონდონი, 1 თებერვალი. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: არ დადასტურდა ხმები იმის შესახებ, ვითომც ბაჩე საკაოს გადაეწყვიტოს ქაბულის დატოვება და ფეშავერში წასვლა ინგლისის ჰაეროპლანით (ადს).

საბჭოთა კავშირის წინადადება ლატვიას

რიგა, 31 იანვარი. პრესა იუწყება: საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ რიგაში ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა წინადადება, რომ ლატვია შეუერთდეს ოქმს, რომლის თანახმადაც დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ძალაში კელოგის პაქტი (ადს).

კელოგის პაქტის რატიფიკაცია

რიგა, 1 თებერვალი. ლატვიის მთავრობამ დაადგინა—სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინოს კელოგის პაქტი (ადს).

დისციპლინარული რეპრესიების შეწყვეტა რაკოშის წინააღმდეგ

ვენა, 31 იანვარი. ბუდაპეშტიდან იუწყებიან: უნგრეთის სამოსამართლო ხელისუფლება აცხადებს, რომ 30 იანვარს შეწყდა დისციპლინარული ზომების მიღება რაკოშისა და მისი ამხანაგების წინააღმდეგო. მაგრამ მახლობელთა ნახვის ნებართვა მათ მაინც არ მიეცათ, ამიტომ ამ ცნობას სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ (ადს).

სამხედრო სასამართლოს დანიშვნა შეთქმულთა საქმის განსახილველად

პარიზი, 31 იანვარი. ჰავასის სააგენტო სიუდად რეალიდან იუწყება:

„ქალაქში სრული სიწყნარეა. დაინიშნა სამხედრო სასამართლო შეთქმულთა საქმის განსახილველად" (ადს).

ვიძევსკის მანუფაქტურის მთავარი დირექტორის მოკვლა

ვარშავა, 1 თებერვალი. ლოძში რევოლვერის ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრეს ვიძევსკის მანუფაქტურის მთავარი დირექტორი და თანამფლობელი ალბერტ კონი. მსროლელი აღმოჩნდა მუშა ქშესინსკი, რომელიც ვიძევსკის მანუფაქტურიდან დაითხოვეს. კონმა თავდაცვის დროს დასჭრა ქშესინსკი; იგი პოლიციაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. კონს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მოკვდა. კონის მოკვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლოძში. ვიძევსკის მანუფაქტურა ერთად-ერთი საწარმოა, რომელიც არ დასთანხმდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განხორციელებას და მუშებისათვის ხუთი პროცენტის მომატებას. ამის გამო ვიძევსკის მანუფაქტურის მუშებმა ახალი გაფიცვა გამოაცხადეს, რომელმაც ორი თვეს გასტანა. გაფიცვა მუშების დამარცხებით დამთავრდა; ადმინისტრაციამ პირობა არ შეასრულა და სამუშაოდან დაითხოვა გაფიცვის ბევრი მონაწილე (ადს).

რუმინელი კომუნისტის დობროჯეანუ გერეას პროცესი

ვენა, 31 იანვარი. „ადევერულ"-ი იუწყება: ცნობილი რუმინელი კომუნისტის დობროჯეანუ გერეას საქმე თებერვალში გაირჩევა. დობროჯეანუ სიმშილობას განაგრძობს. (ადს).

ახალი დანიშვნები

მოსკოვი, 1 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭომ თანამდებობიდან გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საბერძნეთში ამხ. აშკენაძე და მის მაგივრად დანიშნა ამხ. ბლაგოვი (ადს).

პრიმო დე-რივერას დიქტატურა აუცილებლად დაემხობა

პარიზი, 1 თებერვალი. საფრანგეთის პრესა მხოლოდ ოფიციალურ ცნობებს აქვეყნებს ესპანეთში შექმნილი მდგომარეობისა და სიუდად რეალში აჯანყების ცდის შესახებ. მიუხედავად ოფიციალური და ოფიციოზური ცნობებისა, რომ ესპანეთის მთავრობამ უკვე მოსპო აჯანყებაო, „კოტიდიენ"-ი ბეჭდავს ესპანეთის საზღვრებიდან მოსულ ხმებს იმის შესახებ, რომ აჯანყების ლიკვიდაცია არ მომხდარაო; მთავრობა შეფიქრიანებულია, რადგან ასეთი ამბოხებანი შესაძლებელია სხვა გარნიზონებშიაც მოხდეს. საფრანგეთის პრესა სიუდად რეალში აჯანყების ცდას სთვლის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენად იმ ცდათა შორის, რომლებთანაც დღევანდლამდე პრიმო დე რივერას დიქტატურას ბრძოლა სჭირდებოდა.

მემარცხენე ბურჟუაზიულ პრესას აჯანყება მიაჩნია ესპანეთის მთელი მოსახლეობის პროტესტად დიქტატურის წინააღმდეგ და ინასწარმეტყველობს მის აუცილებელ დამხობას, რაც, გაზეთების სიტყვით, თან გადაიტანს ესპანეთის მონარქიას (ადს).

კელოგის პაქტის გარშემო

დორიო პაქტის შესახებ

პარიზი, 31 იანვარი. როგორც გაზეთები იუწყებიან, დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ, გაცხოველებული კამათის შემდეგ, გადასწყვიტა—რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს კელოგის პაქტის რატიფიკაცია.

სოციალისტების ორგანო „პოპიულერ"-ი იუწყება, რომ, სოციალისტ გრუმბახის წინადადებით, კომისიამ მოსთხოვა მთავრობას—გამოაქვეყნოს საბჭოთა ის ნოტები, რომლებიც მოყვანილია ფრანგულ „ლურჯ წიგნში" (იმ დიპლომატიური დოკუმენტების კრებული, რომელნიც კელოგის პაქტს ეხებიან).

კომუნისტმა დეპუტატმა დორიომ გაილაშქრა კელოგის პაქტის რატიფიკაციის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ პაქტი „იმპერიალისტური თვალთმაქცობის ძეგლს წარმოადგენსო".

კელოგის პაქტის რატიფიკაცია რუმინეთის მიერ

ვენა, 31 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის დეპუტატთა პალატამ ერთხმად მოახდინა კელოგის პაქტის რატიფიკაცია. მოწვეულია პალატის საგარეო საქმეთა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ის საკითხი, თუ რა პოზიციას დაადგება რუმინეთი საბჭოთა წინადადების მიმართ. ფიქრობენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი მირონესკუ გამოვა განცხადებით, რომელშიაც აღნიშნული იქნება რუმინეთის კონტრწინადადებები (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თათბირი შვებულების საკითხზე

მოსკოვი, 1 თებერვალი. გუშინ, 31 იანვარს, შრომის სასახლეში შესდგა ყველა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ კომიტეტებისა და პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის პროექტი შვებულებათა თვეების შესახებ.

ახალი პროექტის თანახმად, მუშა-მოსამსახურეებს შვებულება უნდა მიეცეს მთელი წლის განმავლობაში და არა მარტო ზაფხულობით, ორ-სამ თვეს, ასეთი ცვლილება გამოწვეულია შემდეგი მოსაზრებით: ზაფხულობით იწყება მასიური შვებულებანი, რასაც დიდად აფერხებს საწარმოებისა და დაწესებულებათა მუშაობას. წარსულ წლების მაგალითების მიხედვით გამორკვეულია, რომ შვებულებათა ასეთ პრაქტიკას დიდი არევ-დარევა შეაქვს სამეურნეო გეგმების განხორციელების საქმეში.

ამავე დროს, ზაფხულის თვეები სრულიად საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მუშა-მოსამსახურეთა მთელმა მასამ ისარგებლოს შვებულებით. ამის გამო საწარმოები და დაწესებულებანი იძულებული არიან აძლიონ მუშა-მოსამსახურეებს შვებულების საკომპენსაციო ჯილდო. მუშათა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ეს მიჩნეულია დაუშვებლად. თათბირმა მოიწონა შრომის სახალხო კომისარიატის პროექტი შვებულებათა წესების შესახებ მთელი წლის ყველა თვეების განმავლობაში.

„პრავდა" საქართველოს კინო მრეწველობის სურათ „18—28"-ს შესახებ

მოსკოვი, 1 თებერვალი. „პრავდა" თავის დღევანდელ ნომერში ეხება საქართველოს კინო-მრეწველობის მიერ გამოშვებულ სურათ „18—28"-ს და სწერს: სურათში მოცემულია მეტად საინტერესო მასალები, ფაქტები მოხდენილად არის ერთმანეთთან შეფარდებული, კარგია ფილმის ისტორიული ნაწილი. სურათი საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე საბჭოთა საქართველოს მშრომელი მასების მიღწევათა დემონსტრაციით.

ურთიერთ გაცნობის მიზნით, სურათი „18—28" უნდა ნაჩვენები იქნეს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში. კინო ორგანიზაციებმა კი უნდა მიჰბაძონ საქართველოს სახელმწიფო კინმრეწველობის ამ საუკეთესო მაგალითს. „18—28"-ს გამოშვებით საქართველოს კინმრეწველობამ დიდათ შეუწყო ხელი ბრძოლას შოვინისტური განწყობილებათა წინააღმდეგ.

„კაბუკი"-ს პროცესის პირველი დღე

მოსკოვი. 1 თებერვალი. მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოში დაიწყო მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებაში აღმოჩენილ გარყვნილებისა და ლოთობის ორგანიზაციის — „კაბუკი"-ს მონაწილეთა საქმე. ბრალდებულთა სკამზე ზის 11 კაცი, მათ შორის: „კაბუკი"-ს იდეური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი **კარმანოვი** (მშენებელთა კავშირის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციის ბიუროს ტეხნიკური მდივანი), **დანილოვი** (მშენებელთა კავშირის საგუბერნიო განყოფილების მდივანი), **ივანოვი** (ბუხჰალტერი), **გლაზკოვი** (მშენებელთა კავშირის ცენტრალური კლუბის კომენდანტი), **სელივანოვი** (პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი), **დეგდინგ** (საქმეთა მმართველი) და **ნაიდენოვი** (ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციის ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი).

კარმანოვს თავი თამამად უჭირავს, ის ღებულობს სხვადასხვა პოზებს ფოტოგრაფიულ აპარატების წინაშე. დანარჩენები დარცხვენილნი არიან, ემალებიან ფოტოგრაფებს. სასამართლომ პირველად დაჰკითხა კარმანოვი, რომელიც ხალისით და პათოსით მოუთხრობს სასამართლოს „კაბუკი"-ს დაარსებისა და „მოღვაწეობის" ისტორიას. მშენებელთა კავშირის მუშაკნი—პროფესიონალი ლოთები, სისტემატიურად, იკრიბებოდნენ რესტორანში ულანის ქუჩაზე. აქ ერთ-ერთ მორიგ ქეიფის დროს ჩაისახა „კაბუკი"-ს ორგანიზაციის იდეა. შედგენილ იქნა წესდება, პირობა დასდვეს ურთი-ერთ დახმარების შესახებ ყოველ განსაცდელის დროს, განსაკუთრებით დაპატიმრების შემთხვევაში: „კაბუკი"-ის საორგანიზაციო ხარჯებისათვის კარმანოვმა გაიტანა კავშირის სალაროდან 3.000 მანეთი.

ორგანიზაცია დიდი პარტიებით ყიდულობდა ღვინოს ქეიფის მოსაწყობად. ქეიფის შემდეგ ლოთები პროსტიტუტკებთან ერთად რჩებოდნენ კავშირის შენობაში და ზოგჯერ ცენტრალურ კლუბშიაც. ორგიები ხშირად გათენებამდე გრძელდებოდა.

სასამართლოს დარბაზი გაჭედილია. პროცესს უმეტესად ესწრება მუშა-მშენებლები.

„დროშა" № 2
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავხედებულ ტროცკისტებმა პასუხი უნდა აგონ

თბილისის ორგანიზაციის პარტუჯრედების დადგენილებანი

ტყავეულობის ქარხნის (№ 1), ფეხსაცმელების ფაბრიკის, „ზაკავტოპრომტორგ"-ის, მეხანძრეთა რაზმის, მე-3 სტამბის, ტრამვაის, კოლექტივის, სტალინის სახელობის ქარხნის, მთავარ სახელოსნოების სამჭედლო ცეხის, საქართველოს დეპოს და 26 კომუნარის სახელობის ქარხნის უჯრედების პარტიულ კრებებზე განხილულ იქნა საინფორმაციო ცნობა კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული ორგანიზაციის აღმოჩენის შესახებ მოსკოვში და ტროცკისტ-მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების შესახებ თბილისში.

ხსენებულ უჯრედების ღია კრებები, კომკავშირელებთან და უპარტიო მუშებთან ერთად აღშფოთებით ჰგმობენ ტროცკისტული ჯგუფების მოქმედებას, რომლებიც გადაიქცნენ ანტი-საბჭოთა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციად, პროლეტარული დიქტატურის დაუძინებელ მტრებად.

ტროცკისტული ჯგუფები გაafთრებულ წინააღმდეგობას უწევენ კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთავარ სამეურნეო—პოლიტიკურ ღონისძიებებს; სოციალისტური მშენებლობის დროებით სიძნელეებს იყენებენ კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის, აწვითარებენ ანტი-საბჭოთა ნაციონალისტურ-შოვინისტურ აგიტაციას და დეზორგანიზატორულ-პროვოკაციულ მუშაობას ეწევიან საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით.

კრებები ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს: კონტრ-რევოლიუციონერების დაპატიმრებას მოსკოვისა და თბილისში და მოითხოვენ — კვლავაც უალრესად ენერგიული ზომები იქნას მიღებული კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ მოისპოს ტროცკისტების ანტისაბჭოთა მოქმედება.

საბჭოთა საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი

გუშინ, 1 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ნახალის წითელ დარბაზში გაიხსნა სრ. საქართველოს ცაკის მიერ მოწვეული მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიის რწმუნებულთა რესპუბლიკანური თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც კრებას მიმართა შემდეგი სიტყვით:

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ჩვენ უკვე ჩავატარეთ საბჭოების საანგარიშო კამპანია და შევედით საბჭოების საარჩევნო პერიოდში. შედარებით წარსულ წლებთან, ამ კამპანიას ჩვენ გაცილებით მომზადებულად შევხვდით. პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები დარაზმულად გამოვიდნენ. მაგრამ მიუხედავად ასეთი მომზადებისა, ჩვენ შეცდომებს თავი მაინც ვერ დავაღწიეთ. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პარტიისა და ხელისუფლების მიერ აღებული ხაზის გამრუდებას, როგორიცაა: საშუალო გლეხებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა და ზოგჯერ ამ უფლების მინიჭება ანტი-საბჭოთა, კულაკურ ელემენტებისათვის. ნაწილობრივი არჩევნების ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა საბჭოს კანდიდატების ძალით მოხვევას ამომრჩევლებზე. ამასთანავე ადგილებმა საკმაო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს კულაკურ გამოსვლებს, ზოგიერთი ღარიბი და მოჯამაგირე გლეხები გამოვიდნენ კულაკების დასაცავად. პარტია ადრევე ამბობდა, რომ ამ კამპანიის ჩატარებას მოჰყვება კლასთა ბრძოლის გამწვავება, ეს წინასწარმეტყველება მთლიანად გამართლდა. დღეს თათბირის მიზანს შეადგენს ჯამი გაუკეთოს ჩატარებულ მუშაობას და დასახოს გზები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რადგან არჩევნების ჩატარების დროს, მოსალოდნელია კულაკურ-ნეპმანური ელემენტების იერიშების გაძლიერება.

საანგარიშო კამპანიის შედეგები

(ამხ. ვარძიელის მოხსენება)

ამჟამად ცნობები საანგარიშო კამპანიის შედეგების შესახებ მოგვეპოვება 183 თემიდან. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ცნობებიც მდიდარ მასალას იძლევა იმის დასასურათებლად, თუ რა ნაკლოვანებანი და მიღწევებია საანგარიშო კამპანიის ჩატარებაში. მე უმთავრესად შევეხები დეფექტებს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მრავალი დირექტივებისა, ზოგიერთი საარჩევნო კომისიები უშვებდა უხეშ შეცდომებს, რომლებიც ნაწილობრივად შემდეგ გასწორებული იქნა. ზუგდიდის მაზრაში საარჩევნო კომისიებში შეყვანილი არ იყო მოჯამაგირე, რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში საარჩევნო კომისიაში გაურბოდნენ საშუალო გლეხის შეყვანას. შორაპნის მაზრის ერთ-ერთმა სათემო საარჩევნო კომისიამ გამოყო 6 სოფელში „სასოფლო-საარჩევნო კომისიები". აღსანიშნავია ქალების სიმცირე საარჩევნო კომისიებში.

ამომრჩეველთა აღრიცხვა და შავი სიების შედგენა

ზოგიერთი საარჩევნო კომისიები ამოწმებდნენ მხოლოდ შავ სიებს, ამავე დროს არ ხდებოდა ამომრჩეველთა სიების გადათვალიერება. საარჩევნო კანონის შეფარდების დროსაც დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომები, ზოგან საარჩევნო უფლება ენიჭებოდა კულაკებს და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტებს და ამ უფლებასართმევდნენ საშუალო გლეხებს, ხელოსნებს, მოსამსახურეებს და სხვ. ზოგიერთი მერყევი კომუნისტი და კომკავშირელი მოყვ. კულაკების გავლენის ქვეშ, ქეიფობდნენ მათთან და შემდეგ კი გამოდიოდნენ მათ დასაცავად, მოითხოვდნენ საარჩევნო ხმის მიცემას კულაკისათვის. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას, როცა შავ სიაში მოყვნენ თვით საბჭოს კულაკი წევრიც. ახალქალაქის მაზრის გორელოვის თემში საბჭოს 10 წევრს ჩამოერთვა კანონიერად საარჩევნო ხმა, ქუთაისში 200-მდე კომკავშირელს და ათეულ პარტიულს ჩამოერთვა საარჩევნო უფლება. ყველა ეს ფაქტები გვაიძულებენ მეტი სიფხიზლე გამოვიჩინოთ საარჩევნო კამპანიის დროს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სამაზრო საარჩევნო კომისიებიც უშვებდნენ უხეშ შეცდომებს. აფხაზეთის ერთ-ერთმა სამაზრო საარჩევნო კომისიამ განკარგულება გასცა, რომ **საშუალოდ საარჩევნო ხმის უფლება აღკვეთილები არ აღემატებოდნენ 4 პროცენტს.** კახეთის მაზრაში მიმაგრებულმა ერთ ერთმა მუშამ კრებას განუცხადა, რომ იმ პირს, რომელსაც შეუსრულდა 60 წელი, არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებშიო მაგრამ გლეხების პროტესტის შემდეგ აღნიშნული ასაკის ხალხს „დაუტოვა სათათბირო ხმის უფლება".

ბრძოლა კულაკებთან

მთელი რიგი მაზრებიდან მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ საშუალო გლეხების გამოყენება კულაკების წინააღმდეგ ღარიბებთან ერთად წესიერად ვერ სწარმოებს, ამიტომ ღარიბებზე გავლენის მოსახდენად კულაკები იყენებენ საშუალო გლეხობის ნაწილს და ზოგჯერ აღწევენ კიდევაც ამ მიზანს, ზოგიერთ ადგილებში ღარიბები გამოვიდნენ მღვდლების და კულაკების დამცველთა როლში.

აფხაზეთში მოჯამაგირე, რომელსაც კულაკები 8 მანეთს აძლევდნენ დღეში, ღამით დადიოდა და აგროვებდა კულაკების სასარგებლოთ ხელმოწერას.

საანგარიშო კამპანიასთან დაკავშირებით შემჩნეულია კულაკურ და ანტი-საბჭოთა სხვა ელემენტების აქტივობის გაძლიერება.

მოსალოდნელია რომ ეს აქტივობა უფრო გაიზრდება არჩევნების დროს. მათი ბრძოლა უმთავრესად გამოიხატებოდა 2 ფრონტით: აშკარა გალაშქრებით და თავის მოკატუნებით; ზოგან კულაკები იჩენდნენ იშვიათ „ქველმოქმედებას", ზოგან კი აშკარად სცდილობდნენ ხულიგნური საქციელით კრებების ჩაშლას, ტერორის ქვეშ აყენებდნენ პარტიულებს, კომკავშირელებს და მოჯამაგირეებს, სცდილობდნენ საშუალო გლეხობის იზოლიაციას აგიტაციით და პროვოკაციული ხრიკებით და, გარდა ამისა, სოფლის ინტელიგენციის თავის მხარეზე გადაბირებას.

კულაკები იწვევდნენ ფარულ კრებებს, ილაშქრებდნენ კოლექტიურ მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წინააღმდეგ და სხვ. ბორჩალოს მაზრაში ვენახები გაუნადგურეს საბჭოს წევრებს, დაახრჩვეს უწყებების დამტარებელი ღარიბი გლეხი, წაუკიდეს თივას და სხვ. ამ მოქმედებაში კულაკებს არ ჩამორჩებოდა სამღვდელოებაც.

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლი

პირველ ხანებში საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობა ძალზე მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგ ეს ნაკლი გამოსწორებული იქნა, კომკავშირის, პროფკავშირების, ქალთა ორგანიზაციების, კოოპერაციის და სხვ. ხაზით დაგზავნილი იქნა სათანადო დირექტივები, რომელთა ცხოვრებაში გასატარებლად ბოლო დროს გადადგმული იყო პრაქტიკული ნაბიჯები.

შედარებით წარსულ წლებთან, წელს ამომრჩეველთა აქტივობა თვალსაჩინოდ გაიზარდა, დასწრება საშუალოდ 65 პროცენტს უახლოვდება, ხოლო ზოგიერთ ადგილებში კი 80 პროცენტს აჭარბებს, გადიდებულია 50 პროცენტით აგრეთვე საარჩევნო უბნების რიცხვიც, რამაც ხელი შეუწყო ამომრჩეველთა მეტი რაოდენობით დასწრებას.

კამათი ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა.

ამხ. გურგენიძე (გურია). აღნიშნავს, რა ამომრჩეველთა აქტივობის ზრდას, დამსწრეთა პროცენტის გადიდებას და კლასთა ბრძოლის გამწვავებას, აცხადებს, რომ საანგარიშო კამპანიის დროს ანტისაბჭოთა ელემენტები პასივობას იჩენდნენ. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ტაქტიკური ნაბიჯია და არჩევნების დროს პასივობა აქტივობად შეიცვალოს. ინფორმაციის საქმეს აბრკოლებს ფოსტის მოუწესრიგებლობა.

ამხ. რაფავა (ბორჩალო). კულაკური ელემენტები ტერორის ქვეშ აყენებენ ღარიბებს და კომუნისტებს, მაგრამ მათ წინააღმდეგ არ არის მიღებული მკაცრი ადმინისტრატიული ზომები, არც მილიციის და არც სასამართლოს მიერ. ბორჩალოს მაზრაში სამღვდელოება ილაშქრებს ახალი თათრული (ლათინური) ალფაბეტის წინააღმდეგ. კრებებზე ქალები მოითხოვდნენ, რომ საარჩევნო ხმის უფლება ჩამოერთვას იმ მამაკაცებს, რომლებიც მრავალცოლიანობას მისდევენო. ერთ-ერთ აღმასკომის თავმჯდომარეს დღესაც ორი ცოლი ჰყავს.

აფციაური (კახეთი). ზოგიერთ თემებში საბჭოს მუშაობა ცნობილი იქნა არადამაკმაყოფილებლად, რაც მოწმობს იმას, რომ თვითკრიტიკა ფართოდაა გაშლილი. კახეთის მაზრაში საარჩევნო ხმის უფლება აღკვეცილნი შეადგენენ 6,7 პროცენტს, წარსულში კი იყო 7,5 პროცენტი, რაც აიხსნება იმით, რომ ყოფილმა თელავის მაზრამ წარსულში საარჩევნო ხმის უფლება წაართვა საშუალო გლეხობას და წელს კი ზოგიერთი სათემო საარჩევნო კომისიების მიერ დაშვებული იქნა შეცდომები კულაკების და საშუალო გლეხობის შეფასების საკითხში.

ამით დამთავრდა თათბირის პირველი სხდომა.

ბაქოს პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა

ბაქო, 1 თებერვალი. დამთავრდა ბაქოს მეთვრამეტე პარტკონფერენცია.

31 იანვრის დილის და საღამოს სხდომებზე აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენების, ამხ. ნაზარეტიანის მოხსენების („ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ") და ამხ. კარაევის მოხსენების („სოფლად მუშაობის შესახებ") გამო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები, რის შემდეგ მან აირჩია ბაქოს კომიტეტის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და დელეგაცია აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის მორიგ ყრილობაზე.

ბაქოს კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულია 110 წევრი და 27 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში 12 წევრი. აზერბაიჯანის კომპარტიის ყრილობაზე ბაქოს ორგანიზაციიდან იგზავნება 582 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 108 დელეგატი სათათბირო ხმით.

ბაქოს კომიტეტში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები:

ალავერდიევი, აგაჯანოვი, ადიგეზალოვი, აბდულ-ალი მეიბალი, ადროვი, აფანასიევი, ალამიროვი, ალი-მამედ ალიევი, ასადულა, ალი-იუსუფ, ახუნდოვი, აბდულაევი, ასტაფიევი, ამირ-ასლანოვი, ახუნდოვი, არიშევი, აირაპეტოვი, ბარინოვი, ბაბა-აგაევი, ბუნიატზადე, ბოზოვი, ბარხაშოვი, ბულიჩევა, ბოგუშ, ბაზშეევი, ბლიტკოვი, ვასილიევი, ვასინი, გულიევი, გოდლევსკი, ჰუსეინ რამაზანი, გუტინი, გარინი, დავიდოვი, დობროვოლსკი, დეიკინი, ბოროშკევიჩი, ეგიპიანი, ეროშენკო, ერმოხინი, ზეინალოვი, ისმაილოვი, ივანტიევი, კაზანსკი, კონუშკინი, იუსუფ კასიმოვი, კარაევი, კრილოვა, კაგრამანოვი, კარახმედოვი, ხაფარ კულიევი, კრივონოგოვ, კისელევი, კაგრამანოვი, კორობოვი, ვასილ კრილოვი, კაჩაევი, კუჩეროვი, კაჩაევი, კუშნერი, კრილოვი, კასპაროვი, კირიუშინი, მუსტაფა კულიევი, ლისან-ტინი, მამედოვი, მირონოვი, მამედოვი, მურტუზოვი, მანაკოვი, მირზოიანი, მიხეევი, ნასიროვი, ნური სადიხ, ნიკიშინი, ოგნოსოვი, ორეხოვსკი, პიტერსკი, პერსიკოვი, პარუშინი, რაგიმოვი, რუმიანცევი, რახმანოვი, რახმეევი, რზაევი, სტეპანოვი, სესინი, ტვერეტინოვი, ტაუტიევი, ტრუსოვი, ჰუსეინოვი, ხალფა მუსეინი, ჩეჩეტკინი, ჩიროვი, ჩუპრიკოვი, შატუნოვი შაფირ, ოსკად ეფენდიევი, ნურულა იუსუფოვი, იუგანსოვი, იარიგინი, იაკოვლევი,

კანდიდატები: აბდულა ასადულა, ვაირამოვი, ვადანოვი, შამხალ გაჯი, ბუბენკოვი, გალკინი, დაიუროვი, გრიგორიანი, კზიუკოვი, ლავრენტიევი, ლინინ, ვანინი, მურადოვი, მაქსიმოვი, მამედოვი, პახომოვი, რამაზანოვი, სკოტნოვი, ს. სტეპანიანცი, სოკელი, სტეპანინცი, სმირნოვი, სიროტკინი, ტოშჩიევი, ფილიპოვი.

მოსავლიანობის გადიდება და თესვის კამპანია

კამათი ამხ. ფ. მახარაძის და ს. ჯუღელის მოხსენებათა გარშემო

მიწადმოწყობისა და მიწადმოქმედების მუშაკთა თათბირზე

როგორც გუშინდელ მოკლე ანგარიშში იყო აღნიშნული, სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების და ამასთან დაკავშირებით მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის საკითხებმა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ სამიწადმოქმედო ორგანოებმა და საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენლებმა, აგრონომებმა და მიწადმოქმედების სპეციალისტებმა.

ამხ. გედევანიშვილი

(მიწსახკომის სას.-სამ. სამმართველოს უფროსი)

მიწადმოქმედების მუშაკთა პირველ თათბირზე რამოდენიმე ამხანაგმა ხაზი გაუსვა რომ მოსავლიანობის გადიდების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხორბლეულობის კულტურას, მისი დამუშავების გაუმჯობესებას. მაშინ ზოგიერთმა ჩვენმა მოღვაწემ ეს აზრი ჩასთვალა დისონანსად ჩვენ სამეურნეო პოლიტიკაში. დღეს უკვე ხელისუფლებისა და პარტიის მიერ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება მიჩნეულია დიდ პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად, რომელიც მოითხოვს მთელი საზოგადოებრივი ძალების ამოქმედებას და შეკავშირებას. მოსავლიანობის გადიდება არ არის მარტო აგრონომიისა და ვიწრო სპეციალისტების საქმე. მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭიროა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერება. გლეხმა უნდა შეითვისოს ჯიშიან კულტურის წარმოება. გლეხი უნდა მიეჩვიოს ნიადაგის დამუშავებას გაუმჯობესებული ტეხნიკით, სასუქი მასალის ხმარებას და სხვ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია აგრონომს გააკეთოს ის, რასაც მას ავალებს სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების ამოცანა. მაგრამ ეს არ კმარა. მოსავლიანობის გადიდებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბუნებრივი პირობების შესწავლა. სასოფლო მეურნეობის წარმოებას მტკიცე საფუძველი ჩაეყრება მხოლოდ მაშინ, თუ სასწორით იქნება გამორკვეული საქართველოს რაიონები ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიური მნიშვნელობის თვალსაზრისით. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ გვექნება საქართველოს სწორი ეკონომიური დარაიონება, მოგვეცემა საშუალება შევადგინოთ მოსავლიანობის გადიდების სწორი გეგმები. დღეს ჩვენი აგრონომი მოქმედებს, როგორც თვალახვეული, რომელმაც არ იცის, თუ რა ღონისძიებები შეეფერება ამა თუ იმ რაიონის მეურნეობის აღორძინებას. მაგ.—ყველა ნიადაგისათვის ერთი და იგივე სასუქი არ გამოდგება. აგრონომს არ შეუძლია ურჩიოს გლეხს ესა თუ ის სასუქი, რადგან არ იცის ნიადაგის თვისება. ეს უბრალო მაგალითი ამტკიცებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების შესწავლას.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ჩვენში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამელიორაციო ღონისძიებებს. საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ. პირველ ყოვლისა ბორჩალოს და ყარაიაზის რაიონში, უნდა აღვადგინოთ სარწყავი სისტემები, რომლებიც ამჟამად თითქმის სავსებით მოშლილია. საერთოდ, ჩვენი აგრონომები მოვალენი არიან თავის მოღვაწეობაში დაეყრდნონ იმ ხაზს, რომელსაც ატარებს სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში საბჭოთა ხელისუფლება. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია—ეს არ არის უბრალო ლოზუნგი, ეს არის გზა, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება და აგრონომია გულისხმობს სოფლის წინსვლას.

შემდეგ ორატორი ეხება საგაზაფხულო კამპანიას და ამბობს, რომ მომხსენებლის მიერ გარკვეულად არ იყო ნათქვამი, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სხვადასხვა მაზრები რესურსებით ამ კამპანიის ჩატარების დროს. აგრონომებმა და ადგილობრივ მიწისმზომელებმა გარკვევით უნდა იცოდნენ, თუ რა დახმარებას მიიღებენ, მით უმეტეს, რომ მაზრების სახსრები სასოფლო მეურნეობისათვის მეტის მეტად განსაზღვრულია.

ამხ. ბერაძე

(უდინის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა)

სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ორგანიზაციების მიერ თავიანთი დაპირების სისრულით და დაუგვიანებლად შესრულებას. ჩვენმა ორგანიზაციამ საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმა შეადგინა სოფლის კავშირიდან მიღებულ დაპირების მიხედვით (რომელიც სათესლე მასალისა და იარაღ-მანქანების მიწოდებას შეეხებოდა), მაგრამ გეგმა 20 პროც., არ იქნა შესრულებული, რადგან შეპირებული მასალისა და იარაღ-მანქანების მიღებას ერთი თვით დააგვიანდა. აგრონომიული დახმარება ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა შეეფარდოს რაიონის პირობებს, რომლებიც დღემდე შეუსწავლელია; ამას ბოლო უნდა მოეღოს. აუცილებელია აგრეთვე აგრონომმა იცოდეს იმ გლეხების ენა, რომელთა შორის მუშაობს. ახალციხის მაზრაში კი იგზავნებიან აგრონომები, რომელთაც თარჯიმანები სჭირდებათ.

მოსავლიანობის გადიდების მიზნით აუცილებელია მელიორატიული მუშაობის გაძლიერება. წყალთა მეურნეობის სამმართველო კი თითქმის არაფერს არ აკეთებს. რაც შეეხება თესვის კამპანიას, საჭიროა უფრო მეტი თესლის მიწოდება. შარშან, მთელ მაზრაზე მივიღეთ მხოლოდ ათასი ფუთი ხორბალი. გლეხს კი ესაჭიროებოდა ორი ფუთი თესლი. ჩვენ მივეცით მხოლოდ ერთი ფუთი. რის გამო მას ყანების ნაწილი დაუთესელი დარჩა. ზოგიერთმა თესლი კულაკებისაგან ისესხა და ჩავარდა მათ ვალში. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების მიერ გახსნილი კრედიტი ღარიბ გლეხობისათვის ზოგ შემთხვევაში არ ხმარდება დანიშნულებას. მომხსენებელს არ უთქვამს, თუ რამდენ თესლს მიიღებს თვითეული მაზრა. ამის ცოდნა კი ჩვენთვის აუცილებელია, რომ გლეხს დანამდვილებით უთხრათ, რამდენ თესლს მივცემთ.

ამხ. კობახიძე

გასულ საშემოდგომო თესვის კამპანიის დროს დაუშვით შეცდომები, რომლებიც ახლა არ უნდა განმეორდეს. მაგ., ერთ-ერთ მაზრის კომისიამ სათესლე ხორბლეულობა მოახმარა თავის ტრანსპორტის საჭიროებას. ეს ყოვლად დაუშვებელია. ზოგიერთი თემ-აღმასკომები არ უწყობენ ხელს თესვის კამპანიებს, პირიქით—ზოგან აბრკოლებენ კიდეც. ერთმა თემმა სათესლედ მიიღო 200 ფუთი, მაგრამ არ დაარიგა. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სხვა თემებშიაც. გასული კამპანიების დიდი ნაკლი იყო აგრეთვე ტრაქტორებისათვის საწვავი მასალის მიწოდების მოუწესრიგებლობა, რის გამო ბევრგან ტრაქტორების მუშაობა შეჩერებული იყო. შემდეგი ნაკლი ის არის, რომ ჩვენ ტრაქტორებს და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, რომელთა რიცხვი განსაზღვრულია, საკმაო ინტენსივობით ვერ ვამუშავებთ, ვერ ვტვირთავთ სათანადოდ. მომავალ კამპანიაში ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს.

კონტრაქტაცია ჩვენი მოსავლიანობის გადიდების ერთი მთავარი ღონისძიებათაგანია. იგი გადაუხვევლად უნდა ტარდებოდეს ისე, რომ არ გამრუდდეს კლასიური ხაზი. ამას კი გასულ კამპანიის დროს ჰქონდა ადგილი. ზოგ ალაგს თესლსა და ავანსებს ურიგებდნენ ისეთ ჯგუფებს, სადაც შედიოდნენ შეძლებული გლეხები. ეს არღვევს ჩვენ ხაზს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კრედიტების მიზნობრივ გამოყენებას, იყო შემთხვევები, როცა გლეხი მუშა-საქონლის შესაძენად მიღებულ სესხს სულ სხვა საქმეს ახმარდა.

ამხ. ნადარეიშვილი

(მიწადმომწყობი)

მოსავლიანობის გადიდება უპირველეს ყოვლისა, ევალებათ კოლექტივებს, მაგრამ მიწის რაოდენობა, რომელიც კოლექტივების დიდ უმრავლესობას აქვს არ კმარა მოსავლიანობის გასადიდებლად, მცირე მიწების დასამუშავებლად ბევრი თანხის გაღება ხარჯებს არ გაამართლებს. საჭიროა კოლექტივებს გაუდიდდეს მიწის ნაკვეთები იმ გლეხობის ხარჯზე, რომელთაც ნორმაზე მეტი მიწა მოეპოვებათ.

ამხ. მუავანაძე

(მიქელ-გაბრიელის საკრედიტო ამხანაგობა)

მაზრაში აგრონომთა რიცხვი ძალიან მცირეა, მხოლოდ სამი აგრონომი მუშაობს. სოფლის ახალგაზრდობის სკოლას არ გააჩნია ერთი აგრონომიც კი. ეს მაშინ, როცა თბილისში და სხვა ქალაქებში აგრონომები მათი სპეციალობისთვის შეუფერებელ სამსახურში იმყოფებიან. სათესლე ფონდის შექმნაზე თვითონ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, ჩვენმა თემმა მოახერხა ფონდის შექმნა შემდეგი წესით: დაურიგეთ თვითეულ გლეხს ათი გირვანქა კაკვავის სიმინდი, იმ პირობით, რომ მოსავლის დასასრულს მოეყიდა ჩვენთვის ერთი ფუთი სათესლე სიმინდი. ამრიგად, ათას ფუთ სიმინდის დარიგებით შევაგროვეთ სამი ათასი ფუთი სიმინდი. შემცდარია აზრი, თითქოს გურიაში, განსაკუთრებით ჩაის რაიონებში ტრაქტორი გამოუდეგარი იყოს. აუცილებლად საჭიროა გავადიდოთ ტრაქტორების რიცხვი. მოსავლიანობის ერთი მთავარი ღონისძიებათაგანი ჩვენში არის ჭაობების ამოშრობა. ამჟამად გურიაში ბევრი ისეთი ადგილებია, რომლებიც წინად კარგ მოსავალს იძლეოდა, მაგრამ ეხლა დაჭაობიანებულია. საჭიროა პატარა არხების გაყვანა, რასაც ბევრი თანხები არ სჭირია და რაც შეიძლება ადგილობრივი ძალებით, თუ შესაფერი ორგანიზაციული მუშაობა ჩატარდება.

ამხ. კაკაბაძე

(საცდელ-სამანქანო განყ. გამგე)

აგრონომიული მუშაობის წარმოება არ შეიძლება შემთხვევით, საჭიროა იგი წინასწარ გამომუშავებულ გეგმას ემყარებოდეს. გეგმა კი უნდა მუშავდებოდეს იმ მასალის მიხედვით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ და ეკონომიურ პირობების შესწავლის შემდეგ უნდა დაგროვდეს. ჩვენი აგრონომიული მუშაობის მეორე მთავარი პირობაა მიწადმოწყობის ჩატარება, მიწადმოწყობა იგივე აგრონომიული მუშაობაა, რომელიც უნდა შეუფარდდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის პროცესებს, მის განვითარებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ჩვენს საცდელ დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც დღემდე ვერ შევძელით სათანადო ნიადაგზე დაგვეყენებია. ამ დაწესებულებებს დღესაც არ შეუძლიათ გლეხს უთხრან: ამა და ამ რაიონში ესა და ეს კულტურა გაავრცელეთ, ასეთი წესით დაამუშავეთ მიწა და სხვ.

მიმდინარე კამპანიის პრაქტიკულ საკითხებს შორის მთავარი მნიშვნელობა აქვს სათესლე მასალის საკითხს. თუ ჩვენ ვერ შევძელით სათესლე ფონდის შექმნა, ყოველწლიურად დაგვჭირდება ლაპარაკი—თუ საიდან მოვიტანოთ თესლი, ან როგორ შევაგროვოთ იგი გლეხობაში. თესლის შემოტანა სხვა ადგილებიდან მიუღებელია, რადგან ასეთი თესლი არ ეგუება ჩვენი ქვეყნის ნიადაგისა და კლიმატის პირობებს. ჩვენ უნდა შევაგროვოთ არა მარტო სათესლე მასალა, არამედ გაუმჯობესებული სათესლე მასალა, რაც წარმოუდგენელია საცდელ-საჩვენებელი სადგურის გარეშე. ჩვენ მათ საშუალება უნდა მივცეთ, რომ გლეხობას ურჩიონ ისეთი ჯიშები, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა მათ მიერ უკვე საკმაოდ გამორკვეულია. გარდა ამისა, ჩვენ უნდა შევაჩვიოთ გლეხობა მიწის რაციონალური დამუშავებას, დღეს ის მიწას კი არ ხნავს, არამედ სჩიჩქნის, და ძალიან აგვიანებს თესვას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ხშირად თოვლის მოსვლის შემდეგ სწარმოებს. ამით მოსავალი ილუპება.

ჩვენმა აგრონომიულმა ძალებმა ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე ნაკელის გამოყენებას. ამ მიზნით მიწსახკომი წელს აწყობს ას ორმოცდა ათ პუნქტს, რომელიც მიზნად ისახავს ნაკელის სათანადო შენახვას და მით სათესი მინდვრების განოყიერებას. პუნქტებს უნდა დაეხმარონ აგრონომები.

ამხ. მირიანაშვილი

(კახეთის მაზრის აგრონომი)

ის გარემოება, რომ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი თესვის კამპანიის გეგმა საგარაუდოა და არა რეალური, ხელს შეუშლის სისტემატიურ მუშაობას ადგილებზე. თესვის კამპანიის ჩატარებას უმრავლესად აკისრებენ აგრონომებს. მაგრამ თუ ისინი დიდათ იქნებიან დატვირთულნი სხვა საქმეებითაც, ამ დავალებას სათანადოდ ვერ შეასრულებენ. კონტრაქტაციის გატარების დროს ღარიბ გლეხობას უნდა გაუდიდდეს ავანსი, რომელიც ჩვეულებრივ ისე მცირეა, რომ მით თესლის შეძენასაც ვერ ახერხებს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე საცდელ საქმეს ჩვენში უცხოეთსა და რუსეთში წარმოებული ცდები ჩვენი ქვეყნის პირობებში გამოუსადეგარია.

ამხ. გოგოლაძე

(გორის მაზრის სადგ.-მამულო განყ. გამგე)

მოსავლიანობის გადიდებისათვის აუცილებელია თესლის ბრუნვის შემოღება, რაც მოითხოვს მიწების მრავალნაჭრიანობის მოსპობას და თესლის სხვადასხვა ჯიშებს. ამ მიზნით გორის მაზრაში 32 კოლექტივს მიწის ნაკვეთები 3.000-დან 75 ნაკვეთამდე შეუმცირეთ. მაგრამ თესლის ბრუნვა მაინც ვერ შემოვიღეთ, რადგან მიწსახკომმა ვერ მოგვაწოდა სხვადასხვა ჯიშის თესლი. თავი იმით იმართლეს, რომ საზღვარგარეთიდან ვერ მივიღეთო. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი საკუთარი სათესლე ფონდი, რადგან უცხოეთის ჯიშები ხშირად ჩვენში ნაყოფს არ იძლევა. სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხია აგრონომთა ნაკლებობა. ახალგაზრდები ახლებით ამთავრებენ აგრონომიულ ფაკულტეტს. მაგრამ სოფლად წამოსვლას არჩევენ აქაურ სამეურნეო ორგანიზაციებში სამსახურს. საჭიროა, რომ მაზრაში მომუშავე აგრონომისთვის შეიქმნეს წამახალისებელი პირობები. წესად უნდა შემოვიღოთ, რომ ახლად კურსდამთავრებულნი იგზავნებოდნენ სამუშაოდ პროვინციებში მხოლოდ შემდეგ ეძლეოდეთ ადგილი ცენტრში. ამხ. ფილიპე მახარაძის აზრი სოფლის ახალგაზრდობის სკოლების შესახებ არ შეიძლება ყველაზე გავავრცელოთ. ჩვენს მაზრაში ექვსი ასეთი სკოლაა და ახალგაზრდებს, რომლებიც ამ სკოლებში სწავლობენ, თავიანთ ოჯახებში მოწყობილი აქვთ საჩვენებელი ნაკვეთები, რასაც სოფლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები ასეთი სკოლების გამრავლებისათვის რაც მოსავლიანობის გადიდების ერთ ერთ საშუალებას წარმოადგენს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სამეურნეო უცოდინარობის ლიკვიდაციას. ჩვენ მაზრაში მოვაწყვეთ ექვსი ლიკვიდაციო პუნქტი, რომელიც უნდა გაიაროს სამასმა გლეხმა.

რაც შეეხება სათესლე მასალის ნაცვლად მის შესაძენად ფულის დარიგებას,—ეს მიუღებელია, გლეხი ამ თანხას დანიშნულებას არ მოახმარს. მუშა საქონლის შესაძენად კი შეიძლება გლეხს დაურიგდეს გრძელვადიანი სესხი.

ამხ. ბაქრაძე

მოსავლიანობის საკითხის მოწესრიგებას ცოტა არ იყოს ჩვენში გვიან შეუდექით. მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთში და სხვა რესპუბლიკებში უკვე აქვთ კონკრეტული გეგმა, აქვთ გადადგმული ნაბიჯები და მოეპოვებათ მიღწევები, ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ ამ საკითხის განხილვას. წარმოიდგინეთ, ჩვენ ამ საგაზაფხულო პერიოდისათვისაც კი არ გაგვაჩნია მტკიცედ ჩამოყალიბებული გეგმა იმ ღონისძიებებისა, რომელნიც უნდა დაუყოვნებლივ მივიღოთ. საჭიროა მოხდეს გარდატეხა ყველა იმ ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთაც კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან. პირველ ყოვლისა საჭიროა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ნიადაგების პირობების შესწავლა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. კონკრეტიულ ღონისძიებებიდან, რომელთა გატარება ამ თავითვე გვმართებს. აღსანიშნავია აგრიკულტურულ მუშაობის გაძლიერება, სახელდობრ—წმინდა ხარისხოვანი თესლების შემოღება, მათი მოწამვლა და სხვ., რაც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს. საჭიროა მხოლოდ გლეხობის ფართო მასების და ორგანიზაციების ყურადღება ხაზგასმით შევაჩეროთ ამ საკითხზე.

სათესლე მასალის საკითხის მოწესრიგება არ ითმენს გადადებას. ამ საკითხის გადასაწყვეტად არ კმარა მარტო სახელმწიფო სათესლე ფონდის შექმნა, როგორც კანონი გულისხმობს. ასეთი ფონდები უნდა შეიქმნას სოფლისა და თემის ფარგლებში. ეს საქმე უნდა იკისროს გლეხკომებმა, რომლებმაც უნდა შექმნან მუდმივი ფონდი ღარიბი გლეხობისათვის. მაღალ ხარისხოვანი თესლის დასამზადებლად არ კმარა მიწსახკომისაგან გადადებული 3.600 ფუთი, რომლის გამრავლებას კისრულობს მიწსახკომის საცდელი სადგური. მაღალ ხარისხოვანი ჯიშის მოყვანას ხელი უნდა მოკიდონ არა მარტო საბჭოთა მამულებმა, არამედ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებმაც, რომლებსაც მოეპოვებათ სამისო მიწები. გარდა ამისა, სოფლად უნდა შეუდგეთ სათესლე ამხანაგობათა ორგანიზაციას, რომელთა დანიშნულება მხოლოდ მაღალხარისხოვანი თესლის გამრავლება იქნება.

ცუდათ არის ჩვენში აგრეთვე თესლის გაწმენდისა და დახარისხების საქმე. ჩვენი ტრიერები სავსებით არ არიან დატვირთულნი. საქართველოში გვაქვს სულ 210 ტრიერი, რომელსაც გასულ წელს გაუწმენდიათ მხოლოდ 860 ფუთი მარცვალი. ჩვენ იმას მაინც უნდა მივაღწიოთ, რომ თვითეული ტრიერი 5.000 ფუთს მაინც სწმენდდეს, რისთვისაც საჭიროა შეიცვალოს ტრიერების გამოყენების სისტემა, გასაქირავებელი პუნქტების სიშორის გამო ტრიერი გლეხობისათვის მიუწვდომელია. საჭიროა ტრიერების გაერთიანება სოფლობრივ.

რაც შეეხება კონტრაქტაციას,—იგი ჩვენში სათანადოდ არ ტარდება. კონტრაქტაცია გულისხმობს გლეხის მეურნეობაში აგრიკულტურულ ღონისძიებების გატარებას. უმრავლეს შემთხვევაში გლეხებს აგრი-კულტურული დახმარება არ ეძლევათ, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. არ შეიძლება დავფაროთ ის, რომ საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი, რომელნიც მოწოდებული არიან კულტურული და აგრიკულტურული ზეგავლენა იქონიონ ცალკე მეურნეობებზე, დღემდე კარჩაკეტილ ცხოვრებას მისდევენ. ეს დაუშვებელია. ეს ორგანიზაციები უნდა გავხადოთ აგრიკულტურულ შემოქმედების ცენტრად რაიონებში.

ამხ. ნუცუბიძე

(ქუთაისის მაზრის აგრონომი)

უყურადღებოდ არ უნდა დავსტოვოთ რიგში თესვის საკითხი, რიგში თესვა იძლევა თესლის ეკონომიას და აგრეთვე თვით მოსავლის გადიდებას. ქუთაისის მაზრაში რიგში თესვით შეგვიძლია დავზოგოთ 50.000 ფუთი მარცვლეული. ამჟამად მაზრაში ამ წესით ითესება მიწების 18 პროცენტი. შეიძლება ამ პროცენტის 30-მდე აყვანა, თუ სათეს მანქანების რიცხვს გავადიდებთ. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს შეუძლებელია, რადგან 150 მანქანიდან, რომლებიც ყველა მაზრებს უნდა გაუნაწილდეს, ქუთაისის მაზრას სრულიად უმნიშვნელო რიცხვი შეხვდება. თეფშიანი სათესლე მანქანები ჯერ-ჯერობით, სანამ ჩვენი გლეხობა ვერ ახერხებს ნიადაგის გაფხვიერებას, ჩვენს პირობებში მიუღებელია. ქუთაისის მაზრას უმჯობესია მიეცეს სახნისიანი სათესები. რომლებიც უკეთეს შედეგს იძლევა. თესლის შესაძენად ფულის გაღება სესხად დასაშვებია. ამ ფულით გლეხობა თუ სულ არა, თესლის ნაწილს მაინც შეიძენს. გარდა ამისა საჭიროა დაწესდეს კონტროლი დარიგებულ თესლზე. მაზრაში დამზადებული სათესლე მასალა უკვე შერჩეული და გაწმენდილი უნდა იქნეს. ქუთაისის მაზრაში ნაკელი ძალიან მცირეა, რაც საქონლის სიმცირით აიხსნება.

საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მესაქონლეობის განვითარებას, რისთვისაც ბალახების თესვის გავრცელებაა საჭირო. მთავრობამ უნდა იზრუნოს ბალახის თესლის შეძენისათვის და შექმნას წამახალისებელი პირობები ბალახის კულტურის შემოსაღებად. მომხსენებელს არ ულაპარაკია სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის პრაქტიკულ საკითხებზე და სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლის შესახებ. წყალდიდობა ქუთაისის მაზრას დიდ ზიანს აყენებს. წყალდიდობა ერთი მხრივ სპობს ნათესებს და მეორე მხრივ აფუჭებს ნიადაგს. საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა სტიქიურ მოვლენების წინააღმდეგ.

ამხ. ბეშიძე

(რაჭა-ლეჩხუმის საადგილმამულო განყ. გამგე)

ნათესების ფართობის საგრძნობლად გადიდება რაჭა-ლეჩხუმში, სადაც მიწის დიდი სივიწროვეა, შეუძლებელია. მოსავლიანობის გადიდების ერთად ერთი საშუალებაა აგრონომიული დახმარების და აგრიკულტურული მუშაობის გაძლიერება. სამწუხაროდ, მაზრაში აგრონომთა რიცხვი მცირეა, რის გამო ისე არიან დატვირთულნი სხვადასხვა საქმეებით, რომ არა აქვთ საშუალება სოფელ-სოფელ იარონ და გლეხობას ესაუბრონ სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე. მაგ., ჩვენში ნაკელი ბლომად არის, მაგრამ გლეხმა არ იცის მისი გამოყენება. მას იგი უბრალოდ ყრის ყანაში. აქ აგრონომს დიდი დახმარების გაწევა შეეძლო, რომ მას მოცალეობა ქონდეს. რაც შეეხება თესვის მაგივრად გლეხობისათვის ფულის დარიგებას, ფული უნდა დარიგდეს იმ მაზრებში, სადაც თესლის შეძენა მოსახერხებელია, ხოლო იმ მაზრებს, რომლებიც ხორბლეულის ნაკლებობას განიცდიან, თესლი უნდა დაეგზავნოს. საქონლის შესაძენად კი უნდა დარიგდეს ფული, რადგან იმ ფასად, რომელიც დაწესებული აქვს მიწსახკომს, საქონლის შეძენა შეიძლება ადგილობრივ. რაჭა-ლეჩხუმისათვის ცალპირი გუთანი გამოსადეგი არ არის, ის სხვა იარაღით უნდა შეიცვალოს. ამჟამად საკრედიტო ამხ.-ბები ვერ ეწევიან სათანადო მუშაობას მოსავლიანობის გასადიდებლად. საჭიროა ყოველ ამხანაგობაზე მივამაგროთ აგრონომი, რომ მათ სათანადო მუშაობა შესძლონ.

ამხ. ჭყონია

(ახალციხის მაზრა)

მთელი რიგი წლების მოუსავლიანობის გამო ახალციხის მაზრა განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფება. მთავრობის დახმარებას ხორბლეულით მაზრის საჭიროება ვერ დააკმაყოფილა. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებიდან მიღებული კრედიტით შარშან ხალხმა შეიძინა საქონელი, მაგრამ საკვების უქონლობის გამო საქონელი ამ ზამთარში იხოცება. საჭიროა დახმარება და არა მარტო დაპირება. შარშან მიწსახკომი დაგვპირდა 4 ვაგონი სიმინდის მიწოდება. მივიღეთ დეპეშა—სამ ვაგონს ვგზავნით და გაანაწილეთ რაიონებზეო. გავგზავნეთ ბორჯომში ურმების მთელი ქარავანი, მაგრამ მაშინ ვერაფერი ვერ მივიღეთ, სიმინდი მოვიდა მაშინ, როცა ხვნა-თესვა მაზრაში დამთავრდა. ამის გამო კამპანია 10 პროცენტითაც ვერ ჩავატარეთ. თესლის მიუწოდებლობის გამო გლეხი იძულებული ხდება იჯარით გასცეს მიწა. ახალციხის მაზრას ადგილობრივ შეუძლია დაამზადოს თესლი, ამიტომ საჭიროა ჩვენი ხვედრი ფული ჩვენვე გადმოგვცეს. 25 ათასი ფუთი სათესლე ხორბალი ახალციხისათვის ძალიან მცირეა. იგი, საჭიროა გადიდებულ იქნას, რადგან მაზრა მეტის მეტად დამშეულია. აგრონომთა რიცხვი მაზრაში 20-ს არ აღემატება, რაც ძალიან აბრკოლებს აგრიკულტურულ მუშაობას. მცირეა ჩვენს მაზრაში აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები. უნდა გადიდდეს მათი რაოდენობა და გაიხსნას აგრეთვე სახელოსნო მათ შესაკეთებლად.

ამხ. კრავცოვი

(ახალციხის მაზრა, საადგილმამულო განყ. გამგე)

მიწსახკომს ყავს მომზადებულ აგრონომთა და სპეციალისტთა საუკეთესო კადრი, რომელიც მოსავლიანობის გასადიდებლად მუშაობს არა სოფლებში, არამედ აქ, თბილისში. 1929 წელს ეს სპეციალისტები ეწვიენ მაზრას. მაგრამ არავითარი პრაქტიკული მითითებები არ მოუციათ, დახმარების გაცემა და სათანადო ღონისძიების მიღება უნდა სწარმოებდეს დროზე და არა მაშინ როცა თესვის კამპანია თავდება. საშემოდგომო კამპანიისთვის თესლი მივიღეთ ოქტომბერში, ე. ი. მაშინ, როცა თესვა შეწყდა. ბევრი ადგილი დაუთესავი დარჩა. თესლის მაგივრად ფულის დარიგება მიზანშეუწონელია, საქონლის შესაძენათ კი შეიძლება. საჭიროა მაზრაში გაფართოვდეს თესლის საწმენდი პუნქტების ქსელი, რომელიც დღეს საჭიროებას 25 პროცენტითაც არ აკმაყოფილებს, ბაზარს უნდა მიეცეს აგრეთვე ერთი სათესი მანქანა. რომელიც წლიურად 30 ათას ფუთ ხორბალს დაზოგავს. მაზრაში შრომის ტევადიან და მოსავლიან კულტურას წარმოადგენს კარტოფილი, რომელიც მუშავდება სახამებლად ადგილობრივ ქარხანაში. გლეხი ხალისით მისდევდა ამ მეურნეობას, მაგრამ მასზე სას. სამ. გადასახადის გადიდების გამო კარტოფილის თესვა შემცირდა.

ამხ. ესართია

(ზუგდიდის მაზრის საადგილ-მამულო განყ. გამგე)

მზადება გაზაფხულის კამპანიისთვის უნდა სწარმოებდეს შემოდგომიდანვე, ხოლო შემოდგომის კამპანიისათვის გაზაფხულიდან. თვით გლეხებიც ადრიანად უნდა ანეულებდნენ თავიანთ მიწებს, მაშინ ბოლო მოეღება უგეგმო მუშაობას და დაუდევრობას. გასულ წელს ზუგდიდის მაზრას მიაწოდეს ჭვავი. შემდეგ მოახდინეს აქ, თბილისში ცდები და შემოგვითვალეს, რომ ჭვავი არ დათესოთო. ამან დიდი არევდარევა შეიტანა ჩვენს მუშაობაში. ყოვლად დაუშვებელია თესლის მაგივრად ფულის დარიგება. გლეხი მას მიზანშეწონილად არ მოიხმარს. მუშა საქონლის შეძენა კი უნდა დაეკისროს ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებს. აუცილებელია აგრეთვე მაზრას გაუდიდდეს აგრონომთა შტატი და გამოიცეს ბროშურები გასაგებ ენაზე სას. მეურნეობის სხვადასხვა საკითხების შესახებ

ამხ. ჯიბლაძე

(ოზურგ. მაზ. სად.-მამ. განყ. გამგე)

აქ ნაკლებად შეეხენ მელიორაციის საქმეს. რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვათა შორის, ოზურგეთის მაზრისთვის ადგილების დაჭაობიანებამ და წყალდიდობამ იმდენად შეამცირა მოსავლიანობა, რომ მაზრას, რომელსაც მილიონი ფუთი სიმინდი გაჰქონდა გასაყიდათ შარშან დასჭირდა 60.0000 ფუთი სიმინდის შემოტანა და ხალხი მაინც შიმშილს განიცდიდა. წყალთა სამმართველო დაჭაობიანებული ადგილების ამოსაშრობად არაფერს აკეთებს, მხოლოდ ადგილებს ზომავს და გეგმებს ადგენს. მელიორაციის საქმე უნდა დაეკისროს მიწსახკომს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები რიონის, სუფსის ნაპირებზე და ნარიონალის ჭაობების ამოსაშრობად. ეს გაადიდებს მიწის ფართობს და გააჯანსაღებს მთელ რაიონს. ამ რაიონში ერთი სოფელი—ჯაბანა თითქმის სრულიად გადაშენდა. ეს კატასტროფიული მდგომარეობა გვავალებს დაუყოვნებლივ შეუდგეთ ამ საქმეს, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ რამოდენიმე ათასი მანეთი, ახალი მუშა საქონლის შეძენაზე ლაპარაკი მეტია. მაშინ როცა გვიხოცება ის, რაც გვყავს, შარშან გურიაში დაეცა 4,600 რქოსანი საქონელი, ეს იმიტომ, რომ არ გვყავს ბეითლები. ერთი საბეითლო ტეხნიკუმი მაინც უნდა გაიხსნას. ასევე მცირერიცხოვანია აგრონომთა შტატი, რომელიც ამასთან რაციონალურად არ არის გამოყენებული, რა უნდათ აქ თბილისში აგრონომებს საქმის მწარმოებლებათ? აუცილებლად უნდა დაიგზავნონ ახალგაზრდა აგრონომები სოფლებში. უკანასკნელ წლებში გურიაში შემოიღეს ბრინჯის კულტურა, რომელიც რენტაბელური გამოდგა. ქცევაზე 60—80 ფუთი მოდის. საჭიროა ამ კულტურას მიწსახკომმა ხელი შეუწყოს.

ამხ. თანდილაშვილი

(კახეთის სად.-მამ. განყ. გამგე)

კახეთისათვის არ არის დაგვიანებული სიმინდის თესლის შეძენა იმ შემთხვევაში, თუ იმ ფულით, რომელიც კახეთს ერგება, შეძენილ იქნება მანუფაქტურა და გადაცვლილი ადგილობრივ ხორბლეულზე. 250 მან. ულელი კამეჩის შესაძენად არ კმარა, საჭიროა გლეხს მივსცეთ სესხათ მუშა-საქონლის სრული საფასური.

ამხ. ბოგატუროვი

(ახალქალაქის სად.-მამ. განყ. გამგე)

მიზანშეწონილი იქნება მაზრების დაყოფა იმის მიხედვით, თუ სად როგორი მნიშვნელობა აქვს საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის კამპანიებს, არის მაზრები, სადაც წარმოებს უმთავრესად საშემოდგომო თესვა, არის ისეთი მაზრები, სადაც მხოლოდ საგაზაფხულო თესვა ტარდება. ამის მიხედვით უნდა მიექცეს ყურადღება მაზრებს. ახალქალაქის მაზრა, სადაც საშემოდგომო თესვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, არ მიქცევია ჯეროვანი ყურადღება. ჩვენ არ ვიყავით უზრუნველყოფილი სათესლე მასალით, ამიტომ გლეხობას უხდებოდა ფუთი ქერის 9—10 მანეთად შეძენა. დუხობორებს 4 გირვანქა პურისათვის უხდებათ შებმული ფურგუნების გაქირავება მთელი დღით. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე. სამი ტრიერი, რომელიც მაზრას მოეპოვება, იმდენად მოშლილია, რომ არა თუ 10 ათას ფუთს, არამედ 400 ფუთსაც ვერ გასწმენდს. საჭიროა გადიდდეს ტრიერების რიცხვი და მოგვარდეს მათი გადატან-გადმოტანა. ბალახეულობის თესვის განვითარებას მაზრაში მეტად აბრკოლებს დიდი სას.-სამ. გადასახადი ამ კულტურაზე.

ამხ. გურგენიძე

(სუფსის საკრედიტო ამხ-ბა)

სიმინდის ნათესების გადიდებისათვის გურიაში აუცილებლად საჭიროა კონტრაქტაციის შემოღება, რადგან გლეხი ჩვენში იმაზე მეტს არ თესავს, ვიდრე მას საკვებად სჭირია. საჭიროა თესვის კამპანიის დროს არა მარტო სათესლე მასალის, არამედ საკვები პროდუქტების მიწოდებაც, რადგან თესვის კამპანია იმ დროს სწარმოებს, როცა გლეხს საკვები აკლდება და მის შესაძენად უხდება ზრუნვა.

ამხ. ნინუა

(ზუგდიდის სამაზრო აგრონომი)

ჩემის აზრით, პირველ ხუთ წელში მოსავლიანობის გასადიდებლად უნდა ამოვირჩიოთ ისეთი ღონისძიებები, რომელთა გატარება დიდ ხარჯებს არ მოითხოვს და რეალურადაც განსახორციელებელი იქნება. ასეთია ნიადაგის წესიერი დამუშავება და სოფლების იარაღ-მანქანებით უზრუნველყოფა და ისეთ მინერალურ სასუქების გამოყენება, რომელიც ადგილობრივ მოიპოვება. მარტო ისეთი სასუქი, როგორიც არის კირბერგდი, მოსავლიანობას 50—100 პროცენტით ადიდებს, ეს მინერალი კი ჩვენში ძალიან ბლომად მოიპოვება. ჩვენ ეს ვცადეთ 10 საჩვენებელ ნაკვეთზე და ასეთი შედეგი მივიღეთ. მოსავლიანობას ადიდებს აგრეთვე რიგში თესვა, მაგრამ ამაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ხორბლეულის თავის დროზე დათესვას. თესვის დაწყება შეიძლება მხოლოდ ათი აპრილიდან, რადგან ამ დროიდან არის შესაფერი ტემპერატურა თესლის აღმოცენებისათვის. ამაზე უფრო ადრე თესლი ლპება, ხოლო მაისის შემდეგ ნიადაგის გამაგრების გამო მცენარე ფესვებს ვერ იდგამს, ამ წესების დარღვევა იწვევს დიდძალი თესლის დაღუპვას. ჩვენ სავალდებულოდ უნდა გავხადოთ განსაზღვრულ დროში თესვის ჩატარება.

ამხ. მარიამიძე

(ხაშურის საკრ. ამხ-ბა)

ხაშურის რაიონში განსაკუთრებით საგრძნობია მუშა-საქონლის ნაკლებობა, რომელიც თანდათან ძლიერდება საკვები მასალის უქონლობის გამო. გეგმით არ არის გათვალისწინებული ხაშურის რაიონისათვის არც ამ საკვები პროდუქტის შეძენა და არც მუშა-საქონლის მიწოდება. საქონლის შესაძენად გაღებული თანხა უნდა მიეცეს ამხ-ბებს, რომლებმაც უნდა შეიძინონ საქონელი და დაურიგონ გლეხებს. ღარიბი გლეხობა უსაქონლობის გამო ვერ ახერხებს მიწის მოხნას. მას არც მანქანები მოეპოვება, აგრონომებს არა აქვთ კავშირი საკრედ. ამხ.-ბებთან, რომელნიც ამის გამო მოკლებული არიან საშუალებას აგრიკულტურული დახმარება გაუწიონ იმ გლეხს, რომელსაც კრედიტი ეძლევა. აგრონომები უნდა განთავისუფლდნენ ადმინისტრატიული ფუნქციებისაგან და მათ მხოლოდ აგრიკულტურული მუშაობა უნდა დაევალოთ. ტრაქტორების რაციონალურად გამოყენებას აფერხებს გამოცდილი სპეციალისტების სიმცირე. ჩვენებურ მემანქანეებს აკლიათ არა მარტო ტრაქტორის რთული მექანიზმის ცოდნა, არამედ უბრალო გუთნის ასავალ-დასავალი არ გაეგებათ. საწვავი მასალის და ზეთის ქრონიკული კრიზისი შეუძლებლად ხდის ტრაქტორებისა და მანქანების მაქსიმალურ დატვირთვას, ტრაქტორები ხშირად ფუჭდება. უბრალო ხრახნილისათვის თბილისში გვიხდება ჩამოსვლა. თესვის კამპანიის გეგმაში არ შედის მეხილეობა, რაც შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, ეს დარგი გორის მაზრის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა.

ამხ. კიზირია

(ცენტ. საცდელ-სამანქ. სადგური)

უდავოა, რომ თანამედროვე მანქანა-იარაღების რაციონალური გამოყენება დიდათ ხელს უწყობს მოსავლიანობის გადიდებას, არ შეიძლება მანქანების ნორმაზე მეტად დატვირთვა, მაგ. ტრიერს შეუძლია იმუშაოს განსაზღვრულ საათებში, რომ მალე არ გაცვდეს. ჩვენში გლეხობას თესლი გასაწმენდად მოაქვს ნაწილნაწილად ორი-სამი ფუთობით და მოითხოვს მის გაწმენდას სხვების თესლთან შეურევლად. ამის გამო ტრიერს ნორმაზე მეტი უხდება მუშაობა, თუ საკმაოდ დატვირთული არ არის. ზომაზე მეტად ამუშავებენ აგრეთვე გუთანს და სხვა იარაღებს. თვით მანქანები შეფარდებული არ არიან ამა თუ იმ რაიონის ნიადაგის პირობებთან. არ იციან ჩვენში აგრეთვე მათი მოვლა, არავინ ზრუნავს მათ დახსნა-აწყობაზე, გაზეთვაზე. შეკეთება ხდება უმთავრესად სოფლის მჭედელთან, რომელსაც მანქანის რთული კონსტრუქციის არაფერი გაეგება, ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მანქანები, რომელთა ღირებულება ხშირად მრავალ ათას მანეთს უდრის, ხშირად გარეთ ყრია წვიმასა და თოვლში, და ამას ვამჩნევთ არა მარტო გლეხის მეურნეობაში, არამედ კოლექტივებშიაც. ჩვენ ამით ვამცირებთ სახელმწიფოს რესურსებს და უმიზნოთ ვფლანგავთ მათ. მით უფრო სამწუხაროა ეს გარემოება, რომ იმპორტის შეზღუდვის გამო ჩვენ ახალი მანქანების შეძენის საშუალება არა გვაქვს.

უახლოეს ხანში ჩვენ აუცილებლად უნდა შევასრულოთ შემდეგი ამოცანები: გავადიდოთ შემკეთებელ სახელოსნოების ქსელი, მოვაწყოთ სათადარიგო ნაწილების ბაზები, გავაფართოვოთ გასაქირავებელ პუნქტების ქსელი, მოვაგვაროთ კერძო მეპატრონეებისაგან მანქანა-იარაღების დაქირავების საკითხი და გავადიდოთ მაზრებში ინსტრუქტორების და მანტიორების კადრი. ამ ღონისძიებით ჩვენ დავაჩქარებთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, რომელიც გაადიდებს მოსავლიანობას.

ამხ. ავალიშვილი

(მიწსახკომის საგეგმო კომისიის წევრი)

არ შეიძლება თესვის კამპანიისადმი ისე მიდგომა ჩვენში, როგორც საბჭოთა რუსეთში, სადაც მოსავლიანობის გადიდება ნიშნავს უმთავრესად მარცვლეული კულტურის გაფართოებას. ჩვენში სხვა მდგომარეობაა. ყველა კრებებზე ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ძვირფასმა და სამრეწველო კულტურებმა სოფლის მეურნეობაში პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს. თუ ეს ასეა, განა შეიძლება ჩაის მეურნეობა გამოვრიცხოთ თესვის კამპანიის გეგმიდან. თუ ჩაის კულტურას გამოვრიცხავთ, რატომ არ უნდა გამოვრიცხოთ მაშინ ბაღები, ვენახები, ბოსტნები და სხვ. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პირობებში თესვის კამპანიას უფრო გაფართოვებული ხასიათი უნდა მიეცეს და იგი უნდა გავრცელდეს ყველა კულტურებზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავივიწყოთ კამპანიის კარდინალური საკითხი—ხორბლეულობის ნათესების გაფართოება.

რა ღონისძიებებით შეგვიძლია ჩვენ ხორბლეულის ფართობისა და მოსავლიანობის გადიდება. აქ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს თესლბრუნვა, ნიადაგის დამუშავება და განოყიერება, დასასრულ მთესველთა უზრუნველყოფა კარგი ხარისხის სათესი მასალით. პირველი ღონისძიების გასატარებლად ჩვენ უნდა შევამციროთ დასასვენებელი მიწის რაოდენობა და დავაწესოთ კულტურების ცვლა დასასვენებელ მიწებზე სხვადასხვა მიზანშეწონილი კულტურების შემოღებით, რაც მიწასაც დაასვენებს, შემოსავალს კი არ შეამცირებს. მიწის ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესება შეიძლება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და მუშა საქონლის მიწოდებით და შემდეგ სათანადო აგროპროპაგანდით და ინსტრუქტაჟით. სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ასე თუ ისე უზრუნველყოფილი ვართ. რაც შეეხება მუშა საქონლის შეძენას. ჩვენ გვაქვს რაიონები, სადაც მუშა საქონლის შედარებით სიჭარბეა. მაგ., ბორჩალოს მაზრა, სადაც შეგვიძლია საქონლის შესყიდვა. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია შემოვზიდოთ მუშა საქონელი მეზობელ რესპუბლიკებიდანაც. რაც შეეხება ნიადაგის განოყიერებას, ჩვენ ჯერ ჯერობით ხელოვნურ სასუქებს ვერ მივმართავთ, რადგან შესწავლილი არ არის ნიადაგის თვისებები. ნაკელის გამოყენებასაც ხელს უშლის მთელი რიგი მიზეზები—განსაკუთრებით სახნავ ყანების საშორი დასახლებულ პუნქტებიდან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სათანადო ღონისძიებებს მაინც უნდა მივმართოთ. თესლის მიწოდებაზე, რამდენადაც ჩვენს მიზანს შეადგენს გლეხობაში მაღალი ხარისხოვანი თესლის გავრცელება, წელს ხელი უნდა ავიღოთ. უმჯობესია ჩვენ მოსახლეობას მივაწოდოთ საკვები პროდუქტები და თვით ადგილებს მივანდოთ თესლის დამზადება. რადიკალური ზომა სათესლე კრიზისიდან გამოსასვლელად არის სათესლე ფონდის შექმნა, რისთვისაც გადადებულია 195 ათასი მანეთი.

ამხ. კეკელიძე

(სუფსის სას. სამ. ამხანაგობა)

ყოვლად დაუშვებელია თესვის კამპანიის გეგმის ასე დაგვიანებით შედგენა. განა შეიძლება თესლის ასე დაგვიანებით მომარაგება, აწ ფიქრი იმის შესახებ, თუ სად შევიძინოთ მუშა საქონელი. ვერც თესლსა და ვერც მუშა საქონელს გლეხს ჩვენ ჯერ მივაწვდით. ფულის დარიგება კი არ არის მიზანშეწონილი. უმჯობესია ეს თანხები მოხმარდეს სათესლე ფონდის შექმნას და საჯიშეების მოწყობას. შემდეგ, ამ კამპანიისათვის საჭირო იყო ზრუნვა არა მარტო ხორბლეულობის, არამედ ტეხნიკურ მცენარეების თესლის შესაძენათაც. გარდა ამისა გეგმაში უნდა შეტანილი ყოფილიყო პროდუქტების მიწოდება იმ რაიონებისათვის, სადაც უმაღლეს კულტურებს მისდევენ, თორემ ზრუნვა საკვებ პროდუქტებისათვის გლეხს სამუშაოებზე მოაცდენს.

ამხ. ადიკაშვილი

(თბ. მაზრის სადგ.-მამ. განყ. გამგე)

მელიორატიული ღონისძიებები აუცილებლად უნდა შედიოდეს მოსავლიანობის გადიდების გეგმაში. იმედებს წყალთა მეურნეობის სამმართველოზე ვერ დავამყარებთ, მისი დაუდევრობით ძველი არხებიც კი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. ამჟამად მათ უფრო მეტი ზარალი მოაქვთ, ვიდრე სარგებლობა. დაჭაობიანება თანდათან მატულობს. სასუქების გამოსაყენებლად საჭიროა ჯერ გამოკვლეულ იქნეს ჩვენი ნიადაგის თვისებები. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მავნებლებთან ბრძოლის საკითხს, რადგან მავნებლებისაგან დაზარალებული ფართობი ყოველწლიურად მატულობს და ემუქრება ჩვენს მოსავლიანობას. აგრონომებისთვის კი უნდა შეიქმნას უფრო უკეთესი პირობები. ამჟამად მათ გადასაზიდი საშუალებაც კი არ მოეპოვებათ და 25-30 ვერსზე ფეხით უხდებათ სიარული.

ამხ. კვიციანი

(სვანეთის მაზრის აგრონომი)

სვანეთში აგრონომიული მუშაობა დაიწყო მხოლოდ 24 წლიდან, ამ მუშაობას ბევრი დაბრკოლება ელობება წინ. მთელს მაზრაში გვაქვს მხოლოდ 6 გუთანი. 3 გუთანი ადგილობრივ პირობებში გამოუდეგარია, სამი კი ძალიან კარგ შედეგს იძლევა. მაგრამ სულ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებთ საჭიროებას, რადგან ყოვლად შეუძლებელია 3 გუთანი გაწვდეს 15 თემს. აუცილებლად ათამდე მაინც უნდა გადიდდეს გუთნების რიცხვი. დიდი ნაყოფი გამოიღო საცდელი ნაკვეთების მუშაობამ სვანეთში. წინად თემებში ქერის მეტი არაფერი არ ითესებოდა, ეხლა ჩვენ ზოგ თემებში შევიტანეთ კარტოფილის კულტურა, რომელმაც ისე იხეირა, რომ ამ თემის მოსახლეობას გამოსაკვებად ეყოფა. მეორე თემში გავავრცელეთ ხუთკვირიანი ჯიშის სიმინდი, რომელმაც კარგათ მოიკიდა ფეხი. მუშაობისათვის არ მოგვეპოვება საჭირო იარაღები. ადგილობრივ ხელისუფლებას სახსარი არა აქვს, რომ შეიძინოს ეს იარაღები. გლეხობაზე ლაპარაკიც მეტია. მაზრაში მხოლოდ ერთი აგრონომია, რომელიც იძულებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს 15 თემს. რა აგრიკულტურული მუშაობა და აგროპროპაგანდა უნდა აწარმოოს ერთმა აგრონომმა ისეთ კუთხეში, სადაც თემიდან თემში გადასვლას უგზოობის გამო მთელი დღე სჭირდება. აუცილებლად საჭიროა გადიდდეს აგრონომთა შტატი და მიეცეს გლეხობას სესხი იარაღების შესაძენად. მიწათმოწყობის დარგში დღემდე არაფერი არ გაკეთებულა. მოსაწყობი კი არის არა მარტო გლეხობის მიწები, არამედ საძოვრები. თესლის მიწოდება სვანეთისთვის მიზანშეუწონელია, რადგან მარტო ერთი ფუთის გადატანა 6 მანეთი ჯდება. საჭიროა ადგილობრივ თესლის შესაძენად მაზრას მიეცეს თანხა.

ამხ. ორჯონიკიძე

(თბ. მაზრის მიწათმოწყობის ქვე-განყ. გამგე)

აგრონომებისთვის უნდა შევქმნათ სოფლად ისეთი პირობები, რომ ისინი სოფლად უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩებოდნენ. ერთ-ერთ ღონისძიებად მე მიმაჩნია სოფლად მომუშავე აგრონომებს მივსცეთ მიწის ნორმა, ეს ჩვენთვის დიდს არაფერს შეადგენს, აგრონომებს კი დიდათ დააინტერესებთ. რამოდენიმე მაგალითი ამ თვალსაზრისის სისწორეს ამტკიცებს. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მომუშავე აგრონომების მუშაობა უნდა შეუფარდოთ ჩვენი აგრონომიული მუშაობის საერთო გეგმას.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვით დამთავრდა კამათი.

ამხ. ს. ჯუღელის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, ამ კამათით ამოიწურა ჩვენი თათბირის დღის წესრიგი. ვიდრე თათბირს დავხურავდე, მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო და დასკვნა გაუკეთო თათბირის მუშაობას. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ კამათში მონაწილე ამხანაგებმა გაამართლეს ჩვენი მოლოდინი: დაწვრილებით შეეხენ ჩვენი სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებს, ხაზგასმით აღნიშნეს თითქმის ყველა დეფექტები, შემოიტანეს მნიშვნელოვანი წინადადებები ამ დეფექტების გამოსასწორებლად. ჩემს მოხსენებაში მე ხაზი გაუსვი თესვის კამპანიის ორგანიზაციულ მხარეს. ამით, რასაკვირველია, ის არ მითქვამს, რომ კამპანიის ეკონომიურ-ფინანსიური მხარეს მნიშვნელობა არა ქონდეს. ჩვენი კამპანიის ორგანიზაციულ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე სწორედ იმიტომ, რომ მიზანშეწონილად გამოვიყენოთ ყველა ის მცირე რესურსები, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება.

თუ ჩვენ მოსავლიანობის გადიდება დაუკავშირეთ ჩვენი ქვეყნის გამდიდრებას და ჩვენი გლეხობის კულტურული დონის ამაღლებას, თუ ჩვენ მანამდი არ მივიღეთ ზომები მოსავლიანობის გადიდებისთვის, ვიდრე ჩვენი გლეხის კულტურა არ ამაღლდება, მოგვიხდება ათეული წლობით ცდა და ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ იმ სახსრებს, რაც გვაქვს და ამ სახსრებით მივაღწიოთ მაქსიმალურ ეფექტს. მართალია, ჩვენ არ გვაქვს საკმარისი იარაღები, მაგრამ ისიც სწორია, რომ რაც გვაქვს, იმასაც საკმარისად ვერ ვტვირთავთ. ტრიერის ნაყოფიერება ბევრგან ათას ფუთს არ აღემატება, მაშინ, როცა ყოველ ტრიერს შეუძლია 10 ათასი ფუთი გასწმინდოს. ჩვენში ბევრი ბუნებრივი სასუქი და ნაკელი არის, მაგრამ გლეხი მას არ იყენებს, რადგან გონია, რომ ნაკელის გადაზიდვაზე დახარჯული შრომა არ აუნაზღაურდება. საჭიროა მხოლოდ უბრალო ახსნა-განმარტება, რომ გლეხს შევაგნებინოთ ნაკელის გამოყენების მიზანშეწონილობა. კოლექტივებში ჩვენ საკმაო იარაღ-მანქანები მოგვეპოვება, რომელთაც ვერ ტვირთავს თვით კოლექტივი. უბრალო ორგანიზაციული ღონისძიებაა საჭირო, რომ კოლექტივებთან მოეწყოს დასაყრდენი პუნქტები, როგორც აგრიკულტურული მუშაობის საწარმოებლად, ისე ამ იარაღ-მანქანების გამოსაყენებლად გლეხურ მეურნეობებში.

თქმა იმისი, რომ ცენტრიდან არაფერს გვაძლევენ და ამიტომ ვერაფერს გავაკეთებთო, შეუწყნარებელია. ცენტრი გაძლევთ იმას, რაც შეუძლია. მას საშუალება არა აქვს სრული 100 პროცენტით დააკმაყოფილოს ყველა მაზრების საჭიროება. მიზეზი ობიექტიური პირობებია და არა მოუნდომებლობა. ფუჭ დაპირებას ჩვენ ვერ გავსცემთ, რადგან ამას ვნების მოტანის მეტი არაფერი შეუძლია. არც თქვენ უნდა მისცეთ გლეხებს ფუჭი იმედი, რომ შემდეგ არ გაწითლდეთ და არ დასცეთ საკუთარი ავტორიტეტი. ყველა მაზრა გვსაყვედურებს, რატომ მეტი არ მოგვეცითო და იმას კი არ კითხულობენ, თუ ვის ხარჯზე უნდა მიეცეს ამა თუ იმ მაზრას იმაზე მეტი, რაც არ გვაქვს. რესურსების განაწილება დაახლოებით სწორია, თუმცა არც ერთისთვის საკმარისი არ არის. ცენტრი, რაც შეუძლია გაძლევთ, დანარჩენი თქვენ თვითონ მოძებნეთ, გამონახეთ. ამაში უნდა გამოიხატოს თქვენი თვითმოქმედების უნარი და თაოსნობა. ყოველი მაზრა უნდა ეცადოს, რომ თავისი მუშაობა შემთხვევით გარემოებაზე არ დაამყაროს და სას.-სამ. საქმიანობას მტკიცე საფუძველი დაუდვას. ბიუჯეტის შედგენის დროს სოფლის მეურნეობამ ბიუჯეტში უნდა დაიჭიროს ისეთი ადგილი, რომელიც მის ხვედრით წონას შეეფერება. რაც შეეხება ცენტრის ღონისძიებებს, იგი შეძლებისდა გვარათ დაგეხმარებათ.

ჩვენ გვსაყვედურებს გეგმის შედგენის დაგვიანება, მაგრამ სრულიად არ გაითვალისწინეს ის ობიექტური პირობები, რომლებიც წინ გადაგველობა. გეგმა შევადგინეთ ორი თვის წინად. ორი თვის წინად დაამტკიცა იგი ეკონომიურმა და სახალხო კომისართა საბჭომ, რომელთა მიერ ჩვენგან წარდგენილი ღონისძიებები აუცილებლად იქნა აღიარებული. მათ გამოიტანეს დადგენილება თესლის, საქონლის, მანქანა-იარაღების შესაძენად კრედიტების დაუყოვნებლივ გახსნის შესახებ. მაგრამ შემდეგში სწორედ რესურსების სიმცირის გამო გეგმა რამოდენიმეჯერ იქნა გადასინჯული. ეს ასე იქნება მუდამ, ვიდრე უფრო რადიკალურ ზომებს არ მივმართავთ.

ერთი ასეთი ზომათაგანია სათესლე ფონდის შექმნა, მუშა საქონლის გასაშენებლის საჯიშეების მოწყობა, რაც შემდგომში უფრო გეგმიან ხასიათს მისცემს ჩვენს თესვის კამპანიებს. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და მომავალისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტათ იქნება გაფართოებული.

ზოგიერთმა ამხანაგებმა გვსაყვედურეს აგრეთვე თესვის კამპანიაში ძვირფასი კულტურები რად არ არის შეტანილიო. ჩვენ არ შევიტანეთ გეგმაში ეს კულტურები არა იმიტომ, რომ მათი მნიშვნელობა არ გვესმოდეს, არამედ იმიტომ, რომ ამ კამპანიას აქვს სეზონური ხასიათი და ვრცელდება მხოლოდ ხორბლეულობაზე, რომელიც გაზაფხულზე ითესება. ძვირფას კულტურებისთვის ჩვენ გვაქვს წლიური და ხუთწლიანი გეგმები, რომლებიც ამოსწურავენ მათ განსავითარებლად საჭირო ყველა ღონისძიებას.

სხვა სადაო საკითხები თითქმის არავის წამოუყენებია. დანარჩენი იყო პრაქტიკული მითითებანი, რომლებიც, რასაკვირველია, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ეს მითითებანი ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენ უკვე გამოვედით იმ პერიოდიდან, როცა საკითხები მარტო კაბინეტში ისმებოდა და წყდებოდა. ეს პრაქტიკული მითითებანი თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი, რაც იმას მოასწავებს, რომ ადგილებზე მომუშავენი დაკვირვებით ადევნებენ თვალყურს ჩვენს ცხოვრებას და თავის მუშაობას უფარდებენ მის მოთხოვნებს. ის აქტივობა, რომელიც თათბირის თვითეულმა მონაწილემ გამოიჩინა, საფუძველს მაძლევს გამოვსთქვა იმედი, რომ თათბირის მუშაობა დიდ ნაყოფს მოიტანს, რომ ჩვენ გაერთიანებული ძალღონით შევსძლებთ იმ დიდი საქმის გაკეთებას, რომელსაც ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ზრდა ეწოდება (მხურვალე ტაში).

—:—

ამხ. ჯუღელის სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია მოსავლიანობის გადიდებისა და თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ. რეზოლიუცია ითვალისწინებს თათბირზე აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და დასახულ ღონისძიებათა გატარებას.

საბჭოთა არჩევნები დაიწყო

სკოლა და საბჭოების არჩევნები

საბჭოთა არჩევნები წელს—ეს არის მრავალი ასი ათასი უპარტ. მუშისა და მუშა-ქალის, გლეხისა და გლეხი-ქალის მიერ საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის მთელი მუშაობის ძირითადი და საერთო შემოწმება. გარდა ამისა, მრავალი ასი ათასი ამომრჩეველი შეამოწმებს, როგორ შეასრულა თავისი მოვალეობანი იმ ამხანაგებმა, რომელნიც იყვნენ მათ მიერ დაყენებული ხელმძღვანელ საბჭოთა მუშაობაზე, რამდენად შესძლეს მათ სოციალისტური აღმშენებლობის გზით მუშური სახელმწიფოს წინ წაყვანა.

საქართველოს ყველა კუთხეში უკვე დასრულდა საანგარიშო კამპანია და ახალი არჩევნები იწყება. აუცილებლად საჭიროა სკოლამ და მასწავლებლებმა ყოველგვარი ღონისძიება იხმარონ, რომ არჩევნებში რაც შეიძლება მეტმა ამომრჩევლებმა მიიღოს მონაწილეობა. უნდა გვახსოვდეს, რომ წარსულ არჩევნებში 1.101,126 ამომრჩევლის ნაცვლად—მხოლოდ 575,081 მიიღო მონაწილეობა, ე. ი. 52,2 პროც. ჩვენ აუცილებლად უნდა შევსძლოთ არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა პროცენტის გაზრდა. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ჩამორჩენილი ფენები და რომ ამომრჩეველთა მასის აქტივობამ უეჭველად უნდა იმატოს.

არჩევნებში უნდა მიიღონ მონაწილეობა ქალთა მასებმა: მუშებისა და მოსამსახურეთა ცოლებმა, გლეხ-ქალებმა, მოჯამაგირეებმა და სოფლის ღარიბებმა, შინამრეწველებმა და ხელოსნებმა. თავისი სოციალური შემადგენლობით ეს მასა ახლო დგას ჩვენს პარტიასა და ხელისუფლებასთან, მაგრამ ის ამავე დროს ყველაზე უფრო ჩამორჩენილია, უვიცია, უკულტუროა, ხშირად არ ესწრება კრებებს, არ კითხულობს გაზეთებს, წიგნებს, ან რას წაიკითხავს, როცა არც კი იცის კითხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ამ მასაზე ზეგავლენის მოხდენისათვის საჭიროა განსაკუთრებული მეთოდი, საჭიროა გამოინახოს ახალი გზა და საშუალება, რომ ფართოდ მოვიზიდოთ ის საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე, შემდეგ კი საბჭოების მუშაობაში ჩავაბათ.

ამ საქმეში მასწავლებლებსა და სკოლას ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. საჭიროა მხოლოდ მათ დაისახონ კონკრეტული ამოცანები და წინასწარ შეიმუშაონ თავისი საქმიანობის გეგმა. უპირველეს ყოვლისა, სკოლამ დაწვრილებით უნდა გაიგოს თავისი რაიონის ამომრჩეველთა საერთო რიცხვი და შეკრიბოს ცნობები მათ მიერ უკანასკნელ არჩევნებში მიღებული მონაწილეობის შესახებ: სისწორით უნდა აღირიცხოს ამომრჩეველთა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები, მათი სოციალური შემადგენლობა, სქესი, პასიურობის მიზეზები; ამის შემდეგ სკოლამ სათანადო დახმარების აღმოჩენაზე უნდა იზრუნოს. უპირველეს ყოვლისა, სკოლამ თვითონ უნდა მოაწყოს თავისი მუშაობის საანგარიშო დილები, საბჭოების წევრების ანგარიშთან დაკავშირებით, უნდა მოიწვიოს მშობლები, პარტიისა და კომკავშირის წარმომადგენელნი, საბჭოების წევრები, კოოპერაციის, გლეხკომის მუშაკნი, ღარიბთა ჯგუფების წარმომადგენელნი და სხვა.

ეს ანგარიშები ცოცხალი და ხალისიანი უნდა იყოს: იგი უნდა იყოს ბავშვების ცოდნის მაჩვენებელი, უნდა მოეწყოს გუნდური სიმღერა, დეკლამაცია, ბავშვების პატარა მოხსენებანი, პატარა სცენები, დიაგრამები, ლოზუნგები, პლაკატების გამოფენა და სხ. ეს უნდა გააკეთონ არა მხოლოდ მასწავლებლებმა, არამედ ცხრაწლედის, სოფლის ახალგაზრდობის სკოლების და სარაიონო 4 წლედების უფროსი ჯგუფების მოწაფეებმაც. სკოლამ უნდა იკისროს დამზადება მასიური პლაკატების და ლოზუნგების, რომელნიც მოუწოდებენ მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად; სკოლამ უნდა დაჰკიდოს და გააკრას ეს პლაკატები და ლოზუნგები არა მხოლოდ თავის შენობაში, და სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებაში (სამკითხველოებში, საბჭოში, კოოპერატივში და სხვ.), არამედ იმ ამომრჩევლების კრებაზე და ჭიშკარზე, რომლებსაც არ მიუღია მონაწილეობა წინა არჩევნებში. იქ სადაც არის საბავშვო ბაღები, არჩევნების დროს მათ მთელი დღე უნდა იმუშაონ და უნდა შეინახონ არა მხოლოდ თავისი მოწაფეები, არამედ ის ბავშვებიც, რომლების გამო დიდები ბრკოლდებიან და ვერ მიდიან არჩევნებზე. 9 წლ., 7 წლ. სოფლის ახალგაზრდობის სკოლას, ტეხნიკუმს და 4 წლედსაც კი შეუძლია, პიონერთა და კომკავშირელთა დახმარებით, მოაწყონ თავის შენობაში საანგარიშო კამპანიის დღეები, არჩევნების დღეებში კი—დილა თამაშობით, სიმღერით და დეკლამაციით 4—8 წლის ბავშვებისათვის, რომლების მარტო, უპატრონოდ დატოვება უჭირსთ დედებს, ხოლო რაც შეეხება ძუძუმწოვარ და 1—3 წლის ბავშვებს, ისინი წინასწარ უნდა აღირიცხონ რაიონში და უფროსი გოგონებისაგან შეადგინონ „გამდელთა რაზმები“, რომლებიც წინასწარვე დაუკავშირდებიან დედებს და იმ დღეებსა და საათებში, როდესაც დედები კრებაზე წავლენ, მოუვლიან და უპატრონებენ პატარა ბავშვებს.

გარდა ამისა, სკოლამ უნდა მოაწყოს დემონსტრაცია—გამოვიდენ მწყობრი რიგებით, პლაკატებით და ლოზუნგებით არჩევნების წინა დღეს, რომ მოაგონოს სოფელს არჩევნების შესახებ. არც ეს კმარა.

აუცილებლად საჭიროა თვითეულ მოზარდ მოწაფეს დაევალოს ყოველთვის გაახსენოს ხოლმე თავისი ოჯახის უფროს წევრებს მათი მოქალაქეობრივი მოვალეობანი, აგრეთვე მას უნდა ჩაბარდეს მეზობლად მყოფი ერთ ან ორი ოჯახი, რომლებსაც უნდა მოუტანოს უწყება, შემდეგ შევიდეს არჩევნების წინადღეს და თვით არჩევნების დღეს დილით, რომ გაახსენოს არჩევნების დღე, საათი და ადგილი.

ძალიან მრავალგვარი მონაწილეობის მიღება შეუძლია სკოლას ქალაქსა და სოფლის საზოგადოებრივ მუშაობაში, განსაკუთრებით არჩევნების დღეებში; ვიმეორებთ, თუ სკოლა და მასწავლებელი წინასწარ მოიფიქრებენ და ღრმად დაამუშავებენ თავისი მუშაობის გეგმას, თანაც მხედველობაში მიიღებენ და სათანადო ანგარიშს გაუწევენ ადგილობრივ პირობებს თავის ძალღონესა და საშუალებებს, მათ მიერ აღმოჩენილი დახმარება საგრძნობი იქნება.

ყოველივე ეს უეჭველად ზრდილობიანად, თავაზიანად უნდა გაკეთდეს, მთელ ამ მუშაობას შესაძლებლობის ფარგლებში კულტურული და მხატვრული დახმარების სახე უნდა მიეცეს, და არა ბრძანებლობისა და ამომრჩეველთა ცხოვრებაში ტლანქად ჩარევის სახე. მუშაობის მთელი გეგმა წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული ადგილობრივ ხელისუფლებასთან და დასახმარებლად უნდა იქნან მოწვეული კომკავშირელები, პიონერები და დელეგატები.

საარჩევნო კამპანიის პირველ პერიოდში სკოლა და მასწავლებლები არ იყვნენ საკმაოდ აქტიურები, და ამ ნაკლის გამოსწორება აუცილებელია.

ჩვენ ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის 2.000-მდე სკოლაა და მათში სწავლობს დაახლოებით — 300,000 მოწაფე. თუ ყოველი სკოლა და მოწაფეთა უმრავლესობა მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა არჩევნების კამპანიაში, ამით დიდი დახმარება გაეწევა ჩვენს ხელისუფლებასა და პარტიას საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ჩაბმის მხრივ, რაც სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე ჩვენი შემდგომი გამარჯვების საწინდარია.

მარიამ ორახელაშვილი.

არჩევნები თბილისში

არჩევნები წარმატებით ჩავატარეთ

თბილისის კეთილმომწყობ განყოფილების ადგილკომის საკმაოდ მოზრდილი დარბაზი ხალხს ვერ იტევს, მუშები კარებიდან და ფანჯრებიდან ადევნებენ თვალყურს კრების მსვლელობას. კრებაზე დამსწრეთა რიცხვი 90 პროც. უდრის.

აირჩიეს პრეზიდიუმი, ამხ. ვ. სიხარულიძის თავმჯდომარეობით.

— დღეს ამხანაგებო ჩვენ უნდა მივცეთ განაწესი თბილისის საბჭოს და ავირჩიოთ ახალი დეპუტატები საბჭოებში—ამბობს თავმჯდომარე.

კრება სულ განაბული უსმენს თბილისის კომიტეტის განაწესს და უმატებს შემდეგს: ალკოჰოლიზმის აღმოსაფხვრელად თბილისის საბჭომ უნდა დახუროს ქალაქში ყველა სამიკიტნოები და მათ ადგილზე გახსნას მუშათა სასადილოები. კერძო პირებზე იჯარით გაცემული სასტუმროები უნდა გადაეცეს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

თბილისის საბჭომ, კეთილ მომწყობ განყოფილების მუშაობისათვის უნდა აგოს ერთი მუშათა სახლი.

ასეთი დამატებებით კრებამ ერთხმად მიიღო განაწესი.

დაიწყო არჩევნები.

თავმჯდომარე აქვეყნებს პროფაქტივის მიერ გამომუშავებულ კანდიდატების სიას.

კრება მხურვალე ტაშით ხვდება წარმოდგენილ კანდიდატებს და თბილისის საბჭოს დეპუტატებათ ერთხმად ირჩევს შემდეგ ამხანაგებს:

ვასო სიხარულიძე, ალ. გერასიმენკო, ა. ვესტფალი, ა. რუსოვი, გ. კაზიშვილი, ა. ზაქარიანი, კანდიდატებათ **ა. [illegible]მელიძე და ა. აბაზოვი.**

—:—

თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტში

თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის მუშაკები და ხეზე მომუშავეები შეიკრიბენ ამხ. მიასნიკოვის სახელობის კლუბში. თბილისის კომიტეტის განაწესში მუშებმა საჭიროდ სცნეს დაუმატონ შემდეგი:

უნდა დაიხუროს სამიკიტნოები და აიკრძალოს მაგარი სასმელებით ვაჭრობა.

ყველა წითელი კუთხეები განთავისუფლებულ უნდა იქნან ყოველგვარ გადასახადებისაგან.

საჭიროა ჯანმრთელობისა და განათლების განყოფილებათა აპარატის გაჯანსაღება, მუშური შემადგენლობის გადიდებით.

დასასრულ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ კრებამ გამოჰყო შემდეგი ამხანაგები:

ქარაპეტ ერმინოვი, ნიკოლოზ ივანოვი და პავლე ეძგვერაძე. კანდიდატად **ნიკოლოზ გიჟიაშვილი.**

კრებას დაესწრო ამრჩეველთა მთელი 100 პროცენტი.

—:—

სად შესდგება საარჩევნო კრებები

26 კომუნარის რაიონში

— დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ბრეშუმის საქსოვ ქარხანაში შესდგება ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე მოხდება თბილისის საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

— სამხედრო წისქვილის მუშა-მოსამსახურეთა საერთო საარჩევნო კრება შესდგება დღეს, დღის სამის ნახ. საათზე.

— სპეციალურ დანიშნულებათა იზოლიაციის შენობაში, დღეს, 2 ნახ. საათზე შესდგება ამავე დაწესებულების თანამშრომელთა საერთო კრება, სადაც მოხდება თბილისის საბჭოს წევრების არჩევნები.

— მეტყავეთა კავშირის № 1-ლ ადგილკომში დღის 2 ნახ. საათზე შესდგება ტყავეულობის ქარხნის მუშათა საერთო საარჩევნო კრება.

— ფეიქართა კავშირის წევრთა საარჩევნო კრება შესდგება დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ—საქსოვი ქარხნის შენობაში (კომუნალური ქუჩა).

ქალაქის რაიონში

ქალაქის რაიონში თბილისის საბჭოს წევრების არჩევნები იწყება დღეიდან. არჩევნებთან დაკავშირებით, დღეს დღის 2 საათზე, მეჩქმავეთა კავშირის ცენტრ. გამგეობა აწყობს მასიურ დემონსტრაციას. დემონსტრანტები თავს მოიყრიან კინო-დარბაზის ეზოში (პლეხანოვის პრ., პირველი სტამბის გვერდით), საიდანაც დემონსტრაცია, ელბაქიძის დაღმართით გაემგზავრება თავისუფლების მოედნისაკენ.

— დღეს, 2 ნახ. საათზე, ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის შენობაში შესდგება ამავე დაწესებულების და საქართველოს მებამბეობის კომიტეტის თანამშრომელთა საარჩევნო კრება.

— ამავე დროს, დანიშნულია ა.-კ. ცაკის, საქ. ცაკის, ა.-კ. კომისართა საბჭოს, საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს, საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საგარეო საქმეთა კომისარის რწმუნებულის სამმართველოს, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის, ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისიის და ბავშვთა დამხმარე კომისიის თანამშრომელთა საარჩევნო კრებები.

— ა.-კ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. კ. პ. საქ. კომისიის და საქ. კომ. საკ. კომისიის თანამშრომელთა საერთო საანგარიშო კრება შესდგება დღეს, დღის 2 ნახ. საათზე.

— პროფსაბჭოს მც. დარბაზში, დღეს, 2 ნახ. საათზე შესდგება გაზ. „მუშა“-ს და „რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქციების, გამომცემლობა „შრომა“-ს და „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს რედაქციის თანამშრომელთა გაერთიანებული საარჩევნო კრება.

— „რეზინოტრესტი“-ს სამმართველოს, „იზვესტია“-ს კანტორის, მეორე ჯგუფ.კომის და სავაჭრო დაწესებულებების თანამშრომელთა საარჩევნო კრება შესდგება დღეს, 2 ნახ. საათზე.

— დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს შენობაში შესდგება ამავე დაწესებულების თანამშრომელთა საარჩევნო კრება.

— ა.-კ. სტატისტიკურ სამმართველოს და ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიის თანამშრომელთა საარჩევნო კრება შესდგება დღეს, 2 ნახ. საათზე.

— ელექტრო ენერგიის მომწესრიგებელთა სამმართველოს წითელ კუთხეში, დღეს, დღის პირველ საათზე შესდგება აღნიშნულ დაწესებულებების თანამშრომელთა საარჩევნო კრება.

საბავშვო სახლების და სკოლების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში

განათლების კომისარიატთან არსებულმა სოციალური აღზრდის სამმართველომ მისწერა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს და საბავშვო სახლების გამგეებს, რომ მათ საარჩევნო კამპანიაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა. მათი მონაწილეობა არჩევნებში უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: ამა თუ იმ საარჩევნო უბანში, არჩევნების ჩატარების დღეს თავი უნდა მოუყარონ საარჩევნო ხმის უფლება მქონე დედების ბავშვებს 3-დან 7 წლამდე საბავშვო ბაღებში და ბავშვთა კოლექტივებში და მოუარონ მათ არჩევნების დამთავრებამდე, რომ ბავშვიან ოჯახის ქალებს საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, იმ საბავშვო ბაღებმა და კოლექტივებმა, სადაც შეუძლებელი იქნება თავმოყრილი ბავშვების მოვლა არსებული შტატით, უნდა მოიწვიონ სკოლებიდან უფროსი კლასების მოწაფე-ქალები დასახმარებლად.

მოწაფე-ქალებს წინასწარ უნდა მიეცეს ახსნა-განმარტება ბავშვების მოვლის წესის შესახებ.

გარდა ამისა შრომის სკოლებს წინადადება მიეცათ არჩევნების დღეებში მოაწყონ მოწაფეთა დილები ბავშვებისათვის, სადაც დიდები თვითონ მოიყვანენ თავიანთ ბავშვებს და დასტოვებენ არჩევნების დამთავრებამდე.

საარჩევნო დემონსტრაცია

გუშინ გაიმართა გემო-კვების მუშაკთა კავშირის საარჩევნო დემონსტრაცია.

დღის სამი საათისათვის გემო-კვების მუშაკებმა თავი მოიყარეს ყოფ. ზემელის აფთიაქთან და ოთხის ნახევარზე დროშებით და საარჩევნო ლოზუნგებით დაიძრენ თავისუფლების მოედნისაკენ. გზადაგზა უკრავდა ორკესტრი და მღეროდენ მუშების გუნდები.

თავისუფლების მოედანზე დემონსტრაციას შეეგებნენ თბილისის საბჭოს წევრები ამხ. **ვ. გოლქვაძის და ბ. მაჩაიძის** მეთაურობით.

არჩევნები წარმატებით მიმდინარეობს

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 1 თებერვალი. საანგარიშო კამპანიის დამთავრების შემდეგ გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს საბჭოთა არჩევნები. ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები იჩენენ უდიდეს აქტივობას განაწესის დამუშავებასა და სადეპუტატო კანდიდატების შერჩევაში. თემებში ეწყობა ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეების და კომკავშირელების დემონსტრაციები ლოზუნგებით და პლაკატებით. არჩევნებს ეძლევა საზეიმო ხასიათი. განაწესის შედგენის დროს უმთავრეს ყურადღებას აქცევენ კოლექტიური მეურნეობის გაფართოებას, კოოპერაციის მოღონიერებას, საგზაო მშენებლობას და სხვ. მაზრაში დასდო თოვლი, რაც მთიან ადგილებში ნაწილობრივ აფერხებს არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

ს. მესხი.

საანგარიშო კამპანიის შედეგები

ზუგდიდის მაზრაში

(ცაკის საორგანიზაციო განყოფილების მასალებიდან)

ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ ზუგდიდის სამაზრო საარჩევნო კომისიისაგან მიიღო საბოლოო ანგარიში, ზუგდიდის მაზრაში საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საარჩევნო სამზადისის კამპანია მაზრაში წარმატებით მიმდინარეობდა. 1928 წლის 1-ლ დეკემბრიდან 15-მდე ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მოეწყო 32 სათემო და 3 სასოფლო საარჩევნო კომისია. მაზრა დაიყო 282 საარჩევნო უბნად და მთელი საორგანიზაციო ხასიათის მუშაობის ჩატარება დამთავრდა 15 დეკემბრისათვის.

1-ლი იანვრიდან დაიწყო საანგარიშო კამპანია. საანგარიშო კამპანიის ჩატარებას ყველა თემში ხელმძღვანელობდნენ სამაზრო კომისიის მიერ მიმაგრებული ინსტრუქტორები. საანგარიშო კრებები ჩატარებულ იქნა ყველა უბნებში 31 იანვრამდე. კრებებზე ესწრებოდა ამომრჩეველთა საერთო 48,5 პროცენტი.

საანგარიშო კრებების ჩატარებისას მაზრაში მოვიდა დიდი თოვლი, რომლის სიღრმე ზოგან მეტრზე მეტი იყო. ამ გარემოებამ დააბრკოლა ამომრჩეველთა გამოცხადება კრებებზე. ამავე მიზეზით აიხსნება ის გარემოებაც, რომ საანგარიშო კამპანიის დროს გლეხ-ქალების აქტივობა მოისუსტებდა.

საანგარიშო კამპანიის ჩატარებისას დიდ აქტიურობას იჩენდნენ დემობილიზაციაქმნილი წითელ-არმიელები, რომლებიც ხელს უწყობდენ საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა გამოძახებაში, მონაწილეობას ღებულობდნენ თემსაბჭოების საანგარიშო მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში და სხ. დიდი იყო აგრეთვე სოფლის მასწავლებლობის აქტიურობაც. სოფლის მასწავლებლები ეხმარებოდნენ სათემო საბჭოებს მასალების დამუშავებაში, ასრულებდნენ ტეხნიკური ხასიათის დავალებებს და მონაწილეობას ღებულობდნენ საარჩევნო ხმის მქონეთა და არმქონეთა სიების შედგენაში.

საანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს კულაკური ელემენტების აშკარა გამოსვლას ადგილი არა ჰქონია. იყო კულაკების მხრივ მხოლოდ ცდა, რომ გავლენა მოეხდინათ ღარიბთა ფენებზე. სოფ. ხობში, მაგალითად კულაკების წაქეზებით ღარიბი გლეხები ილაშქრებდნენ ზოგიერთი შეძლებული გლეხების შავ სიაში შეტანის წინააღმდეგ. კახათის თემში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, რომ ზოგიერთმა ამომრჩეველმა მოითხოვა მევახშეებისათვის საარჩევნო ხმის უფლების დაბრუნება.

საანგარიშო კამპანიის ჩატარება მთელ მაზრაში დასრულდა 31 იანვრისათვის. 1-ლი თებერვლიდან იწყება არჩევნები.

საბჭოების მიერ ამომრჩევლებზე ანგარიშების ჩაბარება მაზრის ყველა თემებში დამთავრებულია, ხოლო ქალაქის მაშტაბით ამჟამად მიმდინარეობს. ქალაქი დაყოფილია რვა საანგარიშო უბნად და ყველა უბნებზე მიმაგრებულია ამხანაგები.

26 იანვარს ქალაქის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სამ. აღმასკომის ანგარიში. მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. არის ზოგიერთი დეფექტები, რომელნიც როგორც გამოირკვა მიეწერება საბჭოს ზოგიერთ წევრების გულგრილობას და უპასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

მაგალითად ქ. ზუგდიდში ანგარიშის ჩაბარების დაგვიანება გამოწვეულია მით, რომ საბჭოს სხდომა მოწვეული იყო ორჯერ და ვერ შესდგა წევრების დაუსწრებლობის გამო. ისეთი წევრები, რომლებიც არ სთვლიან სავალდებულოდ სხდომებზე დასწრებას არ უნდა მოხვდნენ ახალ საბჭოებში.

კამარაძ.

ოზურგეთის მაზრაში

ხევის თემის რვა სოფელში დამთავრდა საბჭოს საანგარიშო მოხსენებები, რომელსაც ესწრებოდა ამომრჩევლების 90 პროც. ამომრჩევლები გულმოდგინედ ისმენდენ საბჭოს გასული წლის მუშაობის ანგარიშს და კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ჩატარებულ მუშაობაზე. თემში ადგილი არ ჰქონია კულაკების და ანტი-საბჭოთა ელემენტების გამოსვლას.

გლეხობა ოვაციებით შეხვდა ხევის თემსაბჭოში ამხ. **ფ. მახარაძის და სიმონ ჯუღელის** დასახელებას.

კ. ანთიძე.

სენაკის მაზრაში

(წერილი სენაკიდან)

26 იანვარს სამაზრკომმა მოიწვია თემებზე მიმაგრებულ ამხანაგების გაფართოებული თათბირი, სადაც მოსმენილ იქნა სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ალ. კაჭარავას** მოხსენება საბჭოების საანგარიშო კამპანიის წინასწარ შედეგებზე და ყოველმხრივ დამუშავდა მეორე პერიოდში ჩატარებული მუშაობა.

შემდეგ ეს საკითხი გადატანილ იქნა სამპარტკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელმაც მაზრაში ჩატარებული საბჭოების საანგარიშო კამპანია სცნო დამაკმაყოფილებლად და დასახა მთელი რიგი ამოცანები შემჩნეულ ნაკლების გამოსასწორებლად და არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად.

საანგარიშო კამპანია სენაკის მაზრაში დაიწყო 10 იანვრიდან და დასრულდა 26 იანვრისათვის; პირველ დღეებში ხელშემშლელი იყო ძალზე ცუდი-თოვლიანი დღეები, რამაც შედეგად მოგვცა ზოგიერთ უბნებში კრებებზე ამომრჩეველთა არადამაკმაყოფილებელი დასწრება, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ეს მდგომარეობა გამოსწორდა.

მთელი ორგანიზაციების ყურადღება მიპყრობილი იყო საანგარიშო კამპანიის წარმატებით ჩატარებისაკენ. მაზრიდან თემებში გაიგზავნა 32 პასუხისმგ. ამხანაგები, მათი წინასწარი თათბირის და სამპარტკომიდან სათანადო დირექტივების მიცემის შემდეგ.

ზოგიერთი დეფექტები, რომელიც გვქონდა წორებულ იქნა.—

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია შემდეგი მიღწევები: პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციების დარაზმულობა და აქტიური მონაწილეობა; ღარიბ გლეხობის და და მოჯამაგირეების პარტიასთან შეთანხმებული ორგანიზაციული გამოსვლა და მათი აქტივობის თვალსაჩინოდ გადიდება; პროფკავშირების და კოოპერაციის აქტივობა; მოსახლეობის ფართო მასების მიზიდვა საანგარიშო კრებებზე (საშუალოდ დასწრების 62 პროც. მაზრაში და ზოგიერთ უბნებში კი 88—95 პროცენტამდე); ქალების დასწრების საგრძნობლად გადიდება (საშუალოდ 32 პროც.) და მათი აქტივობის ზრდა (კამათში მონაწილეობა, საკითხების დასმა, ქალების არჩევა კრებების თავმჯდომარეებათ და მდივნებად); საბჭოების ანგარიშგების საქმეში (მომხსენებლად) საბჭოს წევრების და ზოგან მათ შორის ქალების ჩაბმა; ამასთანავე უნდა აღინიშნოს ზოგიერთ თემებში მენშევიკური და ტროცკისტულ ოპოზიციის გამოსვლები ჩვენი პარტიის და ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელნიც საპროვოკაციოდ და სადემაგოგიოთ იყენებენ: საქონლის ნაკლებობას, პურის დანაკლისს და სხვა სიძნელეებს.

ამ პერიოდში კულაკების აშკარა გამოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ მაზრაში არის კულაკების სათანადო პროცენტი, ადგილი არ ჰქონია, რაც უნდა აიხსნას მათი არა სათანადოთ დაბეგვრით და თავის დროზე გატარებულ არა სწორი საგადასახადო პოლიტიკით.

ჯერ-ჯერობით კულაკები თუმცა აშკარად არ ამჟღავნებენ თავიანთ სახეს, მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის გამორკვეულია, რომ ისინი მოქმედებენ მოხერხებულად—მალულად (ზეგავლენა, დახმარების დაპირება ღარიბებზე, დამუქრება და სხვა) და მეტი აქტიობით ემზადებიან არჩევნების პერიოდისათვის.

მიღწევებთან ერთად საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის დეფექტებს: ზოგიერთ თემებში საარჩევნო უბნების არა საკმაოდ გაშლა (მეორე პერიოდში საარჩევნო უბანი გადიდდა 18-ით); გლეხკომების და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების სუსტი მონაწილეობა მაზრპოლიტგანის არა დამაკმაყოფილებელი მუშაობა და სამკითხველოების სუსტი მონაწილეობა საანგარიშო კამპანიაში; ზოგიერთ თემებში მასწავლებელთა ერთი ნაწილის არასაკმაო დაინტერესება და აქტიობა; საბჭოების ახალ შემადგენლობისათვის დასახელებულ კანდიდატებში ქალების არა საკმაო პროცენტი ზოგიერთ თემებში.

სამკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საარჩევნო კომისიას, პარტორგანიზაციებს და სათანადო სამაზრო ორგანოებს მიიღონ სასწრაფო ზომები მეორე პერიოდში აღნუსხულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

მ. ბარამია.

კლასობრივი ბრძოლა მწვავდება

დუმანისის თემი, ბორჩალოს მაზრა

დუმანისის თემში ბნელმა ძალებმა იწყეს ამოძრავება. ეს განსაკუთრებით გამოაშკარავდა მიმდინარე საარჩევნო კამპანიის საანგარიშო პერიოდის დამთავრების შემდეგ.

სოფ. **გოსლებში** შავსიელმა მოქ. **არტემ ნონიანცმა და გრიგორ გრიგორიანცმა** სცემეს კომკავშირელ არსენ ორთოიძეს, ვითომდა ამ უკანასკნელის წინადადებით ჩამოერთვათ მათ საარჩევნო ხმის უფლება.

სოფ. **ვარდისუბანში** მოქ. **გეგლარ ენგიბაროვმა** (შავსიელმა) სიკვდილით დაემუქრა საბჭოს ღარიბ წევრს არსენ მიქელიანცს, რომელმაც საანგარიშო კრებაზე უშიშრად ამხილა ენგიბაროვის ზრახვები.

ამავე სოფლის მცხოვრები შავსიელი მოქ. **ევა ყაზაროვა** შეიჭრა ღარიბ გლეხ ქალთა კრებაზე და უშვერი სიტყვებით მიმართა კრების მონაწილეთ მისი შავ სიაში შეტანის გამო.

შავსიელები სოფლად ავრცელებენ სხვადასხვა ჭორებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამ გზით და მოსყიდვის საშუალებით მათ შესძლეს ზოგიერთი ღარიბი გლეხების თავიანთ მხარეზე გადაბირება.

საჭიროა მეტი ენერგია საშუალო და ღარიბ გლეხობის დასარაზმავად; კულაკების, ვაჭრების, მღვდლების და ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ.

არც ერთი წუთით არ უნდა შესუსტდეს ბრძოლა ბნელი ძალების წინააღმდეგ.

ჟანელი.

ჭიათურა

მედიკამენტის ნაკლებობა ჭიათურაში

ჭიათურის სამრეწველო რაიონი განიცდის დიდ კრიზისს მედიკამენტების უქონლობის გამო. ამის შესახებ თავის დროზე ეცნობა სახმედვაჭრობას, მაგრამ დღემდე მედიკამენტები არ არის მიღებული. აფთიაქი მოკლებულია საშუალებას დააკმაყოფილოს მუშების მოთხოვნილება. მედიკამენტების უქონლობით საავადმყოფოც ცუდ პირობებშია, რადგან სიცივეების გამო გაიზარდა ავადმყოფთა რიცხვი, გახშირდა გრიპის შემთხვევები. საჭიროა სახმედვაჭრობამ და ჯანმრთელობის კომისარიატმა სასწრაფო ზომები მიიღონ ჭიათურის უზრუნველსაყოფად მედიკამენტებით.

ე. ხუციშვილი.

მარგანეცის გატანა საზღვარგარეთ

ჭიათურა, 1 თებერვალი. ჭიათურის შავი ქვის ტრესტის ცნობით. ამჟამად ფოთის ნავთსადგურში მარგანეცის გასატანად მოსულია საზღვარგარეთიდან სამი გემი. გემი „გილდა“ გაიტანს 8.000 ტონა პეროქსიდს ბალტიმორაში, ამერიკული გემი „ადოლფ ლეონგარდი“ გაიტანს 1.550 ტონა პეროქსიდს, ამავე გემს მიაქვს 20 ტონა შავი ქვის ნარეცხი ლექი და 400 ტონა შავი პეროქსიდი, გემი „რობერა“ გაიტანს 6.400 ტონა პეროქსიდს. უკანასკნელი ორი გემი "ადოლფ ლეონგარდი" და „რობერა“ მარგანეცს გაიტანენ ჰამბურგში (გერმანია). ცუდი ამინდის გამო გემები სამი დღის განმავლობაში არ შემოსულან ფოთის ნავთსადგურში, მხოლოდ ამინდის დაწყნარების შემდეგ მოახერხეს შემოსვლა. ამავე დროს სამი დღის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურში ძლიერი ქარის გამო შეჩერებული იყო მარგანეცის დატვირთვა.

ღვალაძე.

გაზაფხულის თესვისათვის

რკინის გზის ტრანსპორტი მზადაა

გუშინ, ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ვ. პოზდეევთან.** შეკითხვაზე, თუ რა ზომებს იღებს რკინის გზა გაზაფხულის თესვისათვის თესლეულის, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო მასალების შეუფერხებლად გადაზიდვისათვის, ამხ. პოზდეევმა განაცხადა:

გზის გამგეობას გზათა სახალხო კომისარიატისაგან მიღებული აქვს ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გაზაფხულის თესვისათვის საჭირო თესლეულის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო საშუალებათა დაუყოვნებლივ და თავის დროზე გადაზიდვა რკინის გზით.

გზა სავსებით მზად არის ამ ბრძანების შესასრულებლად.

მართალია ამჟამად საექსპ. ტვირთების გადაზიდვის გაძლიერების გამო გზას მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გზის გამგეობის მიერ მიღებული იქნება ყველა ზომები, რათა გაზაფხულის თესვისათვის საჭირო მასალები გადაზიდულ იქნეს დაუყოვნებლივ და თავის დროზე.

გზის გამგეობა ხაზზე გასცემს განკარგულებას, რათა თესლისათვის საჭირო მასალებით დატვირთული ვაგონები და მატარებლები გაატარონ პირველ რიგში და ადგილი არ ექნეს ამ მასალების მიწოდების დაგვიანებას.

ქაღალდის ეკონომიის დასაცავად

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატის დადგენილება

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დადგენილებით ყველა ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებულნი არიან 30 პროცენტით შეამცირონ (1927-28 წ. შედარებით) ყოველგვარი სახის და ხარისხის საკანცელარიო ქაღალდის ხარჯვა. ამ მიზნით მათ ერთი თვის განმავლობაში უნდა გაატარონ რაციონალიზატორული ღონისძიებები, რომლებიც მიზნათ ისახავენ ქაღალდის ყოველმხრივ ეკონომიას.

კერძოთ, ქაღალდის ეკონომიის დაცვის მიზნით, შემოღებულ უნდა იქნეს მიმოწერის გამარტივებული წესი: ნაკლებ მნიშვნელოვან მიმართვაზე პასუხი გაცემული უნდა იქნეს შემოსულ მომართვის მეორე გვერდზე, პასუხის ასლის დაუტოვებლად; შემოღებულ უნდა იქნეს მიმოწერა დაწესებულებებს შორის ღია ბარათებით; მაქსიმალურად უნდა იქნეს შემცირებული სამსახურებრივ მიმართვების რაოდენობა; მიწერ-მოწერა დაწესებულებებთან შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შეიცვალოს ტელეფონით მოლაპარაკებით და სხვ.

ამასთან ერთად. უნდა შემცირდეს იმ ქაღალდის რაოდენობა, რომელიც იხარჯება კოლეგიალურ და ერთპიროვნულ დადგენილებათა მომზადებაზე და ამ დადგენილებათა ჩამოყალიბებაზე; წერილობითი მოხსენებები წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში; წერილობითი მოხსენებებს, რომლებიც სხვადასხვა ინსტანციებშია წარსადგენი, თეზისების ფორმა უნდა მიეცეს; მოხსენების მაქსიმალურ ზომად შემოღებული უნდა იქნეს 10 გვერდი; კოლეგიების, გამგეობების, და კომისიების სხდომების სტენოგრამების შედგენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები ირჩევა. ყველა დაწესებულება უნდა გადავიდნენ ოქმების შედგენის სტანდარტულ ფორმაზე, რომლის დროსაც განყოფილებები; „მოისმინეს“ და „დაადგინეს“ თავსდება ერთი მეორის ქვეშ და არა მარცხნივ და მარჯვნივ როგორც დღემდე და სხვ.

შემდეგ, შემუშავებული უნდა იქნეს ქაღალდის გამოყენებისა და შენახვის ეკონომიური და მიზანშეწონილი ფორმები: სწორად უნდა იქნეს შერჩეული ქაღალდის ფორმატი; ნაკლებმნიშვნელოვანი დოკუმენტები უნდა დაიბეჭდოს მდარე ღირსების ქაღალდზე; ქაღალდები მანქანაზე უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთი ინტერვალის გამოტოვებით და სხვ.

შემცირებულ უნდა იქნას იმ ქაღალდების რაოდენობა, რომელიც იხარჯება საერთო ფორმების, ანგარიშების ფორმების და საერთო ბლანკების დამზადებაზე და შემუშავდეს ბრძანებათა, განკარგულებების და საუწყებო ბიულეტენების გამოცემის უფრო ეკონომიური წესი.

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექცია წინადადებას იძლევა შემცირდეს იმ ქაღალდის რაოდენობა, რომელიც იხარჯება მიწერ-მოწერის რეგისტრაციაზე და გადაგზავნაზე, შიკრიკის ხელით გასაგზავნი (არასაიდუმლო ბარათები) გაიგზავნოს უკონვერტოთ; ერთი დაწესებულების ან პირის სახელზე გასაგზავნი რამდენიმე ბარათი ერთი კონვერტით გაიგზავნოს; შემოღებულ იქნეს ბარათების უკონვერტოთ გაგზავნის სისტემა (უწყებების და ბანდეროლების მსგავსათ).

წმინდა ქაღალდათ დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ არქივებიდან გამოტანილ საქმეების და დაწესებულებების წიგნებში დარჩენილი წმინდა ფურცლები და აგრეთვე წმინდა გვერდები იმ საარქივო ქაღალდების, რომლებიც შენახვას არ საჭიროებენ.

დაწესებულებებმა უნდა აგროვონ ქაღალდის ნარჩენები, ზედმეტი ასლები და სხვ. და გადასცენ ქაღალდის მრეწველობის საჭიროებისათვის.

მშენებლობის გასაუმჯობესებლად

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შენობათა სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის დებულება.

ინსტიტუტის ამოცანას შეადგენს მშენებლობის რაციონალიზაცია, ახალი საამშენებლო მასალების და მშენებლობის ახალი მეთოდების გამოყენება ამიერ-კავკასიაში და მშენებლობის მუშაკთა ფართო წრეების გაცნობა ინსტიტუტის მიღწევებთან. ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე საამშენებლო ტეხნიკის კვალიფიციურ სპეციალისტების მომზადებას.

ინსტიტუტს უფლება აქვს ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ნებართვით მოაწყოს ყოველგვარი დამხმარე წარმოებანი, როგორიცაა: ლაბორატორიები სახელოსნოები, საცდელი ქარხნები, საცდელი შენობები და სხვა ინსტიტუტის დამხმარე დაწესებულებებს უნდა ჰქონდეს საცდელ-საწარმოო და საჩვენებელი ხასიათი; ამ დაწესებულებების დანიშნულებაა ლაბორატორიულ მიღწევების შემოწმება და აღმშენებლობის იმ კონსტრუქციების და მეთოდების შემოღება. რომლებიც ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული.

ინსტიტუტს მეთაურობს კოლეგია და ინსტიტუტის ბიურო. ბიურო შესდგება თავმჯდომარისა, რომელიც იმავე დროს არის ინსტიტუტის დირექტორი, მისი მოადგილისა და მსწავლულ მდივნისაგან. კოლეგია შესდგება დირექტორისა და მისი მოადგილისაგან, სამეცნიერო-საგამომკვლევო ჯგუფების ხელმძღვანელებისა და მსხვილი საამშენებლო ორგანიზაციების და საამშენებლო მრეწველობის წარმომადგენლებისაგან.

ინსტიტუტის დირექტორს და მის მოადგილეს ნიშნავს ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ნაგებობათა საკავშირო ინსტიტუტის დირექციასთან შეთანხმებით.

ამ მიზნით, რომ გაძლიერებული იქნეს ინსტიტუტის კავშირი სამეურნეო და სამეცნიერო ორგანოებთან და დაწესებულებებთან, ინსტიტუტთან შეიძლება მოწყობილი იქნეს დამხმარე საბჭო, ამას გარდა ინსტიტუტთან შეიძლება მოწვეული იქნეს ტეხნიკური თათბირები.

—:—

აზერბეიჯანის ს. მ. ფ. ს. შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. საამშენებლო ტეხნიკურ კომიტეტის წინაშე რათა ნება მიეცეს მას განაგრძოს ნუხის ძაფსახვევ ფაბრ. საამშენებლო სამუშაოები. ეს სამუშაოები ა.-კ. სახკომსაბჭოს განკარგულებით შეწყვეტილი იყო იმის გამო, რომ წინასწარ შედგენილი არ იყო ფაბრიკის პროექტი, სამუშაოების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. ა.-კ. საამშენებლო-ტეხნიკურმა კომიტეტმა შესაძლებლად არ სცნო შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საამშენებლო სამუშაოების გაგრძელება ნებადართული არ იქნება იმ დრომდე სანამ ა.-კ. საამშენებლო-ტეხნიკური კომიტეტი საბოლოოდ არ განიხილავს აზერბეიჯანის ს. მ. ფ. ს. მიერ წარდგენილ საპროექტო მასალებს.

შინამრეწველ-ხელოსანთა კონფერენცია

პირველი სხდომა

31 იანვარს თბილისის ხელოსანთა კლუბში გაიხსნა შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების სალიკვიდაციო კონფერენცია. კონფერენციის გახსნისას საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. ნასარიძემ აღნიშნა კონფერენციის მოწვევის მიზნები და განმარტა, რომ ამიერიდან შინა-მრეწველ-ხელოსანთა საზოგადოება უნდა გადაკეთდეს კოოპერატიულ ორგანიზაციად.

ამხ. დ. ნასარიძის შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი და დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი, რის შემდეგაც კონფერენციას მიესალმნენ: ა. მ. ფ. საბჭოს სახელით—ამხ. ა. კალანდაძე, სარეწაო კოოპერაციიდან—ამხ. გოგაძე, საურთიერთო დამხმარე სალაროდან—ამხ. კვანტალიანი და სხვები.

მისალმებათა დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ვარდანიანმა.

ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის მე-2 პლენუმი

მესამე სხდომა

კამათი ამხ. პოზდეევის მოხსენების გარშემო

ამხ. პოზდეევის მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათი დაიწყო მეორე სხდომაზე და დასრულდა მესამე სხდომაზე. კამათში მონაწილეობა მიიღო 25-ზე მეტმა ორატორმა.

ორატორებმა უმთავრესად ყურადღება შეაჩერეს და ილაპარაკეს შტატების და წარმოების საკითხების გარშემო. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ გზაზე ადგილი აქვს კვალიფიკაციურ მუშა-ხელის ნაკლებობას, წარმოების რაციონალიზაცია სუსტად ტარდება, გზის ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს საწარმოო თათბირების და კომისიების მუშაობას, სახელოსნოებში ხელსაწყოები უვარგისია, მასალების მომარაგების საქმე ჰოიკოჭლებს, ხშირად საჭირო მასალები ან არ მოიპოვება ან და უვარგისია.

დასახელდეს შემთხვევები, როცა ადმინისტრაცია ადგილებზე ითხოვს მუშებს, აძლევს მას გასასვლელ გასამრჯელოს და მეორე დღეს ისევ უკან იღებს, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს.

თანხების გადახარჯვას ადგილი აქვს არა მარტო შტატის სიდიდის გამო, არამედ იმატომაც, რომ გამგეობას არ აქვს შემუშავებული მტკიცე საწარმოო პროგრამა.

მუშებმა ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხნიდან აღნიშნეს, რომ ქარხანაში ტეხნიკური პირობები ცუდია და მასალები გამოუსადეგარი.

გზის გამგეობიდან ილაპარაკეს ამხ. ქავთარაძემ, ინჟ. ზერიძემ და ახლანოვმა. მათაც აღნიშნეს, რომ გზაზე მრავალ დეფექტებს აქვს ადგილი და მოუწოდეს პლენუმს მოეხმარონ ადმინისტრაციას მათ გამოსწორებაში და შეერთებული ძალებით გამოიყვანონ ტრანსპორტი იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება.

ამხ. პოზდეევის და უსტიაშვილის საბოლოო სიტყვების შემდეგ პლენუმმა აირჩია კომისია მოხსენების შესახებ პრაქტიკული წინადადებების შესამუშავებლად.

საამშენებლო მასალის მომარაგება

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ შეიმუშავა საქართველოსათვის საამშენებლო მასალის მომარაგების გეგმა. ამ გეგმის თანახმად მომავალ საამშენებლო სეზონში საქართველოსათვის საჭირო იქნება 204.950 კუბიკური მეტრი ხე-ტყის მასალა, 420.430 კასრა ცემენტი, 8.472 ტონა დახარისხებული რკინა, 5.356 ტონა სახურავი შავი რკინა, 1,680 ტონა სახურავი თეთრი რკინა, 39.543 ფუთი მინა, 2.140 ტონა ლურსმანი, 1.888.127 მანეთის სხვადასხვა რკინის მასალა (კარსაკეტები, კარსაბამები და სხ.) და 16—18 მილიონი ცალი აგური.

აგურის ქარხნების წლიური პროდუქცია საქართველოში უდრის 38—40 მილიონ ცალს, ასე რომ შესაძლებელი იქნება ზედმეტი პროდუქციის გატანა მოკავშირე რესპუბლიკებში.

ხე-ტყის მასალა ადგილობრივ დამზადებული იქნება 103.984 მეტრის რაოდენობით. დანარჩენი ხე-ტყის მასალა, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ზევით ჩამოთვლილი საამშენებლო მასალები, შემოზიდული იქნება მოკავშირე რესპუბლიკებიდან. ხე-ტყის მასალის შემოზიდვა რუსეთიდან დავალებული აქვს საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს, დანარჩენ საამშენებლო მასალისა კი საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას.

აფხაზეთის სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა საამშენებლო მასალას შემოზიდავს აფხაზეთის საჭიროებისათვის, ხოლო რკინის გზა, ნავთსადგური, სამმართველო და საბინაო კავშირი საამშენებლო მასალას შემოზიდავენ თავის საჭიროებისათვის.

წითელი ყაზარმის დათვალიერება

№ ცხენოსან ლეგიონში

ქ. თელავის ე. წ. წითელ უბანში მოთავსებულია № ცხენოსან პოლკის ყაზარმები.

ძველ დროს აქ პლასტუნების ბატალიონი იდგა და გლეხკაცობა ახლოსაც არ ეკარებოდა. სამაგიეროდ ყაზახები თვითონ მიდიოდენ მეზობელ გლეხების ოჯახებში. მიდიოდენ ღამით ღვინის, ხილის, ქათმის, გოჭის, ცხვრის და სხვას მოსაპარავად.

ქურდ-ჯარისკაცებს აკლებული ჰქონდათ მთელი უბანი. ამხ. გიგიბინა ვინმის და ჩიკულა: უარესი დღე დაადგებოდათ: მოუცვივდებოდნენ სახლში და მაგრად სცემდნენ. ცემას თუ დასჯერდებოდნენ კიდევ არაფერი, მაგრამ ცემის შემდეგ სატუსაღოში აგდებდნენ ნაცემს.

ახლა კი სხვა სურათია: გლეხები მშვენიერ განწყობილებაში არიან წითელ-არმიელებთან. უკანასკნელნი ეხმარებიან მათ მუშაობაში. არა ერთისთვის გადუხნავთ ყანები, ბოსტანი.

გლეხები ეხლა ყაზარმებშიაც დადიან. უყურებენ იქ მუქთ კინოს და წარმოდგენებს, ბევრს იქ სამუშაოც უჩნდება.

ლეგიონმა ყაზარმების შემოწმების შესახებ ცნობა მიიღო დეკემბრის პირველ რიცხვებში და მაშინათვე შეუდგა სამზადისს. არჩეულ იქნა კომისია. შედგენილ იქნა დათვალიერება-შემოწმების პროგრამა. გამოცხადებული იყო 4 კონკურსი: 2—[illegible], ერთი—სანიტარულ - ჰიგიენურ და ერთიც ცხენგაუზების უკეთესად დაყენებაზე ესკადრონებში. ის ასეული. რომელსაც შეუქმნია საუკეთესო მდგომარეობა თავის ყაზარმებში მოწყობილობის სისუფთავის, დასვენების და სხვა მხრივ ჯილდოთ მიიღებს საკანცელარიო მოწყობილობას და ფულად 25 მანეთს, მეორე და მესამე პრემია არის ფულადი: თუმანი და 5 მანეთი.

რათა წითელ-არმიელები კარგათ გაეცნონ დათვალიერების მიზანს და ფართოდ იქნან ჩაბმული ამ კამპანიაში, მოეწყო მოხსენებები, საუბრები და სპეციალური საღამოები.

შემდეგ ყველა ასეულებს დაეგზავნა წერილობით პროგრამა და განმარტებები. ამგვარად ყველა ჯარისკაცები წითელ მეთაურებთან ერთად დიდ მონაწილეობას იღებენ ყაზარმების შემოწმებაში.

საცხოვრებელი ბინები სუფთაა და მორთული, მხოლოდ ლეგიონი განიცდის სივიწროვეს კობატურის მხრივ.

შემდეგ, როგორც გავიგეთ, ყაზარმები აშენებული ყოფილა ქვეითა ბატალიონისათვის და ცხენოსან ნაწილისათვის იმდენად გამოსადეგი არაა.

ყაზარმები განათებულია ელექტრონით. აქვთ მოწყობილი კლუბი. წითელი კუთხე. აქვთ კინო, სდგამენ წარმოდგენებს. გაფუმჯობესებით საზაფხულო ბაღი სადაც ზაფხულობით საკლუბო მუშაობა მიმდინარეობს. სამზარეულო სუფთაა, მხოლოდ პატარა, ასეთივეა სასადილოც, რომელიც ერთბაშათ ვერ იტევს ყველას და ორ ჯგუფათ უხდებათ სადილობა.

კარტოფილის საწმენდათ შეიძინეს საფცქვენი მანქანა რითაც მეტად ამაყობენ მზარეულები.

ცხენები ძალიან კარგათა ჰყავთ მოვლილი მხოლოდ საჯინიბო ორი ახალია და კარგი, ოთხი არ უვარგათ; დაბლებია, ნესტიანი და ბნელი. ამ სადგომებში ცხენის მოვლა ძნელია და ზედმეტ შრომას მოითხოვს წითელ-არმიელისაგან.

ყველა უფროსიდან უმცროსამდის იმ აზრისაა, რომ საჭიროა ახალი თავლების აგება, მაგრამ ამისათვის თანხები არა აქვთ.

დათვალიერების დაწყებისთანავე ლეგიონმა მიმართა პატაკით თავის შეფებს: აზერბეიჯანის ცაკს, კახეთის მაზრის აღმასკომს და საპატიო მეომარს ამხ. **გუსეინოვს** ნივთიერ დახმარების აღმოჩენის შესახებ. ჯერ პასუხი არა აქვთ მიღებული. იმედოვნებენ, რომ მათი დახმარებით შეიძენენ საკლუბო ინვენტარს. კბილის ჩოთქებს, ძაფს, წიმსებს და სხვა საჭირო ნივთებს.

სხვათა შორის აღსანიშნავია ის გარემოება. რომ აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც 6—7 წელიწადია შეფია პოლკისა, ერთხელაც არ ყოფილა პოლკში.

საერთოდ წითელი ყაზარმა მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს და ალბათ ამის მიზეზია, რომ დაწუნებული ახალგაზრდები ჯარში გამწვევ კომისიებში საყვედურობენ და მოითხოვენ მიღებას.

ალაზნელი.

შვებულებები ზამთრობით

საკავშირო შრომის სახ. კომისარიატის პროექტი

საკავშირო შრომის სახკომისარიატმა დაამუშავა პროექტი შვებულების გამოყენების წესის შესახებ. ამ პროექტის თანახმად, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები შვებულებებს იმგვარად ანაწილებენ, რომ მთელი წლის ყველა თვეებში (გარდა 1—2 თვისა, რომელიც ყველაზე უფრო არახელსაყრელია კლიმატიური თვალსაზრისით), შვებულებაში იმყოფებოდეს მუშა-მოსამსახურეების თანაბარი რიცხვი. სახელმწიფო წარმოებებში მუშებისათვისაც შვებულების მიცემა, შესაძლებლობის მიხედვით, თანაბრად უნდა იქნეს განაწილებული ყველა თვეებზე.

მუშა-მოსამსახურეთა შვებულების რიგს წარმოება-დაწესებულებებში ადმინისტრაცია არკვევს წლის დასაწყისში. არასრულწლოვანთ შვებულებები, შეძლებისდაგვარად, უნდა მიეცეს ზაფხულობით.

„ყველ-კარაქ-კავშირი“

3 თებერვალს, სოფლის კავშირში“ გაიხსნება საქართველოს მერძევეთა არტელების და კოოპ. ამხანაგობების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც განხილული იქნება დებულება მერძევეთა კოოპერატიული კავშირის შესახებ და არჩეული იქნება ზემოხსენებულ კავშირის—„ყველ-კარაქ კავშირი“-ს ხელმძღვანელი ორგანოები.

„სოფლის კავშირი“-ს ცნობით, მერძევეთა კოოპერატიული გაერთიანებები საქართველოში არსებობდნენ რევოლიუციის წინადაც. (პირველი ამხანაგობა დაარსდა 1858 წელს, რევოლიუციის წინა ხანებში საქართველოში სულ იყო სამი ამხანაგობა), მაგრამ ეს ამხანაგობები ატარებდნენ უფრო კერძო ხასიათს. მერძევეთა კოოპერაციას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ 1922 წლიდან. ამჟამად საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკათა გამოკლებით) არის სულ მერძევეთა 67 არტელი, რომელშიაც შეკავშირებულია 5.900 მეურნეობა—16.000 ძროხით.

1927—28 წელში ამ ამხანაგობათა მიერ დამზადებული იქნა სულ 92.000 ცენტნერი რძე. ამ რაოდენობიდან რძეთ გასაღებული იქნა 40.000 ცენტნერი, ხოლო დანარჩენი რაოდენობა გადამუშავებული იქნა რძის ნაწარმობად. მერძევეთა კოოპერაციის წლიური პროდუქცია უდრიდა 1.808.000 მანეთს.

მერძევეთა კოოპერაციის მშენებლობას აქამდე ხელმძღვანელობდა „სოფლის კავშირი“-ს მერძეობის სექცია, რომლის განკარგულებაშიაც არის რამდენიმე ქარხანა. მიმდინარე წლის გეგმით განზრახულია 3 მექანიკური ქარხნის აგება და არსებული ქარხნების შეკეთება. მერძეობის კაპიტალურ მშენებლობაზე წლის განმავლობაში დახარჯული იქნება 600 ათასი მანეთი. გარდა ამისა. გათვალისწინებულია მთელი რიგი აგროკულტურული და სხვა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მერძეობის განვითარებას.

მკითხველთა წერილებიდან

მეტი ყურადღება ნარჩენების უტილიზაციას

საგულისხმო საკითხს ეხება თავის წერილში ამხ. ტარასოვი.

„დროა, სწერს ის, ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წელში მაინც უკუვაგდოთ ძველებური ხელგაშლილობა, უყურადღებობა დაზოგვის და მომჭირნეობის სხვა საკითხებისადმი.

ჩვენ ვიცით და ვგრძნობთ რამდენად ღარიბი ქვეყანაა ჯერ-ჯერობით საბჭოთა კავშირი. ამავე დროს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ სხვადასხვა სახის ნარჩენებს. გერმანიაში სოფლად და ქალაქად თვითეული მოქალაქე დიდ ყურადღებას აქცევს ყოველი სახის ნარჩენებს და ნაფარ-ნუფარის შეგროვებას. ისინი ფრთხილად ეკიდებიან ამ „საქონელს“, აგროვებენ ნარჩენებს და ახარისხებენ მას ცალ-ცალკე (ძვლები, ქაღალდი, თუჯი, რკინა, ბოთლები, ჩვრები, თუნუქისა და რკინის ნივთები).

ყველა ეზოში და სახლებში ნარჩენების ნაგროვებისათვის მიჩენილია სპეციალური ადგილი. არის სათანადო დაწესებულებები, რომელთა აგენტებიც პერიოდულად ჩამოუვლიან მოსახლეობას და მიაქვთ შეგროვილი ნარჩენები.

ასეთი მდგომარეობაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. იქ ყოველი დიასახლისი, ყოველი მეურნე დიდი სიფრთხილით ეკიდება თვითეულ ჩვარის ნაფლეთს, ძვალს, ქაღალდის ნაგლეჯს და სხვა. მით უფრო საჭიროა ეს ჩვენთვის.

დაუშვებელია ის ზერელე, ზოგჯერ უადგილო „აზიზი“ დამოკიდებულება ნაფარ-ნუფარისადმი, რომელსაც ხშირად ადგილი აქვს ჩვენში. ამ საკითხს უნდა მიეცეს დიდი საზოგადოებრივი ხასიათი. უნდა ვისწავლოთ მომჭირნეობა. ამ საქმეში თაოსნობა უნდა იკისრონ ორგანიზაცია-დაწესებულებებმა. ვინ იცის რამდენი მილიონი მანეთის ნარჩენები იკარგება უსასყიდლოდ საბჭოთა კავშირის ვეებერთელა ტერიტორიაზე!

ამხ. ტარასოვის მიერ წამოყენებული საკითხი თავისთავად ახალი არ არის მაგრამ ის უთუოდ ღირსია იმისა, რომ ჩვენმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა დიდი ყურადღება მიაქციონ მას. ნარჩენების შეგროვება-გამოყენება მნიშვნელოვან სამეურნეო ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ გულგრილობას, რომელსაც დღემდე ადგილი აქვს ნარჩენების უტილიზაციის საკითხისადმი.

უნდა მოხდეს თავისუფალ საზოგადოებათა გაერთიანება

ამხ. შ. გარეკახელი თავის პრაქტიკულ გამოცდილების მიხედვით აყენებს საკითხს თავისუფალ საზოგადოებათა გაერთიანების აუცილებლობის შესახებ.

„უკანასკნელ ხანებში, სწერს ის, მეტად გამრავლდა თავისუფალ საზოგადოებათა რიცხვი. იშვიათად მოიპოვება ისეთი თემი, სადაც არ არსებობს: რევმდასი, თავდაცვაავიაქიმსი, წითელი ჯვრის და სხვ. ორგანიზაცია. ამის გამო ხშირად თვითეულ თემში არსებობს 4—5 სხვადასხვა თავისუფალ საზოგადოებათა კომიტეტი, ხოლო სოფლებში 4—5 ასეთივე უჯრედი.

თავისუფალ საზოგადოებას მრავალი რთული სამუშაოების ჩატარება უხდება. წევრთა რიცხვის გადიდება, საღამო-წარმოდგენების გამართვა, შემოწირულებათა საქმის ორგანიზაცია და მრავალი სხვა. ამ მუშაობას დაქსაქსულ თავისუფალ საზოგადოებათა ორგანოები ხელმძღვანელობას ვერ უწევენ. ეს კომიტეტები ხშირად უფრო ფორმალურად არსებობენ. ამიტომ, დროულად უნდა ჩაითვალოს საკითხის დაყენება თავისუფალ საზოგადოებათა კომიტეტების და უჯრედების გაერთიანების შესახებ.

გაერთიანებული თემკომი და უჯრედი უნდა აკავშირებდეს ყველა თავისუფალ საზოგადოების წევრებს. ამრიგად ჩვენ მოვახდენთ თავისუფალ საზოგადოებებში მომუშავე ძალთა კონცენტრაციას, რითაც საქმე დიდად მოიგებს“.

რადიოფიკაციის მტკივნეული მხარეები

ამხ. ა. პატარიძე თავის წერილში ეხება რადიოფიკაციის განვითარების საკითხს. ის აღნიშნავს, რომ რადიო მშენებლობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა პარტია. საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობა თავის დადგენილებებში მიგვითითებს რადიოს განვითარების მნიშვნელობაზე. საქმით კი ხშირად სხვა რამ ხდება. რადიოფიკაციის განვითარებას ზოგჯერ დიდად აბრკოლებს ჩვენი ამა თუ იმ დაწესებულების ჩვეულებრივი დაუდევრობა.

„სოფლად და ქალაქად, სწერს ამხ. პატარიძე, იზრდება რადიო-დადგმულობათა რიცხვი. მაგრამ სადგურების ნაწილი უმოქმედოდ სდგას. ხშირად აპარატის უმოქმედობას ხსნიან იმით, რომ ადგილობრივ არ მოიპოვება რადიოს საქმის მცოდნე პერსონალი. მაგრამ მთავარი მიზეზი ეს არ არის. რადიო-დადგმულობათა უმოქმედობა აიხსნება რადიო-ბატარეების უქონლობით. ამ მასალის მონოპოლიური მომწოდებელია „გოსშვეიმაშინა“.

ეს ორგანიზაცია წელიწადში სამჯერ თუ მიიღებს ბატარეებს, მასალის მოსვლის მეორე დღეს ის უკვე აღარ არის „გოსშვეიმაშინა“-ს მაღაზიებში. კერძო პირები მაშინვე დაიტაცებენ ბატარეებს, ხოლო დაწესებულებანი და პროვინცია დაუკმაყოფილებელი რჩება. გლეხები ჩამოდიან თბილისში სოფლის დავალებით რადიო-მასალის შესაძენად და ხშირად ხელცარიელი ბრუნდებიან უკან.

„გოსშვეიმაშინა“-მ უნდა იცოდეს რამდენი ბატარეა არის საჭირო საქართველოსთვის და მოთხოვნილების მიხედვით უნდა იწერდეს მას მოსკოვიდან. თუ ცენტრი ვერ დააკმაყოფილებს „გოსშვეიმაშინა“-ს ნორმალურ დაკვეთას, მაშინ საჭიროა შემოღებულ იქნას ისეთი წესი, როცა ბატარეები პირველ რიგში მიეცემა დაწესებულება-ორგანიზაციებს და სოფელს.

ამავე საკითხს ეხება ამხ. ა. ბ—ლი, რომელიც აღნიშნავს რადიო-გადაცემათა პროგრამების სისუსტეს და თვით გადაცემის საქმის მოუწესრიგებლობას. ამხ. ა. ბ—ლი სწერს:

„გადაცემის მუსიკალური ნაწილი ხშირად ვერ აკმაყოფილებს საშუალო განვითარების დონეზე მდგარ მსმენელს. არის შემთხვევები, როცა გაზეთების საშუალებით ვტყობილობთ, რომ თბილისის ოპერაში იდგმება კლასიური სპექტაკლები. მღერიან საუკეთესო ძალები. ან თბილისში იმართება მეტად საინტერესო კონცერტები.

რადიო-გადაცემის თბილისის სადგური კი ასეთ დღეებში ხშირად იძლევა თავის სტუდიის კონცერტს, რაიც მსმენელებს არ აკმაყოფილებს და გაკვირვებას იწვევს, თუ რატომ ხდება ეს.

გარდა ამისა რადიო-სადგურის ქართული გადაცემა ბევრად ჩამორჩება თავის ხარისხით რუსულ გადმოცემას. ჩვენ აღარაფერს ვლაპარაკობთ დიქციაზე, კარგა ხანია შეურიგდით ამ არანორმალობას. მთავარი ისაა, რომ ქართველი გადმომცემი თითქმის სისტემატიურად შეკვეცილ ცნობებს იძლევა ცალკე საგნებზე. რაც შეეხება ოპერის შინაარსის ახსნას, ქართული გადმოცემა აქაც მოიკოჭლებს. ან სრულიად არ ხსნიან ოპერის შინაარსს, ან თუ ხსნიან, მეტად უხეიროდ“.

ქუთაისი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დაწვრილებითი ცნობები ხანძრის შესახებ სოფ. მაღლაკში

27 იანვარს დღის 2 საათზე და 30 წუთზე სოფ. მაღლაკში გაჩნდა დიდი ხანძარი. ცეცხლის გაძლიერებას მეტად შეუწყო ხელი დიდმა გრიგალმა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ მძვინვარებს. ცეცხლი პირველად გაჩნდა ქუთაისის მთავარ შოსედან სამი კილომეტრზე დაცილებით მცხოვრებ ზაქარია კოსტავას ბინას. სახლში მარტოთ მყოფი ღრმად მოხუცებული ზაქარია კოსტავას ჩიბუხის წევის დროს ტახტზე ჩამოსძინებოდა. ჩიბუხში დარჩენილმა ცეცხლმა გაღვივება იწყო, ცეცხლი ტახტს, კოსტავას ტანსაცმელს და შემდეგ მთელ სახლს მოედო, კოსტავა დაიწვა.

ძლიერი ქარის გამო ხანძარი მოკლე ხანში გადავიდა მეზობლად მდებარე სახლებზე. ხანძარი ისე გაძლიერდა, რომ დიდი საშიშროებას უქადდა მთელ მოსახლეობას. მიუხედავათ მოსახლეობის ენერგიული ზომებისა ადგილობრივი ძალებით ხანძრის არა თუ ჩაქრობა, ოდნავ შენელებაც კი შეუძლებელი შეიქნა.

4 საათის განმავლობაში დაიწვა რვა მოსახლის სახლკარი საბძლებით, სასიმინდეებით და სურსათ-სანოვაგით.

ხანძრის შესახებ ორი საათის დაგვიანებით ეცნობა სამაზრო-საქალაქო ხანძრისაგან დაცვის სამმართველოს და სამაზრო აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას. ცნობის მიღებისთანავე ქუთაისიდან მაღლაკში სასწრაფოდ გაემგზავრა ორი სახანძრო რაზმი. სამმართველოს უფროსის ამხ. კეკუას და მის მოადგილეს ამხ. დარსაველის ხელმძღვანელობით. რაზმთან ერთად ხანძრის ადგილზე გამოცხადდა აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ამხ. ხოფრომაძე და მილიციის სხვა მუშაკები. რაზმების ენერგიული ღონისძიებით ღამის 9½ საათზე შესაძლებელი გახდა ხანძრის ლიკვიდაცია. ხანძრის მიერ მიყენებული ზარალი დაახლოებით უდრის 20.000 მანეთს.

28 იანვარს სამაზრო აღმასკომთან ხანძრით მიყენებულ ზარალის სისწორით გამოსარკვევათ და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ შესდგა სპეციალური კომისია. ამჟამად კომისია აწარმოებს ზარალის დაწვრილებით გამორკვევას.

დაზარალებულნი დროებით მოთავსებულნი არიან ნაცნობ-ნათესავებთან. ზარალის გამორკვევისთანავე სამაზრო აღმასკომი შეუდგება მათ ანაზღაურების საქმეს.

ხორბლეულის შემოზიდვის გეგმა

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა შინა-ვაჭრობის განყოფილების მიერ შემუშავებული მაზრაში 1928-29 წელში ხორბლეულის შემოზიდვის გეგმა. გეგმის თანახმად გასული წლის მოუსავლობის და საგაზაფხულო თესვის კამპანიის სუსტად ჩატარების გამო, 1928-29 წელში, სიმინდის შემოზიდვა უნდა გაიზარდოს 403.000—433.346 ფუთამდე, ხოლო პურის ფქვილი 316.595 ფუთამდე, ხორბლეული 16.240 ფუთი და სიმინდის ფქვილი კი 13990 ფუთ. რაოდენობით.

განჯის დელეგაცია ქუთაისში

ამ დღეებში განჯის მაზრიდან ქუთაისის მაზრაში მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა 4 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია. დელეგატთა შორის მუშებია (დეპოდან) და ორი მოჯამაგირე განჯის მაზრიდან. ამავე მიზნით ქუთაისის სამაზრო საარჩევნო კომისიამ განჯაში მიავლინა ოთხი კაცი. აქედან ერთი მუშა (თამბაქოს ქარხანა), ერთი მოჯამაგირე (სვირის თემი) და ერთი გლეხი.

შენობები პატრიკეთის კომუნისათვის

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა დაავალა საამშენებლო განყოფილებას რათა დაჩქარებით შეიმუშაოს პატრიკეთის სასოფლო-სამეურნეო კომუნისათვის, შენობის ასაგები პროექტი. შენობის ასაგები წინასწარი მუშაობისათვის აღმასკომმა გაიღო 500 მანეთი.

სამზადისი საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შეიმუშავა საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის სიმინდის თესლის დამზადების გეგმა და დაავალა მაზრის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს დაჩქარებით შეუდგენ გეგმით გათვალისწინებულ სიმინდის თესლის დამზადებას. გეგმის თანახმად წელს თესლის დამზადების მინიმუმი მაზრაში გათვალისწინებულია 60.000 ფუთი სიმინდით. აქედან ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობამ უნდა დაამზადოს 4.000 ფუთი, ვანმა,—10.000 ფუთი, სამტრედიამ—10.000 ფუთი, ხონმა—5.000 ფუთი, მუხიანმა—1.000 ფუთი; სიმონეთმა—1000 ფუთი, ტობანიერმა—1.000 ფუთი ზეინდარმა—2.000 ფუთი; გამოჩინებულმა—2.000 ფუთი, დიდ ჯიხაიშმა—8.000 ფუთი, და ხრესილმა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

კოლექტიური ხელშეკრულებები და ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

საკავშირო შრომის სახ. კომისარიატის განმარტებით, იმ მომენტიდან, როცა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში შემოღებული იქნება შრომის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება, კოლექტიურ ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც შრომის ხელფასსა და მის დამატებითი სახეებს (კვება, ბინა და სხვ.) შეეხება, დაუყოვნებლივ კარგავს ძალას, გარეშე იმისა, თუ რა ვადით არის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება. ასეთი დაწესებულების მოსამსახურეებს ხელფასი ეძლევა სახელმწიფოებრივი მოწესრიგების ფარგლებში დაწესებულ ნორმების მიხედვით.

იმ დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულებები, სადაც ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგებაა შემოღებული, არ უნდა ეხებოდეს ხელფასის საკითხებს.

დისპუტი განათლების მუშაკთა სახლში

ურწმუნოთა კავშირის ქალაქის რაიონული საბჭო შაბათს, 2 თებერვალს, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) აწყობს დისპუტს შემდეგ თემაზე: „რელიგია და მორალი“. მთავარი მომხსენებელი პროფ. ბოლოტნიკოვი.

დისპუტში მონაწილეობას იღებენ პროფ. ნუცუბიძე, ამხ. გეგენავა, ლოლობერიძე, გიდონი და სხვები.

რაიონული საბჭო დისპუტში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სასულიერო პირებს შესვლა თავისუფალია.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ **აგრონომების მივლინება.** მებაღეობა-მებოსტნეობის სამთვიან კურსებზე მიწათმოქმ. სახალხო კომისარიატი მოსკოვში გზავნის 5 აგრონომს.

◆ **მსხვილფეხა საქონლის ფერმის რეორგანიზაცია.** მესაქონლეობის განყოფილება შეუდგა ციხისჯვარის (ბაკურიანის რაიონში) მსხვილფეხა საქონლის საჯიშე ფერმის რეორგანიზაციას.

განათლების კომისარიატში

◆ **უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი.** სტატისტიკური ცნობებით, მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ლენინის სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში სწავლობს 9.467 კაცი, აქედან 1976 ქალია.

◆ **სწავლის განახლება.** საზამთრო არდადეგების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში სწავლა განახლდა 1-ლი თებერვლიდან.

ს. მ. უ. საბჭოში

◆ **მდ. რიონის შესასწავლად.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ფერო-მარგანეცის კომისიას წელს მიენდობა შეისწავლოს მდ. რიონის რეჟიმი და შეკრიბოს ამ მხრივ ცნობები ფერო-მარგანეცის ქარხნის ასაგებათ. მდ. რიონის შესასწავლად კომისიას მიეცემა 3.000 მანეთი.

◆ **სასოფლო ჰიდრო-ელსადგურები.** ელექტროფიკაციის განყოფილებას დაევალა მიმდინარე წლის განმავლობაში შეადგინოს პროექტი ორი სასოფლო ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ.

◆ **7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა.** პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტს დაევალა ცალკე წარმოებების 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში შეუთანხმოს ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებას.

სხვადასხვა

◆ **სტატისტიკოსთა კურსები.** აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანების პროფესიონალური სექციის ინიციატივით, 31 იანვარს თბილისში გაიხსნა სახელმწიფო სტატისტიკის მუშაკთა გადასამზადებელი კურსები.

◆ **პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ინჟინერ-ტეხნიკოსთა კლუბში (მუშათა სასახლე, 1-ლი სართული) შესდგება პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც გაირჩევა დაზღვეულთათვის საექიმო-სამკურნალო დახმარების აღმოჩენის საკითხი.

◆ **ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრი.** დღეს, საღამოს 7 საათზე, „სოფლის კავშირის“ შენობაში შესდგება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის და ავტონომიურ რესპუბლიკათა სას.-სამ. კოოპერაციის წარმომადგენლები.

◆ **გაჯის დამზადება.** ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებით, კოოპერატიულ არტელ „გლეხის კავშირს“ წინადადება მიეცა მომავალ სააღმშენებლო სეზონისთვის დაამზადოს 359 ათასი ფუთი გაჯი. საქართველოს ცაკის დადგენილებით „გლეხის კავშირს“ მინიჭებული აქვს გაჯის დამზადების მონოპოლიური უფლება. აღმშენებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაჯი შეიძინონ მხოლოდ „გლეხის კავშირისაგან“.

◆ **დღეს, ორ თებერვალს, საღამოს 6 საათზე** საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში (ჯორჯიაშვილის ქუჩა) რუსეთის ფ.ს.ს.რ. მიწსახკომის მიწათმოწყობის განყოფილების გამგე ამხ. გენძეხაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ საკითხზე: „ტერიტორიის ორგანიზაციის ტეხნიკა მიწათმოწყობის კომპლექსიური მეთოდით გატარების დროს“.

დასწრება სავალდებულოა ამჟამად თბილისში მყოფ ყველა აგრონომებისა, მიწისმზომელებისა და მიწათმომწყობთათვის, დანარჩენთათვის შესვლა თავისუფალია.

◆ **საქართველოს მთიელთა კულტურული** საზოგადოებაში, კვირას, 3 თებერვალს, დილის 11 საათზე (საქართველოს მუზეუმის შენობაში) შესდგება წევრთა კრება. სერ. მაკალათია წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მთის რაჭა“.

◆ **შაბათს, თებერვლის 2-ს,** საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზეც პროფესორი დ. უზნაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „კლასიფიკაციის ფორმები

ხელოვნების ქრონიკა

◆ **დისპუტი სომხურ მხატვრობაზე.** დღეს, საღ. 8 საათზე, ჰაიარტუნის შენობაში შესდგება დისპუტი ჰაიარტანის მე-9 სამხატვრო გამოფენის შესახებ.

◆ **პროფ. მინიარის მოწაფეთა კონცერტი მოსკოვში.** მოსკოვიდან მოსული ცნობებით, იქ დიდის წარმატებით ჩატარდა თბილისის სახ. კონსერვატორიის ვიოლონჩელის კლასის პროფ. მინიარის მოწაფეთა კონცერტი.

◆ **ხელოვნების მთავარ სამმართველოს** განზრახული აქვს გრიბოედოვის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაულები ჩაატაროს მას შემდეგ, როცა ასეთი დღესასწაულები ჩატარებული იქნება მოსკოვში, რომ მოსახერხებელი გახდეს მოსკოვიდან გრიბოედოვის შესახებ ზოგიერთი მასალების ჩამოტანა.

კომისიის შედგენა. ხელოვნების მთავარ სამმართველოს წინადადება მიეცა შეადგინოს სპეციალური კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულებს საქართველოში.

შემთხვევები

ქურდობა

გაქურდეს პოლინა ბოიკოვას ბინა (მარტის ქ., 8), წაიღეს პალტო და სხვადასხვა ნივთები;—ვერის ახალ ბაზარზე პაპიროსით მოვაჭრე თამარა ივანეს ასულ ობგაიძეს ვიღაც უცნობმა პირმა მოსტაცა 35 მანეთი;—მოქ. ალექსი ხუშუდოვი გაქურდა მისმა ცოლმა, წაღებულია 200 მანეთის საოჯახო ნივთები;—სერგო მერკულიას მუშკოოპის მაღაზიაში ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები;—არ: მარკოსიანცს (მცხ: ერისთავის ქ., 10), მისმა შვილმა გარნიკმა მოპარა 250 მანეთის ძვირფასი ნივთები;—გაქურდეს ი. ყეინაშვილის ბინა ((მაგისტრალის ქ., 16), წაიღეს სხვადასხვა ნივთები;—შუშანა ქეიანცის ბინიდან (ვლადიმერის ქ. 95), მოიპარეს ორი ხალიჩა.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა მიკიჩა არტაშისძე კაზაროვი, რომელმაც სასადილო „სიცოცხლე“-დან (პლეხანოვის პროსპ.) მოიპარა სხვადასხვა ნივთები.

რკინის ნატეხების შეგროვება

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში „რუდმეტალტორგ“-ის ამიერ-კავკასიის კანტორის გამგის მოადგილემ ინჟ. კარაკოზოვმა რკინის ნატეხების შეგროვების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ განაცხადა:

— ჩვენ გენერალური ხელშეკრულებები დავდეთ რკინის ნატეხების ჩაბარების შესახებ ამიერ-კავკასიის და შუა აზიის ყველა მსხვილ დაწესებულებებთან.

გეგმის მიხედვით ჩვენ მიმდინარე საოპერაციო წელში ამიერ-კავკასიაში და შუა აზიაში უნდა მოვაგროვოთ 76.993 ტონა რკინის ნატეხები.

პირველ კვარტალში ჩვენ „იუგოსტალის“ ქარხნების გაერთიანებას“ და „წითელ ოქტომბერს“ გავუგზავნეთ 780 ვაგონი ანუ 12.846 ტონა რკინის ნატეხები.

ნატეხების ასე მცირე რაოდენობით გაგზავნა (გეგმასთან შედარებით) აიხსნება იმით, რომ ჩვენ აზნეფთისაგან ვერ მივიღეთ ჩვენი კუთვნილი ნატეხები. ამას გარდა, ჩვენ მიერ კასპიის ფლოტის სამმართველოსაგან შეძენილია დასაშლელად 26 გემი, რომელთა დაშლა ტეხნიკური მიზეზების გამო დაგვიანდა.

იანვრის განმავლობაში ჩვენ გავგზავნეთ 5.000 ტონა ნატეხები, რაც ამტკიცებს გაგზავნის გაძლიერებას მიმდინარე კვარტალში.

სასამართლო

ექიმი, რომელსაც მომაკვდავისათვის „არ ეცალა“

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს ამბულატორიაში მოხდა ეს აღმაშფოთებელი ამბავი, რომელსაც მკითხველი ქვემოდ გაეცნობა.

გასული წლის 31 მაისს ამბულატორიაში მიიყვანეს მოტოციკლეტის დაჯახებით მძიმედ დაშავებული მოქ. **მახნიაშვილი,** რომელსაც დაჟეჟილი ჰქონდა თავი და ერთი შეხედვითაც ეტყობოდა დამბლის დაცემის ნიშნები.

ამბულატორიაში იმ დღის მორიგეობდა ექიმი კარლო ალექსისძე **მარგველაშვილი,** რომელსაც მიმართეს სასწრაფო დახმარებისათვის. მარგველაშვილს აჩქარება საერთოდ არ ჰყვარებია განსაცდელში ჩავარდნილ კაცის საშველად და ამ შემთხვევაშიაც თავის „მორიგ საქმეების“ გათავების შემდეგ აღირსა თავისი „მაღალ-კეთილშობილური“ ყურადღება თავდამტვრეულ ავადმყოფს. ბიუროკრატმა ექიმმა თავი როდი შეიწუხა ავადმყოფის საფუძვლიანად გასინჯვისათვის და ისე ზერელედ, ერთი შეხედვით დასვა დიაგნოზი:—„საშიში არაფერია, დაზიანება არის სულ უმნიშვნელო“.

ერთი სიტყვით, „მსუბუქად“ გასინჯული ავადმყოფი, მსუბუქად დაზიანებულად ჩასთვალა მარგველაშვილმა, შეუხვია ნაუცბათევად თავი და წინადადება მისცა: „მიბრძანდით სახლში“.

დამბლა დაცემული და თვალებ გაშეშებული ავადმყოფი ბარბაცით გამოვიდა გარეთ, გაიარა ცოტა მანძილი, მაგრამ აივანზე მუხლებმა უღალატეს. იქვე ჩამოჯდა სკამზე.

მოტოციკლეტის დაჯახების ამბავი მაშინვე ეცნობა საგამომძიებლო ორგანოს, სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები დაჯახების მიზეზების და შედეგების გამოსარკვევად. გამომძიებელი ნოზაძე მილიციის ერთ-ერთი თანამშრომლის თანხლებით მაშინვე გაეშურა საავადმყოფოში, სადაც მას ეგულებოდა დაშავებული მოქალაქე.

— გთხოვთ გაგვაგებინოთ, რა მდგომარეობაშია ავადმყოფი, შეიძლება თუ არა მისი დაკითხვა?

— ის მსუბუქად იყო დაშავებული, შეუხვიე თავი და სახლში გავუშვი,—მოკლეთ მოუჭრა მარგველაშვილმა.

ავადმყოფი კი ამ დროს უგრძნობელ მდგომარეობაში დერეფანში სკამზე იყო ჩამოსვენებული.

გამომძიებელი დაკმაყოფილდა ამ პასუხით და გარეთ გამოვიდა. ნოზაძე აივანზე ხედავს თავშეხვეულ მოქალაქეს, რომლის თვალები მეტად საშიშრად გამოიყურებოდნენ.

საავადმყოფოს ეზოში იდგა მოტოციკლეტი. გამომძიებელი მიხვდა, რომ სწორედ ეს მოქალაქე იყო დაჯახებით დაზიანებული, მივიდა მასთან გამოსალაპარაკებლად, მაგრამ ავადმყოფს ლაპარაკის უნარი დაჰკარგოდა.

გამომძიებელი გარბის ექიმთან და სთხოვს, რომ ხელმეორედ შეამოწმოს ავადმყოფი და მისცეს მას ცნობა, შეიძლება თუ არა მისი დაკითხვა.

— მე ვალდებული არა ვარ ოცდაათჯერ შევამოწმო ერთი და იგივე ავადმყოფი, ან კიდევ ოფიციალური ცნობები მოგაწოდოთ!—მკვახედ უპასუხებს ბიუროკრატი ექიმი.

გამომძიებელმა მიმართა სხვადასხვა ინსტანციას და როგორც იქნა დიდის ვაი-ვაგლახით ავადმყოფი მიაღებინა საავადმყოფოში, მაგრამ უკანასკნელს დიდი ხანი აღარ უცოცხლია. მალე გარდაიცვალა. ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო.

— მახნიაშვილი მოკვდა. რა უყოთ მერე? ყველანი მომაკვდავნი ვართ! დიაგნოზი სწორად ვერ დავსვი. მერე რა? შეცდომა ვის არ მოსვლია. შეცდომა ხშირია ჩვენს პრაქტიკაში! თქვენ მისაყვედურებთ, რომ საავადმყოფოში არ დავაწვინე მძიმედ დაშავებული ავადმყოფი... ამაზე მოგახსენებთ, რომ იმ დროს ძალიან დატვირთული ვიყავი საქმეებით (!) და ამისათვის არ მეცალა (!),—ასე უტიფრად იმართლა თავი ბიუროკრატმა ექიმმა წინასწარ გამოძიების დროს.

მარგველაშვილს 20 თებერვალს გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო, რომელიც გამონახავს ზომებს მარგველაშვილის „განსატვირთავად“.

ვერ.

თბილისის მუშკოოპში

მაგარ სასმელების აკრძალვა სასადილოებში

თბილისის მუშკოოპის გამგეობამ წინადადება მისცა საზოგადოებრივი კვების სექციას აკრძალოს მუშკოოპის სასადილოებში არაყით და კონიაკით ვაჭრობა.

სასადილოებში ღვინით და ლუდით ვაჭრობა ნებადართულია.

ვაჭრობა დეკემბერში

თბილისის მუშკოოპის სავაჭრო ოპერაციები დეკემბერში გამოიხატა 3.913.200 მანეთში. გეგმა ვერ იქნა შესრულებული 4,9 პროცენტით.

1927 წ. 10 პროც. სესხის მერვე ტირაჟი

№№ ობლ.	სერ.	№№ ობლ.	სერ.	№№ ობლ.	სერ.	№№ ობლ.	სერ.	№№ ობლ.	სერ.	№№ ობლ.	სერ.
250 მანეთი მოგებანი											
001766	12	037857	09	078727	11	113448	12	149421	08	176534	06
002572	15	038697	12	080881	20	116686	15	150080	07	177676	18
003009	06	039710	12	083267	09	122336	19	153043	17	177923	20
006732	18	043979	18	087516	06	123278	08	157548	01	179024	12
009830	01	045789	08	088223	11	127962	17	159383	18	180560	18
012265	10	046999	16	088431	04	127967	04	161190	20	181194	20
012463	01	048149	03	090792	10	131518	05	162583	09	181354	12
015796	04	048535	07	091269	17	131962	18	165188	02	183410	10
015939	08	049843	03	092460	08	131971	05	165819	02	184818	02
018103	06	049920	17	094537	17	132439	14	166229	16	185031	05
018235	04	051685	19	095756	07	138069	13	166467	01	185524	12
019219	03	053691	17	097954	07	138891	10	166561	05	187452	06
022450	13	057450	06	101017	16	140412	13	168816	06	187568	03
024181	18	061503	02	102234	14	140580	14	168952	15	187676	18
024820	19	061519	09	102983	06	141972	13	170847	13	187939	02
026414	19	064368	02	105745	19	142435	03	171734	01	191591	11
027314	01	066026	06	107228	13	142852	06	172872	06	194801	11
028503	17	066132	14	109771	05	143446	10	173050	14		
028764	03	072511	18	109804	06	145372	02	173723	17		
029096	14	073646	11	111949	07	145450	03	174629	03		
036030	19	073928	03	112243	05	145909	01	174860	01		
036871	17	076175	10	113054	07	147096	10	175055	09		
1000 მანეთიანი მოგებანი											
000035	18	032330	10	062687	05	094544	14	135157	06	161206	05
005949	18	034290	18	075925	19	098502	04	135617	15	170705	02
008314	17	038143	18	079756	20	104865	17	138311	02	171066	03
012106	18	040716	03	080609	15	105692	18	139580	17	175589	20
014050	03	041679	20	081684	20	111685	08	141309	09	177231	05
018344	20	045151	18	082140	17	113791	08	142274	03	178194	02
024307	03	048670	15	082894	10	114116	16	143675	02	179001	01
026204	19	051492	17	083528	05	115504	05	156642	03	183322	18
028585	19	052651	04	084729	04	116663	02	156742	02	192027	09
029728	12	056567	15	089081	09	131548	05	160054	11	194068	11
029808	02	058061	14	091681	20	132802	20	160377	05	194756	11
030470	06	060198	03	094234	11	133782	18	160710	17		
5000 მან. მოგებანი											
019032	08	026799	12	090133	02	122027	06	159276	07		
024909	06	079797	10	094278	20	123706	07	176966	13		
10.000 მან. მოგებანი											
007731	02	036182	12	037380	15	053897	12	153076	13		
25.000 მანეთიანი მოგებანი								**50.000 მან. მოგებანი**			
011536	18	182750	10					188930	19		

ამინდი საქართველოში

1 თებერვალს საქართველოში ასეთი ამინდი იყო:

სოხუმი. სუსტი ქარი, თოვა, სითბო 0 გრ.

ფოთი. ქარი, წვიმა, სითბო 3 გრად.

ბათომი. ქარი თოვა, სითბო 2 გრად., თოვლის სისქე 10 სანტიმ.

სამტრედია. სუსტი ქარი, თოვა, სითბო 1 გრად., თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

ქიათურა. სუსტი ქარი, თოვა, სითბო 0 გრად., თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

ბორჯომი. სუსტი ქარი, თოვა, ყინვა 4 გრად., თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

ლიბანი. სუსტი ქარი, თოვა, ყინვა 7 გრად., თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

აბასთუმანი. თოვა, ყინვა 5 გრად., თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

გორი. სუსტი ქარი, მოღრუბლული. ყინვა 1 გრადუსი.

გუდაური. სუსტი ქარი, თოვა, ყინვა 12 გრად., თოვლის სისქე 60 სანტიმეტრი.

თბილისი. დილით სუსტი ქარი, (წინა ღამით თოვდა), დილით ყინვა 2 გრად., შუადღისას დათბა (სითბო 4 გრად.), ქროდა ზომიერი ქარი, თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

საგარეჯო. მოღრუბლული, ყინვა 4 გრად. თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

ახმეტა. მოღრუბლული, ყინვა 3 გრად., თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

ლიუქსემბურგი. მოღრუბლული, ყინვა 4 გრად., წინაღამით თოვდა.

—:—

მოსკოვში და ლენინგრადში

ობსერვატორიის ცნობით გუშინ მოსკოვში მოწმენდილი დარი იდგა, ქროდა სუსტი ქარი, ყინვა გაძლიერდა 27 გრადუსამდე.

ლენინგრადში ყინვა შესუსტდა 17 გრადუსამდე, ქროდა სუსტი ქარი და მოღრუბლული დარი იდგა.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 2 თებერვალი

დღეს, 2 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

პიონერის და მოწაფის საათი; გლეხთა რადიო-გაზეთი, პოპულიარული კონცერტი გლეხობისათვის, საუბარი (ციკლიდან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“; პოეტ ვ. კამენსკის საღამოს ტრანსლიაცია ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტიდან; პასუხი რადიო-მოყვარულთა წერილებზე; უკანასკნელი ცნობები.

რკინის გზებზე

გზის გამგეობის ახალი წევრი

გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით ინჟ. გ. ი. გვერდწითელი დანიშნულია ა.-კ. რკინის გზის გამგეობის წევრად.

ინჟ. გვერდწითელს დავალებული აქვს წევისა და მოძრაობის დარგების საერთო ხელმძღვანელობა.

ცისტერნების შეკეთება

სხვადასხვა დროს მომხდარ კატასტროფების დროს დამსხვრეულ 80 ცისტერნების შესაკეთებლად ა.-კ. რკინის გზამ გზათა სახ. კომისარიატისაგან მიიღო 72.000 მანეთი.

ორ ხაზზე მოძრაობა

ახლო მომავალში აჯიკაბულ-ბალაჯარის უბანზე გაიხსნება მოძრაობა ორ ხაზზე.

კრედიტების გადაცემა

კრედიტები პროფესიონალურ განათლებისათვის, რომლებიც აქამდე გზის თითოეულ განყოფილებას ცალკე ეძლეოდა, ამიერიდან მთლიანად გადაეცემა საგზაო პროფგანათლების განყოფილებას.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს: რუსეთის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის „ღია ბარათში“, რომელიც მოთავსებული იყო თქვენი გაზეთის 18/12 ნომერში, აღნიშნული იყო მიწერ-მოწერისათვის მისამართიც. (მოსკოვი, კროპოტკინის ქ. № 32. რუსეთის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია. ქართული ხელოვნების განყოფილება). ამის მიუხედავათ ზოგჯერ ადგილი აქვს მიწერ-მოწერას პირადათ აკადემიის პრეზიდენტთან. ვისაც სურს ქართული ხელოვნების განყოფილებასთან კავშირის დაჭერა, მან უნდა ისარგებლოს მხოლოდ ჩვენი მისამართით ან მოგვმართოს საქართ. განათლების კომისარიატის ხელოვნების მთავარ სამმართველოს საშუალებით

რუსეთის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების განყოფილება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, დილის 11 საათზე, ცეკას ბინაზე, ამხ. ჟუჟუნაშვილის კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელზედ უნდა გამოცხადდნენ: ამხ. ბედია (თბილისის კომიტეტი) და კვირიკაძე (საგეგმო კომისია).

—:—

შაბათს, 2 თებერვალს, დღის სრულ 1-ლ საათზე ს.ს.პ. ინსტიტუტის ყველა კომკავშირელები უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტში ა.ლ.კ.კ. ქალაქის რაიკომის დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

—:—

ლენინის რაიონის მუშ.-გლ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საგზაო-სატრ. სამომხ. საზოგადოების კულტკუთხეში შესდგება კონფერენცია კოოპერატივის აქტივის ქალებისა, კოოპერატიულ სექციის მსმენელებთან ერთად.

—:—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს კომკავშირის წევრ-კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 2 თებერვალს, დღის 2 საათზე ისინი უნდა გამოცხადდნენ სახელ. უნივერსიტეტში, სადაც იწარმოებს რეგისტრაცია.

—:—

თბ. სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონ. ფაკ. მე-3 და მეოთხე კურსის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, შაბათს, სრულ 11 საათზე. წევრ კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად. სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე თედორე ჭაია და პავლე ლურსმნიშვილი.

—:—

შაბათს, 2 თებერვალს, საღამოს სრული 7 საათისათვის 26 კომუნარის სახ. რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1) მოწვეულია **ურწმუნოთა რაიონული საბჭოს საექიმო-სანიტარული სექციის გაფართოებული თათბირი.**

თათბირზე მოწვეულნი არიან 26 კომუნარის სახ. რაიონის სასკოლო, სანიტარული, რაიონული და ამბულატორიების ექიმები.

—:—

ორშაბათს, 4 თებერვალს საღამოს, 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება **საქართველოს კომპარტიის (ბ) რაიონული კომიტეტის რაი-პროპაგანდისტებისა და პარტიული თვითგანვითარების სექციის გაერთიანებული სხდომა.**

სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ ყველა აგიტპროპორგანიზატორები და იმ უჯრედების საგიტაციო-საპროპაგანდო კომისიების ხელმძღვანელები, სადაც თვითგანვითარების მუშაობაში ჩაბმულ პარტიულების რიცხვი 15 კაცზე ნაკლები არ არის.

—:—

◆ **სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი** აცხადებს, რომ დღეს 2 თებერვალს დღის პირველ საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სრ. საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი აცნობებს საზოგადოებას, რომ 29 იანვარს, ნაშუადღევის 5 ნახ. ს. გარდაიცვალა ფედერაციის წევრი მწერალი ქალი

განდეგილი
(დომინიკა ზურაბის ასული ერისთავ-მდივნისა)

სამოქალაქო პანაშვიდები საღ. 7 საათზე. საკუთარ ბინაზე, ელბაქიძის დაღმართი № 1.
ნ. 2211 2-1

ოლიმპიადა ბაქრაძე, ლიდია მეგრელიძე, ალექსანდრა გვ სალია, მარო ხუხუნაიშვილი, თამარა ვანიძე და პეტრე ახალკაცი გულდაწყვეტით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასს მეგობრის—მწერალი ქალის

განდეგილის

მოულოდნელად გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებული და ვარდო შვილით როლიკოთი აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ 2 თებერვალს, დღის 3 საათზე, გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მე 2 ქართულ არტილერიონის თავის თანაშემწის

ნოე იოსების-ძე გოგოლაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. ვერის ახალ სასაფლაოზე. 308

ღრმად დამწუხრებულნი მამა ლეონტი, დედა ლიუბა; დები: ზინა, თინა, ქეთო და თამარი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

სოსო ლეონტის-ძე მეზურია

გამოსვენება კვირას, 3 თებერვალს, ანდრეევის ქ. № 94, ნაშუადღევის 1-ლ საათზე.
314

ინვალიდთა არტელი „რეკორდი“-ს თანამშრომლები, მეუღლე—ეკატერინე შვილებით: ვახტანგი და თენგიზი და დედა—მარიამი აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავთ, რომ კვირას, 3 თებერვალს, დღის 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

შაქრო გრიგოლის-ძე
ჩიტიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 313

ჯანსახკომის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას იმავე განყოფილების გამგის გიორგი ივანეს-ძე ბაქრაძის ერთად-ერთი იმედის

შალიკოს

ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 3 თებერვალს, დღის 12 საათზე გრიბოედოვის ქ. № 15. (ე)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი თავზარდაცემულნი მშობლები ელენე ზაქარიას ასული და გიორგი ივანეს-ძე ბაქრაძე ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გრენობლის (საფრანგეთი) უმაღლეს სასწავლებლის უკანასკნელ კურსის სტუდენტის, ერთად ერთი იმედის, საყვარელი შვილის

შალიკოს

ტრაღიკულად დაღუპვას. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, გრიბოედოვის ქუჩა, № 15. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ე)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: სიმონი, დავითი, ნინო, ელენე, ქეთო, სოფიო, ნატაშა, სიძე მიხეილ საკანდელიძე და რძალი ელენე ნესტორ კიკნაძის ასული აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი მამის

იუსტინე ვასილის-ძე მამფორიას

დაკარგვას. დასაფლავების დღე 3 თებერვალს დ. ტობანიერში. (ე)

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დედა სალომე, მეუღლე თამარი, შვილები მარო, გოგილა, ძმა, ნინო და სიძე ონიფანტე აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 თებერვალს, დღის 12 საათზე დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სანდრო გვიმბრაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 305

თავზარდაცემული დედა ნადეჟდა, ძმა კონსტანტინე, დიდედა ანეტა, ბიძები ნიკოლოზ და გრიგოლ მეუღლებით და მამიდა ბაბო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ძვირფასი

დათიკო ფურცელაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 თებერვალს, 2 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ბარნოვის ქ. № 58. 309

დამწუხრებული ქმარი ისიდორე შვილებით: ანატოლი, ტატიანა, თინიკო, მაზლი ბარამი და რძალი ნინა კალანდაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კატუშა მიხეილის ასული
ჭავჭანიძე-კალანდაძისა

დაკრძალვა 2 თებერვალს 3 საათზე. გამოსვენება ბინიდან ჩერქეზიშვილის ქ. № 94 კუკიის სასაფლაოზე.
304

იოსებ, გიორგი და ივანე ანდრონიკაშვილები თავიანთი სახლობით, ნინა ჯორჯაძისა შვილებით და სოფიო ლომიძისა სახლობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საფრანგეთში ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი დისწული სტუდენტი

შალიკო ბაქრაძე

სამოქალაქო პანაშვიდი მიცვალებულის მამის ბინაზე, გრიბოედოვის ქ. № 15, კვირას 3 თებერვალს, დღის 12 საათზე. (შ)

რუსთაველის თეატრი
2—1 ნ. 2209

დღეს და კვირას 3 თებერვალს
„ჯუმა-მაშიდ“ ვენეციანოვის
დრამა 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: ირ. გამრეკელი.
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათა სასახლე ოთახი № 1.

რუსთაველის თეატრი
2—1 ნ. 2196

ორშაბათს, 4 თებერვალს, ბ. ლავრენევის
რღვევა დრამა 4 მოქმ. თარგმ. ა. ფალავასი
დადგმა ალ. ახმეტელისა მხატვარი ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი დარბაზი	მხატვრული სურათი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან	**ბილიანის ასული**
პალასი	მხატვრული სურათი	**უძლეველნი**
მინიონი სოლეი	მონტი ბენკს საუკეთესო კომედიაში	**ნამდვილი ჯენტლმენი**
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი	**ქარიშხლის კანონები** ნინა ლის მონაწილეობით
აპოლო	კარმენ ბონი ახალ სურათში	**სანაძლეო ქორწინება**
პროლეტარი ავლაბარი	ისტორიული სურათი	**ჯანყი** 1-ლი სერია

0—2

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8—64
3—3 ნ. 2207

დღეს
საატრაქციონო სანახაობა
3 განყოფილებად
მონაწილეობს მთელი დასი და გასტროლიორები
პოპულიარულ ჰიპნოტიზიორის
ორნალდოს გამოსვლა
(მასიური ჰიპნოზი)
დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. ორნალდოს გამოსვლა 10 საათზე.
კვირას, 3 თებერვალს
დღის სანახაობა ახალი პროგრამით
დასაწყისი დღის 2 ს. დღისით ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ამერიკის
პოპულიარული
არტისტი
გაროლდ ლოიდი
ახალ არაჩვეულებრივ
კომედიაში
მეშვიდე ცაზე
ორშაბათიდან
4
თებერვლიდან
კინო **პალასში**
2214

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. 15 მარტის № 12, ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს. რომ მოქ. ანნა გრიგორის ასული პარკაძემ თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე დავითიშვილზე.
307

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29, ელსმენი—11—78.
ნ. 18—25—1

ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა
„ქართული წიგნი“-ს გამგეობა

ამით აცნობებს ამხანაგობის წევრებს, რომ ა. წ. თებერვლის 10-ს დილის 10 საათზე დანიშნულია

ამხანაგობის წევრთა მეოთხე წლიური
საზოგადო კრება

კრება შესდგება მუშათა ახალი კლუბის სათეატრო დარბაზში (კომინტერნის ქ. № 5)

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ და წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება (1927—28 საოპერაციო წლისა);
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. მომავალი წლის მოქმედების გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
4. მიმდინარე საკითხები;
5. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

თუ დანიშნულ საათზე არ გამოცხადდა ამხანაგობის წესდების 28 მუხლით გათვალისწინებული რიცხვი წევრებისა, მაშინ აღნიშნული კრება გადაიდება და შემდეგი **კრება გაიხსნება იმავე დღეს, შუადღის 12 საათზე;** თანახმად წესდების ზემოთმოხსენებული 28 მუხლისა, კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ნ. 2210 „ქართული წიგნის“ გამგეობა.

იჩქარეთ ნახოთ!
პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი
რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!
სამხეცე ცხოველთა სამყარო
ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში
ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები



მფრინავი ძაღლები
ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.
სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?
ნ. 2082 0—10

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

კბილის ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის დ ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერის დ მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ. ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე
მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი
200 25—1

სამტრედიის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
სიმონ ნ. ნამიჩეიშვილი

აცხადებს, რომ 1929 წ. 14 თებერვალს დილის 11 საათზე ქ. სამტრედიაში, პლეხანოვის ქუჩაზე № 33 მოქ. გიორგი დიმიტრის-ძე სტურუას ოჯახში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** მოპასუხე გიორგი სტურუას მოძრავ ქონებისა სახელდობრ: 1) სამი თვალი ოდა სახლისა, დარღვევის და გადატანის უფლებით, 2) ერთი ყავრით დახურული სასიმინდისა, 3) ერთი ურემისა, 4) ერთი ორი წლის მოზვერისა და 5) ოცდა ხუთი ღერი დამზადებული ხის მასალისა, ნატალია გლახუა დუნდუას ასულის დასაკმაყოფილებლად, აღმასრულებელ ფურცლის ძალით, მიცემულის სამტრედიის სახალხო სასამართლოს მიერ 16 ნოემბერს 1926 წ. № 2603, ქონება შეფასებულია 416 მან. და ამ შეფასებიდან დაიწყება ვაჭრობა.

სრული აწერილობის ნახვა და საქმის ვითარების გაგება შეიძლება აღმასრულებლის კანცელარიაში. ნ. 2213

ქ. თბილ. 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ვარლამ პავლეს-ძე გაბუნია

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 4 თებერვალს დღის 1 საათ. სახლში № 45 წყნეთის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე გიორგის-ძე იაკოვლევის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს და ერთ შახმატს შეფასებულს 94 მანეთად, 45 კაპ. თამარა მიხეილის ასული იაკოვლევის 106 მან. 92 კაპ. ვალის და ხარჯების დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 9 იანვრის 1929 წ. თარიღით, № 1596 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 2212

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
214 6—9

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს
მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ელსმენი № 5—90.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვისპროსპ. № 10

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25 | 1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
ნ. 25—1

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს, საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილა-საღამოს.
ნ. 25—18

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 ნ. 6 25—22

დავკარგე: პირადობის მოწმობა ივანე გლახის ძე სარქისოვის სახელზე, ჩ. გ. 312

დავკარგე: პასპორტი გაცემული ოგანეს და სოფიო ვანიანცის სახელზე, ჩ. გ. 310

დავკარგე: პასპორტი № 479 და მეტრიკული ამონაწერი № 982 ილია შალომის ძე ბერიძეს სახელზე. ჩ. გ. 306

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.